# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 26 იანვარი 2001 №11 (1284) | ფასი 50 თეთრი


## 50% ერგება დინამოს «კალაძის ფულის» ნახევარი? 50/50

### მერაბ ჟორდანია არც ჰოს ამბობს, არც არას


ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ იცის, მაგრამ არ ამბობს

კახა კალაძის კიევის „დინამოდან“ „მილანში“ გადასვლის შემდეგ სამი წლის წინანდელი, ერთობ მნიშვნელოვანი ამბავი, უფრო სწორად, კითხვა ამოტივტივდა: „მილანის“ მიერ კიევის „დინამოსთვის“ კახა კალაძის სანაცვლოდ გადახდილი თანხის 50 პროცენტი მართლაც ერგება თბილისის „დინამოს“, იყო ასეთი პუნქტი თბილისელებისა და კიეველების შეთანხმებისას?

გუშინდელ პრესკონფერენციაზე მერაბ ჟორდანიამ, რომელიც კალაძის „დინამოდან“ „დინამოში“ წასვლისას თბილისური კლუბის პრეზიდენტი იყო, ამ საქმის თაობაზე კონკრეტული არაფერი თქვა:

„მე არც უარვყოფ და არც ვადასტურებ, რომ „დინამოს“ კიეველებისგან კალაძის „მილანური“ ტრანსფერის 50 პროცენტი ერგება... როცა თბილისის „დინამო“ იურიდიული სუბიექტი იქნება, მაშინ პირადად უზრუნველვყოფ ორი „დინამოს“ პრეზიდენტების შეხვედრას“ — განაცხადა მერაბ ჟორდანიამ.

იხილეთ მეორე გვერდი

## ანდრე პირველწოდებული?

### აგასიმ „ფინალი ფინალამდე“ მოიგო

ავსტრალიის ღია პირველობაზე გასარკვევი ერთადერთი ფინალისტის ვინაობა დარჩა.

ქალებში გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი და სცენას დაბრუნებული ერთდროს ვუნდერკინდი ჯენიფერ კაპრიატი შეხვდებიან. გუშინ ორივემ ჯანით და ტანით აღმატებულ მეტოქეებს — ვინუს უილიამსსა და ლინდსი დევენპორტს აჯობა.

ანდრე აგასისა და პატრიკ რაფტერის „ფინალი ფინალამდე“ კინაადრევად და მასპინძელთათვის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მტკივნეულად დასრულდა. სრულიად ოზთა იმედ რაფტერს მეტოქის ნაცვლად ფეხების გაუსაძლისმა კრუნჩხვამ მოუღო ბოლო.

იხილეთ მეცხრე გვერდი


REUTERS

ანდრე აგასის ავსტრალიის ღია პირველობის ზედიზედ მეორედ მოგების შანსი აქვს

### 3 ჯონი და ნეოპლანი

კოლხეთმა მოთამაშეები ქუთაისიდან, ავტობუსი კი გერმანიიდან ჩაიყვანა

### 3 თამაში სიყვარულის დღეს

საქართველოს ნაკრები უკრაინელებს უძლიერესი შემადგენლობით და ერთი დებიუტანტით დაუხვდება

### 7 ზიდანი ქალარას პატივს სცემს



„ბებერი ქალბატონის“ ერთგულმა ზიზუმ ცოლის ჭკუაზე არ გაიარა

### 8 დავარტყი, შევაშინე, წავედი



ქართველ მძღოლთათვის ყოვლად წარმოუდგენელი გარი ჩარლზის ამბავი

### 11 შევარდენი ვალმოხდილი ითამაშებს

საქართველოს ჩემპიონატი

„ვითას“ და „დინამოს“ ბედს აღმასკომი გადაწყვეტს

# 50% ერგება დინამოს «კალაძის ფულის» ნახევარი? 50/50

## მერაბ ჟორდანია არც ჰოს ამბობს, არც არას

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თავის კაბინეტში პრესკონფერენცია გამართა.

მთავარი თემა — პრეზიდენტის უცხოური ვოიაჟების შედეგები. მერაბ ჟორდანია თითქმის ორი კვირა შვეიცარიასა და რუსეთში იმყოფებოდა და ფიფა-უეფას ხელმძღანელებთან საქმიანი შეხვედრები ჰქონდა. რა თქმა უნდა, ამის თაობაზე პრეზიდენტის ნათქვამი საინტერესო იყო, მაგრამ, ვფიქრობთ, უფრო მნიშვნელოვანი ის სიტყვები გახლდათ, რომელიც მერაბ ჟორდანიამ კახა კალაძის კიევის „დინამოდან“ „მილანში“ ტრანსფერისა და სატრანსფერო თანხის 50 პროცენტზე თქვა.

აქამდეც ვწერდით, რომ შესაძლოა თბილისის „დინამომ“ იმ ფულის ნახევარი მიიღოს, რასაც მილანი კიევის „დინამოს“ გადაუხდისო. ალბათ, გუშინდელ „სარბიელშიც“ წაიკითხავდით ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი და ახლანდელი გენერალური მდივნების, „დინამოს“ იმდროინდელი ვიცე-პრეზიდენტისა და დირექტორატის მაშინდელი წევრის ნათქვამს.

ველოდით, რომ მთავარს ამ საქმეში ყველაზე ჩახედული, „დინამოს“ მაშინდელი და ფედერაციის ახლანდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გუშინდელ პრესკონფერენციაზე იტყოდა.

ჩვენც ამით დავიწყოთ და მერე სხვაზეც...

— დღეს ამ ამბავთან დაკავშირებით ბევრს არაფერს ვიტყვი. მე არც უარვყოფ და არც ვადასტურებ, რომ „დინამოს“ კიევის „დინამოსგან“ კალაძის სატრანსფერო თანხის 50 პროცენტი ერგება. ამას მხოლოდ მაშინ განვაცხადებ, როცა თბილისის „დინამო“ რეგისტრაციას გაივლის, გუნდის მეპატრონეთა ვინაობა ოფიციალურად გაფორმდება და კლუბი იურიდიული სუბიექტი იქნება. მაშინ მე პირადად უზრუნველვყოფ ორი „დინამოს“ პრეზიდენტების შეხვედრას. დღეს კი... დღეს უფლებამოსილი არ ვარ, რაიმე კონკრეტული გითხრათ. ჩემთვის ისიც ცნობილია, რამდენი გადაუხადა „მილანმა“ კიევის „დინამოს“ კალაძის სანაცვლოდ, მაგრამ დღეს არც ამას გავამხელ. ამისი დროც მოვა. ისე კი, ძალიან სასიხარულოა, რომ ქართველი ფეხბურთელი კარიერას ასეთ კლუბში გააგრძელებს. როცა კალაძე „მილანთან“ პირად კონტრაქტს აფორმებდა, მე ყველა დეტალი ვიცოდი. დარწმუნებული ვარ, კალაძის კონტრაქტში ყველაფერი ისეა, როგორც ფეხბურთელს აძლევს ხელს. გათვალისწინებულია ეროვნული გუნდის ინტერესებიც — განაცხადა მერაბ ჟორდანიამ.

მისი ეს სიტყვები, ბუნებრივია, დაეჭვების საბაბს იძლევა. თუ ქართულ „დინამოს“ უკრაინელებისგან ფული არ ეკუთვნის, მაშ რატომღა უნდა შეახვედროს ჟორდანიამ ორი კლუბის პრეზიდენტები ერთმანეთს. „კალაძის ფულზე“ მოსალაპარაკებლად ხომ არა?

ახლა დანარჩენზე...

— ციურიხში და მოსკოვში ჩვენი ფეხბურთისთვის მნიშვნელოვან ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ. კმაყოფილი დავრჩი. მაგალითად, მოსკოვში, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის ვიაჩესლავ კოლოსკოვის თანდასწრებით ფიფას პრეზიდენტს ზეპ ბლატერს შევხვდი. მოგეხსენებათ, ბლატერის პრეზიდენტობის პერიოდში ჩვენ და სხვა ქვეყნები ყოველწლიურად 250 ათას დოლარს ვიღებთ, სულ მილიონს და როცა ბლატერს ვუთხარი, თქვენი ფული საქართველოს ნაკრებისთვის ბაზისა და ფედერაციის ოფისის აშენებას მოხმარდება-მეთქი, მისგან გარანტია მივიღე, რომ 2002 წლის ბოლომდე ფიფა ამ მშენებლობებისთვის დამატებით 400 ათას დოლარს გამოგვიყოფს. თუმც ეს ფული მაინც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ნაკრებს უნაკლო ბაზა ჰქონდეს.

გარდა ამისა, ტელეფონით გერმანიის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობას ვესაუბრე და გადაწყდა, გერმანელები საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს თავიანთი ხარჯებით მოუწყობენ ერთკვირიან შეკრებას. შვეიცარიაში ისიც გადაწყდა, რომ საქართველოში უეფას მოხელეები ჩამოვლენ და ჩვენებს ადმინისტრაციულ პროგრესკურსებს ჩაუტარებენ.

თბილისის „დინამოს“ თაობაზე გეტყვით — ყველაფერი ამ თვეში უნდა გაირკვეს. პერსპექტივა გამოიკვეთა, შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე და „დინამოს“ მწვრთნელი რევაზ არველაძე შეთანხმებულად მუშაობენ, ნაბიჯ-ნაბიჯ „დინამოს“ საქმეც სასიკეთო ბოლოსკენ მიდის და ჩვენც საქმის კურსში ვართ.

ფედერაციის შენობა აქვე, „მიხეილ მესხის“ სტადიონის ტერიტორიაზე აშენდება. ქალაქის მერი და სხვა შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები ამაზე თანახმანი არიან.

ამ დღეებში ისიც გადაწყდა, რომ 28 მარტს რუმინეთის ნაკრებს ეროვნულ სტადიონზე ვუმასპინძლებთ. საამისოდ სტადიონზე ერთჯერად განათებას დავამონტაჟებთ და უეფას სტანდარტებს ვუპასუხებთ. პრემია რუმინეთის დამარცხებისთვის ჯერ არ არის განსაზღვრული, მაგრამ დაახლოებით 400 ათასი ლარი იქნება. მოლაპარაკება მიმდინარეობს სხვადასხვა კომპანიასთან ეროვნული გუნდის გენერალური სპონსორობის თაობაზეც, თუმც ახლა ვერც იმას გაგიმხელთ, რომელი ფირმები არიან თანახმანი გუნდის სპონსორობაზე. მათგან, რა თქმა უნდა, ერთს, უკეთესს დავთანხმდებით. შესაძლოა, ეს ფირმა ქართულიც იყოს.



მერაბ ჟორდანია საქართველოს ნაკრებს რუმინეთთან მოგებისთვის სოლიდურ პრემიას ჰპირდება

რევაზ ძოძუაშვილის „ტორპედოში“ მუშაობის წინაამდეგნი არ ვართ. თუ ეროვნული გუნდის პარალელურად ის „ლოკომოტივს“ წვრთნიდა, რატომ არ უნდა იმუშაოს „ტორპედოში“? მით უმეტეს, იქაც დავით ყიფიანთან ერთად იქნება. ისე კი, რა თქმა უნდა, აჯობებდა, ძოძუაშვილსა და ყიფიანს სხვადასხვა გუნდებში ემუშავათ. ჩემპიონატიც მეტად იქნებოდა დაძაბული, თუმცა გივი ნოდიას საქართველოში ჩამოსვლითაც ბევრს მოვიგებთ, თქვა მერაბ ჟორდანიამ.

**კობა ინასარიძე**

---

### (ატყდა) ერთი ამბავი

...ბევრისთვის მოულოდნელად 1997 წლის მიწურულს თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა და ათლეტურმა მცველმა კახა კალაძემ ეროვნულ ჩემპიონატში თამაში იუარა. მალე დაკრა ფეხი და კიევში ამოყო თავი, ვალერი ლობანოვსკისგან უფრო მეტს ვისწავლიო.

ატყდა ერთი ამბავი, გვახსოვს, კალაძეს დისკვალიფიკაციითაც ემუქრებოდნენ „დინამოს“ მაშინდელი მესვეურები. თუმც ჩავიდა ქართული დელეგაცია უკრაინის დედაქალაქში და უკან ერთობ კმაყოფილიც დაბრუნდა. პირველად მაშინ დაირხა ხმები, კიევის „დინამოდან“ კახა კალაძის ტრანსფერის შეთხვევაში ჩვენებური „დინამო“ საერთო თანხის 50 პროცენტს მიიღებსო.

მოგებული დარჩა კახა კალაძე. მან ვალერი ლობანოვსკისგან მართლაც ბევრი ისწავლა და ევროპულ სარბიელზეც სახელი დაიგდო.

სარგებლის მოლოდინშია თბილისის „დინამო“. კიევიდან მილანში გადაბარგებული კალაძის საფასურის ნახევარი ქართულ კლუბს ერთბაშად მოუხსნიდა ბევრ პრობლემას და კიდევ ორიოდ წელიწადის გათრევა საფიქრალი არ იქნებოდა.

# ფული ოხერი რამეა

## კალაძეს — მილანი, დინამოს — ?



კალაძე 97. კახა თბილისიდან კიევში საქართველოს ჩემპიონის რანგით გადავიდა

### მაშ, რამდენი?

...დიდხანს ჯანჯლდებოდა საქმე. კიეველები 20 მილიონს ითხოვდნენ, „მილანი“ მხოლოდ ცამეტს გამოდიოდა. ოფიციალურად არ გაუმხელიათ, არაოფიციალურად 14 მილიონს ასახელებენ, მაგრამ ათ მილიონზე ნაკლებად უკრაინელები ჩვენებურს არ დათმობდნენ.

10 მილიონზე შევთანხმდეთ. გამოდის, „დინამოსი“ 5 მილიონი ყოფილა. ეს ძალიან დიდი ფულია დღევანდელი „დინამოსთვის“, რომელსაც ზედმეტი 5 დოლარი ენატრება.

კი მაგრამ, რა ვიცით, 50 პროცენტი რომ „დინამოსია“? ჩვენ ხომ ყურმოკრული გაგვიგია და სხვა საბუთიც არაფერი გაგვაჩნია.

კარგით, რახან ამგვარად დავსვით კითხვა, მაშინ ბოლომდე მივყვეთ. კალაძის კიევში გადასვლის შემდეგ ერი და ბერი, ვისაც „დინამოსთან“ იმ დროს რაიმე შეხება ჰქონია, ლაპარაკობდა იმ ყბადაღებულ 50 პროცენტზე, რომელსაც „დინამო“ სამ წელიწადზე მეტხანს ელოდა და ახლაც ელის.

ჭორად მოსმენილი საბუთად არ გამოდგება! კი ბატონო, მაგრამ ხელს ნუ ჩაიქნევენ „დინამოს“ ჭირისუფლები და ერთგული ქომაგები. გადავშალოთ გუშინდელი „სარბიელი“. მეორე გვერდზე შავით თეთრზე გარკვევით წერია...

***მერაბ რატიანი, ჯერ კიდევ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი:***

— კი, მართალია, თბილისის „დინამოს“ იმ თანხის 50 პროცენტი ეკუთვნის, რასაც „მილანი“ კიევის „დინამოს“ კალაძის სანაცვლოდ გადაუხდის. საბუთებში ასე წერია.

იმ წელს და მერეც, სანამ მერაბ რატიანი „დინამოს“ პრეზიდენტი გახდებოდა, კლუბის დირექტორატის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. არ შეიძლება, იმ 50 პროცენტიანი წილის შესახებ მანაც ჩვენსავით ყურმოკრულად იცოდეს. „დინამოს“ ფული ერგება, მოკლედ მოჭრა პრეზიდენტმა.

***დავით კვინიკაძე, ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი:***

...ისე, მეც მსმენია, რომ თბილისის „დინამოს“ კალაძის ტრანსფერიდან 50 პროცენტი ეკუთვნის.

მუდამ ფრთხილი და წინდახედული კაცი იყო კვინიკაძე. პირდაპირ არაფერი დაუდასტურებია, მაგრამ არც უარყვია 50 პროცენტის შესაძლო არსებობა.

სხვებისგან რა ისმის? ფაქტობრივად არაფერი — არ ვიცი, არ მახსოვს, ჩვენს კომპეტენციაში არ შედის. ჩვეულებრივი და არცთუ მოულოდნელი პასუხები. სანამდვილეში ბევრმა იცის, ბევრსაც ახსოვს და არა მხოლოდ ერთის და ორის კომპეტენციაში შედის.

### დუმილი რეკავს

რაც ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო, მას აქეთ თბილისის „დინამო“ სხვათა თანასწორ, ოღონდ ისტორიითა და ტრადიციებით გამორჩეულ გუნდად უნდა გადაქცეულიყო. თუმც მას საკმაო ხანს არ მოჰკლებია პრივილეგიები, რომელთაც მისთვის ზოგჯერ ზიანიც მოუტანია.

„დინამო“ აღარ არის სახალხო გუნდი იმ მიზეზის გამო, რომ ასეთი მხოლოდ საქართველოს ნაკრებია. საბჭოთა კავშირი უკვე წარსულია და რაც მალე დავივიწყებთ, მით უკეთესი იქნება საერთო საქმისთვის.

გადასარჩენიც არაფერი სჭირს „დინამოს“. ნათელია, კლუბს ფული გამოუჩნდა და თანაც არა ერთი და ორი მილიონი. ახლა მთავარია, მეპატრონეთა (ან მეპატრონის) ვინაობა დადგინდეს, კლუბი რეგისტრაციაში გატარდეს და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

ისე, ძალიან ოხერი რამეა ეს ფული, თანაც თითქოს არაფრისგან მოსული და ერთბაშად რამდენიმე მილიონი.

ჰოდა, სულაც არ მიკვირს, თითქმის ყველა დუმილს რომ არჩევს.

...მილიონი — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... გამდიდრდა „დინამო“? თეორიულად კი, პრაქტიკულად ჯერ ვერა. „მილანში“ კალაძის ტრანსფერი შეიძლება გარკვეული დროით სატანჯველადაც ექცეს „დინამოს“, რადგანაც ათგზის ჩემპიონი მოშიებულ და ბოძზე მიკრულ იმ კაცს ჰგავს, შორიახლოს ნუგბარი რომ უდევს.

**მამუკა ძგანტალიანი**

---

### იტალია

თასის ნახევარფინალი

პირველი მატჩი

**მილანი 2:2 ფიორენტინა**

0:1 კოქზა (18), 1:1 ამბროზინი (66), 1:2 ბრეშანი (75), 2:2 ჯუნტი (90)

### ჰოლანდია

თასის მეოთხედფინალი

**ნაიმეგენი 1:2 ფეიენოორდი**

1:0 სხულპი (4), 1:1, 1:2 კალუ (7, 80)

# ჯონი და ნეოპლანი კოლხეთისთვის

**ქუთაისის** „ტორპედომ“ ესენგეს თასზე საქართველოს ნამუსი მოსწმინდა, ქვედა ლიგაში მეტოქეები მიყარმოყარა და სავარჯიშოდ ბელგიაში გაემგზავრა. შეკრებაზე მიდის თბილისური „ვიტ ჯორჯიაც“. ვეტერინარები ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებას იტალიაში, დაბა ნორჩაში გააგრძელებენ. ბულგარეთში აპირებს წასვლას ასლან ბალაძის „ბათუმიც“. ზემოჩამოთვლილ გუნდებს, რაღა თქმა უნდა, არც ფოთის „კოლხეთი“ ჩამორჩა. კოლხებს, როგორც ადრე გამცნეთ, ახლაც ბულგარეთისკენ უჭირავთ თვალი.

ნაცნობ ნესებრში (კურორტ-ქალაქი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, სადაც კოლხები ადრეც ყოფილან) ფოთელები დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად უნდა წასულიყვნენ, თუმცა ორიოდ დღით მოუწევთ მოცდა. თუ სასწაული არ მოხდა, 29 იანვარს აუცილებლად გავემგზავრებითო — გვითხრეს გუშინ ზღვისპირელებმა.

ახლა კი კონკრეტულად. გუშინვე, ცხადია, „სარბიელი“ კლუბის მთავარ მწვრთნელ სოსო ფილიას დაუკავშირდა, მწვრთნელი გახარებული იყო, ქუთაისის „ტორპედოდან“ ჯონი შალამბერიძე დავიბრუნეთო. შალამბერიძეზე და სხვა კოლხურ სიახლეებზე ქვემოთ, მანამდე კი...

„კოლხეთი“ გუშინწინ ყვავილნარში შეკრებაზე მყოფ თბილისურ თსუ-ს გაეჯიბრა და შალვა მუმლაძის გოლით 1:0 მოუგო. ორი დღით ადრე „ბათუმთან“ კიდევ ერთხელ ითამაშეს და მინიმალური ანგარიშით 0:1 წააგეს. კოლხებს ბურთი „ბათუმში“ დაბრუნებულმა ვეტერანმა პაატა მაჭუტაძემ გაუტანა. აი, ამის მერე უნდა გადაწყვეტილიყო, როდის გაემგზავრებოდნენ ფოთელები ნესებრს. ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ კლუბის უფროსობამ თათბირიც კი გამართა.

— ჯონი შალამბერიძე უკვე დავიბრუნეთ, „ტორპედომ“ ბელგიაში შეკრებაზე არ იახლა და მანაც „კოლხეთში“ დაბრუნება არჩია. იგი ბულგარეთში აუცილებლად წამოვა. შესაძლოა ჩვენთან ერთად ბადრი ახვლედიანიც



ჯონი შალამბერიძე „კოლხეთმა“ დაიბრუნა

წამოვიდეს, მას „ტორპედოსთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა, გუნდმა იგი ტრანსფერზე დააყენა. თუ „ტორპედოს“ შევუთანხმდით, ახვლედიანის „კოლხეთში“ ხელმეორე დაბრუნებას (ახვლედიანი, ფოთის „კოლხეთში“ ორი წლის წინათაც თამაშობდა) წინ არაფერი უდგას — გვითხრა ფილიამ და დასძინა — არაა გამორიცხული, კახა კვეტენაძეც დავიმატოთ. მე მის თაობაზე დავით ყიფიანს უკვე ვესაუბრე, სიტყვიერად შევთანხმდით კიდეც. კვეტენაძე ახლა ბელგიაში იმყოფება „ტორპედოსთან“ ერთად, გუნდი სამშობლოში რომ დაბრუნდება, კახა თქვენთვის დამითმია, თქვენდა სასიკეთოდ გადაწყდება ყველაფერიო — შემპირდა ყიფიანი.

ესეც ასე. „ტორპედოს“ მიერ დაწუნებული (თუმცა, ვისთვის როგორ) ფეხბურთელები, ჩემპიონატის განახლებას სავარაუდოდ „კოლხეთში“ შეხვდებიან.

ფილიამ გუშინწინ დაითხოვა თსუ-დან გასინჯვაზე მყოფი კახა ვადაჭკორია, ხობელი ვართაგავა ბულგარეთში ვერ წავა, მაგრამ „კოლხეთში“ შესაძლოა მაინც დარჩეს, მანამდე კი ფეხბურთელი ფარმ-კლუბთან გააგრძელებს ვარჯიშს. ფარმ-კლუბიდანვე აყვანილი ხუთი მოთამაშიდან მწვრთნელმა ოთხი დაიტოვა, რემი ჩხენკელი ისევ „კოლხეთი 2“-ს დაუბრუნდა, აქვე ითამაშებენ გუნდიდან დათხოვნილი ახალგაზრდებიც — დავით თედეევი და გიორგი ჭანტურიძე.

ახლა მათზეც, ვისაც თან იახლებს სოსო ფილია. „კოლხეთის“ გარდა ნესებრში 8 ევროპული კლუბი იქნება, რომელთა უმრავლესობასაც ბულგარელები შეადგენენ. საკონტროლო თამაშების პრობლემა არ იქნება, ალბათ ყოველ მესამე დღეს ვითამაშებთო. აქედან კი ის გამოდის, რომ ბულგარეთში ყოფნისას 18 დღეში „კოლხეთი“ 6-ჯერ ითამაშებს? „სარბიელი“ კოლხთა ბულგარულ ამბებსაც მოგაწვდით. მანამდე კი იმ ფეხბურთელებს გაეცანით, ვისიც ფილიას ეიმედება:

*მეკარეები: ზურაბ ქვაჩახია, მამუკა გვასალია, ბიძინა ჩემია;*

*მცველები: ვალერი ტორჩინავა, კახაბერ გოროზია, გელა ფანჩულიძე, მიხეილ ქობულაძე, გოგიტა ქუნთელია, ელგუჯა პაპავა, დავით ნარსია, ლევან აკობია, ბადრი ახვლედიანი;*

*ნახევარმცველები: ზაველ ღალანიძე, ჯონი შალამბერიძე, თამაზ კიკლიაშვილი, გიორგი გოგიაშვილი, დავით კვირკველია, გიორგი კრასოვსკი, პაატა ბაჩილავა, ვაჟა ყურაშვილი;*

*თავდამსხმელები: ელდარ გვასალია, ჰამლეტ წივწივაძე, შალვა მუმლაძე, ლევან შავგულიძე.*

ჰო, „კოლხეთს“ გერმანიიდან როგორც იქნა კომფორტული ავტობუსი ჩამოუვიდა. ფოთელებიც ბულგარეთს „ნეოპლანის“ ფირმის ავტობუსით წავლენ.

**გიორგი გუგავაძე**



მალხაზ ასათიანი ეროვნული გუნდის დებიუტანტია

# ცდა მესამე, სიყვარულის დღეს

## ქუთაისელთა დებიუტი და დაბრუნება

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელებმა რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმ ფეხბურთელთა სია წარუდგინეს, რომელთა გამოძახებასაც 14 თებერვლის უკრაინასთან მატჩისთვის აპირებენ.

მწვრთნელებმა საამისოდ 21 ფეხბურთელი დაასახელეს და მათ შორის ერთი, ნაკრებისთვის დებიუტანტი იქნება — ძოძუაშვილმა და ყიფიანმა ეროვნულ გუნდში ქუთაისის „ტორპედოს“ 19 წლის გამთამაშებელ მალხაზ ასათიანს უხმეს. მისივე თანაგუნდელი მიხეილ აშვეთია კი კარგა ხნის შესვენების შემდეგ ეროვნულ გუნდს კვლავ დაუბრუნდება.

მიზეზთა გამო 14 თებერვალს ვერ ითამაშებენ ინგლისური „დერბის“ საზარდულმტკივანი ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე და ესპანეთის „სოსიედადის“ მენისკნაოპერაციევი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფორვარდ ზაზა ჯანაშიას გამოძახება კი მწვრთნელებმა ამჯერად საჭიროდ არ ჩათვალეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამი ფეხბურთელი არ იქნება, შეიძლება ითქვას, საქართველოს ნაკრები 14 თებერვალს ეროვნულ სტადიონზე უკრაინელებს უძლიერესი შემადგენლობით დაუპირისპირდება:

*მეკარეები: დავით გვარამაძე („სკონტო“, რიგა, ლატვია), ირაკლი ზოიძე („ტორპედო“, ქუთაისი);*

*მცველები: ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან სილაგაძე, სევასტი თოდუა (სამივე „ლოკომოტივი“, თბილისი), რევაზ ქემოკლიძე („დინამო“, თბილისი), კახა კალაძე („მილანი“, იტალია);*

*ნახევარმცველები: გიორგი ნემსაძე („დანდი“, შოტლანდია), ალექსანდრე რეხვიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი (ორივე — „სკონტო“, ლატვია), თემურ ქეცბაია („ვულვერჰემპტონი“, ინგლისი), გოჩა ჯამარაული („ციურიხი“, შვეიცარია), ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია), მალხაზ ასათიანი („ტორპედო“), თენგიზ სიჭინავა („დინამო“, თბილისი);*

*თავდამსხმელები: შოთა არველაძე („აიაქსი“, ამსტერდამი, ჰოლანდია), არჩილ არველაძე („კიოლნი“, გერმანია), მიხეილ ყაველაშვილი („ციურიხი“), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი“), მიხეილ აშვეთია („ტორპედო“).*

მათი მეტოქე უკრაინელთა ვინაობა კი სტუმართა მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკის ჯერ არ დაუსახელებია, თუმც ამბობენ, უკრაინის ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით ჩამოსვლას არ აპირებსო.

შეგახსენებთ, აქამდე საქართველოსა და უკრაინის ნაკრებები ერთმანეთს ორჯერ შეხვედრიან და ორჯერვე უკრაინელებმა მოიგეს: კიევში 4:0, თბილისში 1:0.

**ბოგა ინასარიძე**

# ზაზამ ფორტუნას არ გაუღიმა

## ჯანაშიამ პირადი კილოგრამები მოიკლო და გუნდური ფონა მოიმატა



ზაზა ჯანაშია ნელ-ნელა ფორმას იბრუნებს

**„ზაზა ჯანაშიამ** თუ წონაში არ დაიკლო, გუნდთან ერთად შეკრებაზე არ წამოვა“ —განაცხადა რუსული „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა ჯერ კიდევ დეკემბერში, როდესაც მისი გუნდი იტალიაში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ამის მერე დიდი ხანი არ გასულა და „სპორტ ექსპრესის“ სატრანსფერო ციებ-ცხელების გვერდზე ქართველი ფორვარდი „ლოკომოტივიდან“ წამსვლელთა შორის მოიხსენიეს, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა.

ჯანაშია იტალიურ შეკრებაზეც გაჰყვა გუნდს, საკონტროლო მატჩებშიც ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ „სპორტ ექსპრესის“ სატრანსფერო გვერდში „ლოკომოტივიდან“ გასხვისებულების გრაფას მისი გვარი დღესაც არ სცილდება, წარმატებით აგრძელებს რკინიგზულ კლუბში ხელახლა დამკვიდრების პროცესს და მის ჭარბ წონაზეც არავინ ლაპარაკობს.

20 იანვარს ჯანაშიას თანაგუნდელებთან ერთად რუსეთის საფეხბურთო კავშირმა საზეიმო ვითარებაში გადასცა ვიცე-ჩემპიონისთვის განკუთვნილი ვერცხლის მედალი, მეორე დღეს კი გუნდი მორიგ შეკრებაზე გაემგზავრა პორტუგალიაში.

ლისაბონიდან 260 კილომეტრში მდებარე ქალაქ ალბუფეირეს სასტუმრო „ალფა მარში“ დაბანაკებულმა სიომინის შეგირდებმა 23 იანვარს პირველი საკონტროლო მატჩიც გამართეს და 0:1 დამარცხდნენ გერმანულ „ალემანიასთან“. იმ მატჩში ჯანაშია მეორე ნახევარში შევიდა მოედანზე, თუმც ბევრიც ვერაფერი გააწყო. სამაგიეროდ, გუშინ გამართულ მორიგ საკონტროლო შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ქართველი ფორვარდი.

„ლოკომოტივი“ დიუსელდორფის „ფორტუნას“ შეხვდა და პირველი ტაიმის შემდეგ დამარცხებულმა დატოვა მოედანი, ერთადერთი გოლი ტაიმის ბოლოს გაუშვეს რკინიგზელებმა.

სიომინმა მეორე ნახევარში ჯანაშიას მისცა თავის გამოჩენის შანსი და არც შემცდარა. ზაზამ დებიუტშივე აღადგინა ძლიერი დარტყმით წონასწორობა, მერე კი მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ჩუგაინოვმა გამოიყენა. საბოლოო ჯამში „ლოკომოტივმა“ 5:1 გაანადგურა მეტოქე. მეხუთე გოლი კი ციბულმა ჯანაშიას პასით შეაგდო.

„ლოკომოტივი“ ალბუფეირაში 30 იანვრამდე დარჩება, ხვალ კი მორიგ საკონტროლო მატჩში პორტუგალიაშივე შეკრებაზე მყოფ თანაქალაქელ „დინამოს“ დაუპირისპირდება.

**პაატა ძგანტალიანი**


ჰერბალ-ვი ვიაგრას მცენარეული ალტერნატივა




სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების აბსოლუტურად უსაფრთხო, მაღალეფექტური მცენარეული საშუალება

HERBAL VY — მამაკაცებისთვის — აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის დაავადებით ან სხვა დაავადებებით, — აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; — წარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; — რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი“ ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს;

*„ჰერბალ ვი“-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა, აგრეთვე სპორტსმენები, საუკეთესო სპორტული შედეგების მისაღწევად!*

HERBAL VY — „ვიაგრა“ — უაღრესად პოპულარული, უსაფრთხო მცენარეული ალტერნატივა მსოფლიოს ელიტარულ საზოგადოებაში!

*ინგლისურ-შვეიცარიული კომპანია „სვისჰელსის“ ნანარმი.*

აიღეთ ცხოვრებისგან საუკეთესო!

მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში

„სვისჰელსის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორეტი“ ტ. 99-87-37

# დუელი ზღვაზე მაჭუტაძემ მოიგო

**სათასო** გუნდი იყო „ბათუმი“ და ეროვნულ ჩემპიონატშიც მოწინავე პოზიციებზე იმყოფებოდა. აჭარელთა სიძლიერეს, სხვა ფაქტორების გარდა, სტაბილური შემადგენლობა განაპირობებდა — მეტად შეკრული ერთსულოვანი კოლექტივი გახლდათ ბათუმური „დინამო“.

მაგრამ დადგა ცვლილებების დროც. ზღვისპირელთა თავკაცობა იტალიელ სპეციალისტს მიანდეს, რომელიც ნელ-ნელა, ეტაპობრივად შეუდგა შემადგენლობის გადახალისებას. ჯანი კარნევალის რევოლუციისთვის სამწლიანი პროგრამა ჰქონდა შემუშავებული, მაგრამ პირველი წარუმატებელი სეზონი და მომდევნოს ცუდი სტარტი არ ეპატია — გუნდის გაწვრთნა ასლან ბალაძეს გადაულოცეს, რომელმაც მეშვიდე ადგილით ჩაამთავრებინა „ბათუმს“ მეთორმეტე ეროვნულის საშემოდგომო ეტაპი.

სეზონის განახლებისთვის მზადებას „ბათუმი“ 6 იანვარს შეუდგა. გუნდში წამსვლელ-მომსვლელ ფეხბურთელთა ვინაობა ადრეც გაუწყეთ და „სარბიელის“ საშუასეზონო მიდი-მოდიშიც შეგიძლიათ ამოიკითხოთ. გუშინ კი ასლან ბალაძეს ვესაუბრეთ და მან გვამცნო, რომ თბილისის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი ირაკლი შენგელია ახლა მის გუნდშია. ამ ფეხბურთელს, რომელმაც შარშანდელ ზაფხულში ოთარ ხიზანეიშვილთან ერთად მოსკოვის „სპარტაკს“ მიაშურა და მერე უკან გამობრუნდა, „მერანიც“ ეპატიჟებოდა. ეს 19 წლის შემტევი ნახევარმცველი უკვე რამდენიმე დღეა, ასლან ბალაძის განკარგულებაშია.

„ბათუმმა“ ჯერჯერობით სამი საკონტროლო შეხვედრა გამართა და სამივე სტუმრად ფოთის „კოლხეთთან“. პირველ მატჩში ფოთელებმა იმარჯვეს 4:1 (ბათუმელთაგან ბურთი პაატა მაჭუტაძემ გაიტანა), მეორედ შალვა აფხაზავასა და ვიტალი დარჩიძის გოლებით ბათუმელებმა რევანში აიღეს. ორივე შეხვედრაში გუნდებმა შერეული შემადგენლობით ითამაშეს, ძირითადი და იმ ახალწვეული ფეხბურთელებით, რომელთა გუნდში დარჩენა-არდარჩენაც ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ზღვისპირელთა საკონტროლო დუელის მესამე მატჩში კი გუნდები უძლიერესი შემადგენლობით წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ — აჭარლებმა 1:0 გაიმარჯვეს და ეს ერთადერთი ბურთი მაჭუტაძემ გაიტანა.



პაატა მაჭუტაძე

როგორ ფორმაში არიან გუნდში დაბრუნებული ვეტერანები, მაჭუტაძე და თემურ ტუღუში? „მათ შვიდი თვე არ უთამაშიათ და ამის გათვალისწინებით საკმაოდ კარგად გამოიყურებიან. მაჭუტაძის და ტუღუშის დაბრუნებით „ბათუმის“ შეტევითი პოტენციალი ერთობ მოიმატებს, მათი დიდად მეიმედება. რა თქმა უნდა, კარგი ახალგაზრდობა გვყავს, მაგრამ მაჭუტაძისა და ტუღუშის გამოცდილება უდავოდ დასაფასებელია“ — გვიპასუხა ასლან ბალაძემ.

სანამ აჭარელთა გუნდი შეკრებას უცხოეთში გააგრძელებდეს, კიდევ ორ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს დღეს და 29 იანვარს „ბათუმი“ ყვავილნარში თსუ-ს გაეჯიბრება.

ბოლოს უცხოურ შეკრებებზეც გეტყვით. ბათუმელები იტალიაში წასვლას გეგმავდნენ, მაგრამ სანაცვლოდ 1-დან 20 თებერვლამდე ბულგარეთს ესტუმრებიან.

**დავით თავართქილაძე**

# დაბრუნება ორი წლის შემდეგ

**16 წლისამ** მოირგო პირველად მიხეილ თაყაძემ გორის „დილას“ მაისურა და პერსპექტიულ ჭაბუკადაც წარმოაჩინა თავი. აქვე თამაშობდა მისი ძმა რომან ახალკაცი. ძმები მთელ მარჯვენა ფლანგს ფლობდნენ — რომანი ნახევარმცველად თამაშობდა, მიხეილი გარემარბად, მაგრამ მერე მათი გზები გაიყარა...

რომან ახალკაცი ახლა ტორპედოელია, მიხეილი კი ერთხანს უგუნდოდ იყო. მან შარშანწინ დატოვა „დილა“ და მოლდოვურ „შერიფში“ გადავიდა. ტრანსფერი მართლაც წარმატებული გახლდათ, მაგრამ თაყაძე ვერა და ვერ ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში და უკან გამობრუნდა.

მეთორმეტე ეროვნულისთვის მიხეილ თაყაძემ „ვიტ ჯორჯიას“ მიუშარა, თუმც ვერც იქ მოიკიდა ფეხი — უმეტესწილად შეცვლებზე თამაშობდა, ისიც პერიოდულად და საშემოდგომო ეტაპის დასრულების შემდეგ უგუნდოდ დარჩა.

ორწლიანი პაუზის შემდეგ მან ისევ მშობლიურ კერას მიაშურა — 21 წლის მიხეილ თაყაძე კვლავ გორის „დილაში“ ითამაშებს. რევაზ ხაჭაპურიძის, გიორგი და ბექა ჩიტაიების მერე ის „დილას“ მეოთხე შენაძენია საგაზაფხულო ეტაპისთვის.

კვლავ გაურკვეველია ქრისტეფორე შატაკიშვილის ბედი, რომელიც იჯარით გაუშვეს. ბელარუსულ „ლიდაში“ და ტრანსფერს ვადა გაუვიდა, მაგრამ „დილაში“ დაბრუნება არ მოისურვა. გორელთა ხელმძღვანელობამ უკვე გაუგზავნა შესაბამისი შეტყობინება „ლიდას“ და ახლა პასუხს ელის.

**დავით თავართქილაძე**



მიხეილ თაყაძე

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *გივი ნოდია* | ლევან სილაგაძე, თოდუა (ტორპედო), რუსია (ცსკა, უკრაინა), გონჩაროვი, პარამონოვი (ტრანსფერზე არიან), აბრამიძე (?) | ბაქრაძე (მეტალურგი), ზ. ლაცაბიძე (პუტნიკი, პოლონეთი), ანჩაბაძე (დინამო), კანდარაშვილი (კრივბასი, უკრაინა), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი) | |
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი* | ჭანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), შალამბერიძე, ახვლედიანი (კოლხეთი), თურმანიძე, შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, მეგრელაძე (?) | დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშვეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა (ლოკომოტივი), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირჯიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი) | კოლხეთი 0:0, ჟაშტიკ აკ ალტინი (ყირგიზეთი) 3:0, შამქირი (აზერბაიჯანი) 2:1, დუსტლიკი (უზბეკეთი) 3:0 |
| **დინამო** *რევაზ არველაძე* | ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (ტორპედო), სახვაძე (რიდი, ავსტრია), ანჩაბაძე (ლოკომოტივი), გადელია (?) | იაგორაშვილი (პროიზერ კიოლნი, გერმანია), ჩივაძე, მიკუჩაძე, მანწკავა, ქარდავა (დინამო 2) | დილა 4:0, გორდა 4:3 |
| **ვიტ ჯორჯია** *თემურ მახარაძე* | დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), სტურუა (თსუ), მიხეილ თაყაძე (დილა) | გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), არსოშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (თსუ), ფეიქრიშვილი (ვალენსია) | სიონი 2:1, თსუ 2:0 |
| **კოლხეთი** *სოსო ფილია* | ახალკაცი (ტორპედო), მაღლაკელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (დილა), კედელაშვილი (გორდა), დავითნიძე (ნ.ნოვგოროდი, რუსეთი), თედეევი, ჭანტურიძე (კოლხეთი2), ხუჭუა (?, რუსეთი) | ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ნიჟნიაძე (სიონი), მუმლაძე (იბერია შევარდენი), ვართაგავა (ხობი), შალამბერიძე, ახვლედიანი (ტორპედო), ნარსია, აკობია, პ. ბაჩილავა, ყურაშვილი (კოლხეთი2) | ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1, 0:2, 0:1, თსუ 1:0 |
| **მერანი** *ოთარ გაბელია* | პოდლესნი (ზარია, უკრაინა) | მაღლაკელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი) | |
| **ბათუმი** *ასლან ბალაძე* | ბედიაშვილი, სოხაძე (გორდა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდამონიძე (ტავრია, უკრაინა), თარგამაძე (სიონი), ბ. შენგელია, ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზე არიან), ჩოხელი, სიხარულიძე, ქერაშვილი (?) | ჭანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, ტუღუში (არ თამაშობდნენ), ი. შენგელია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი); | კოლხეთი 1:4, 2:0, 1:0 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ნიჟნიაძე (კოლხეთი), გამცემლიძე, პეტრიაშვილი, დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე (?) | თარგამაძე (ბათუმი), ტარიელაშვილი (თორი), მოსულიშვილი, ძაძირაძე (არ თამაშობდნენ) | ვიტ ჯორჯია 1:2 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | | ბედიაშვილი, სოხაძე (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), ა. გელაძე, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ) | დინამო 3:4, მილანი 3:2 |
| **დილა** *ვაჟა ხაჩირაშვილი* | მდივანი (ივერია), ციცქიშვილი (ცხინვალი), გ. ტულუში (თამაში მიატოვა) | რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი), მიხეილ თაყაძე (ვიტ ჯორჯია) | დინამო 0:4 |
| **თსუ** *მერაბ კოჭლაშვილი* | გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), გუგუნავა, ა. ბოკერია, ერაძე, კ. ვადაჭკორია (?) | სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ქილლაძე, ელყანიშვილი, დათუნაშვილი, დ. სულავა, ბეროშვილი, ე. მერებაშვილი, შოშიაშვილი, ჯობავა, ა. ლობჟანიძე (ვიტ ჯორჯია 2) | ვიტ ჯორჯია 2:2:0, ვიტ ჯორჯია 0:2, კოლხეთი 0:1 |
| **იბერია შევარდენი** *ნოდარ აკობია* | ს. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე, ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?) | ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი) | |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

## ესპანეთი

### გადადებული მატჩი

**რეალი 3:0 სარაგოსა**

1:0 სალგადო (50), 2:0 რაული (56), 3:0 რობერტო კარლოსი (77)

რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, კარანკა (მუნიტისი 78), რობერტო კარლოსი, ელგერა, მაკელელე (სელადესი 63), მაკმანამანი, ფიგუ, რაული, მორიენტესი (გუტი 67)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

სარაგოსა: ხუანში, კუარტერო, პაკო ხემესი, სეზარი, ლანა, ხოსე იგნასიო, არაგონი (ფერონი 83), ხუანელე, მონტენეგრო, მარტინ ველისკა (კორონა 65), ჟამელი (იორდი 65)

მწვრთნელი: ლუის კოსტა

გაფრთხილება: ლანა, მაკელელე, პაკო ხემესი, არაგონი

53 000 მაყურებელი

**გასულ** სეზონში, 1999 წლის 4 დეკემბერს, პრიმერადივიზიონში ისეთი რამ მოხდა, რაც მთელი 25 წელი არ მომხდარა — „რეალმა“ მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „სარაგოსასთან“ 1:5 წააგო. „რეალი“, ცხადია, იქამდეც აგებდა, იმ სეზონში „სარაგოსას“ მილებამდე ორ საშინაო მატჩში დამარცხებულიყო, მაგრამ ანგარიშსაც ხომ გააჩნია? ამდენი გოლი კი მადრიდელებს შინ ორ ათეულ წელზე მეტხანს არ გაეშვათ.

დედაქალაქელები რევანშისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ. უნდოდათ, ისე მოეგოთ, მაშინდელი სირცხვილი ჩამოეწმინდათ. აქვე გავიხსენოთ, რომ გუშინწინდელი მატჩი 26 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ „რეალი“ „ბოკა ხუნიორსთან“ საბრძოლველად ემზადებოდა და გადაიდო.

ახლანდელი 3:0 მაშინდელ 1:5-ს ვერ გადასწონის, მაგრამ პრინციპში ეს მეორეხარისხოვანი ამბავია. მთავარი ის გახლავთ, რომ ერთი წლის წინანდელ „რეალს“ ძნელად თუ შევადარებთ ახლანდელს (ისევე, როგორც მაშინდელი „სარაგოსასგან“ ახლა აჩრდილიღა დარჩენილა).

მასპინძლებმა პირველივე წუთიდან ხელთ იგდეს მატჩის სადავეები და ბოლომდე არ გაუშვიათ. დაწყებისთანავე მაკმანამან-რაულის მწვავე გარღვევას კინაღამ გოლი მოჰყვა, მაგრამ ინგლისელის დარტყმული ოდნავ ასცდა მიზანს. ცოტაც და ფერნანდო მორიენტესმა ვერ გამოიყენა მიჩელ სალგადოს უგრძელესი და უზუსტესი პასი.



REUTERS მადრიდიდან

მადრიდელი ლუიშ ფიგუ სარაგოსელ დანიელ მონტენეგროს გაექცა

ასეთი უშედეგო იერიშები 50-ე წუთამდე გაგრძელდა, სანამ მეტოქის საჯარიმოში შეჭრილმა სალგადომ მცველი ზურგს უკან მოიტოვა და სარაგოსელ მეკარე ხუან მიგელ ხუანმის გასაკვირად ახლო კუთხეში დაურტყა (მეკარე შორეული ძელისკენ დარტყმას ელოდა).

ექვსი წუთიც და რაულმა მეორე შეაგდო — მაკმანამანისგან პასი მიიღო და მეურვეც კარგად მოატყუა.

შემდეგ მორიენტესს და ფიგუს გაუფუჭდათ რამდენიმე ჩინებული შანსი, ხოლო საბოლოო წერტილი მატჩს ჩვეული, ბრწყინვალე საჯარიმოთი რობერტო კარლოსმა დაუსვა.

პრიმერადივიზიონში პირველი წრე დასრულდა. „რეალი“ ისედაც ლიდერი იყო და ამ გამარჯვებით პოზიცია კიდევ უფრო განიმტკიცა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 19 | 13 | 3 | 3 | 46:21 | 42 |
| დეპორტივო | 19 | 11 | 4 | 4 | 34:18 | 37 |
| ბარსელონა | 19 | 11 | 3 | 5 | 39:27 | 36 |
| ვალენსია | 19 | 10 | 5 | 4 | 29:13 | 35 |
| მალიორკა | 19 | 8 | 7 | 4 | 28:25 | 31 |
| რაიო ვალეკანო | 19 | 7 | 8 | 4 | 38:28 | 29 |
| ლას პალმასი | 19 | 8 | 4 | 7 | 23:35 | 28 |
| მალაგა | 19 | 8 | 3 | 8 | 30:29 | 27 |
| ბილბაო | 19 | 7 | 5 | 7 | 27:25 | 26 |
| ვილიარეალი | 19 | 7 | 5 | 7 | 23:22 | 26 |
| ალავესი | 19 | 7 | 3 | 9 | 29:27 | 24 |
| სარაგოსა | 19 | 5 | 9 | 5 | 24:23 | 24 |
| ესპანიოლი | 19 | 7 | 3 | 9 | 21:23 | 24 |
| ოვიედო | 19 | 7 | 3 | 9 | 23:33 | 24 |
| ვალიადოლიდი | 19 | 4 | 10 | 5 | 22:25 | 22 |
| სელტა | 19 | 5 | 5 | 9 | 22:30 | 20 |
| ნუმანსია | 19 | 5 | 4 | 10 | 20:30 | 19 |
| ოსასუნა | 19 | 3 | 8 | 8 | 20:29 | 17 |
| რასინგი | 19 | 3 | 5 | 11 | 20:33 | 14 |
| სოსიედადი | 19 | 3 | 5 | 11 | 17:39 | 14 |

## ფეხბურთის რუკასთან



**რუმინელმა** თავდამსხმელმა ადრიან ილიემ ვარჯიშისას ფეხის კუნთი დაიჭიმა და „ვალენსიას“ ჯერჯერობით ვერ დაეხმარება. ექიმები ვარაუდობენ, რომ მკურნალობის კურსი დაახლოებით სამ კვირას გასტანს. ბოლო ორი სეზონია ილიეს ქრონიკული ტრავმა აწუხებს. ამ ხნის მანძილზე მან „ვალენსიაში“ მხოლოდ 30 შეხვედრა ჩაატარა.

**კოლუმბიელ** ნახევარმცველ მაურისიო სერნას გადაბირება „ასტონ ვილას“ სურს. იუწყებიან, რომ 32 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ ბირმინგემელები არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს“ 3,5 მილიონ გირვანქას უხდიან და ალბათ, მალე მიაღწევენ მიზანს. „ბოკა ხუნიორსის“ კაპიტანი ხორხე ბერმუდესი კი შესაძლოა, „ბეშიქთაშში“ აღმოჩნდეს. თურქული კლუბი არგენტინელებთან მოლაპარაკებას აწარმოებს და, როგორც ცნობილია, სანაცვლოდ 2 მილიონ გირვანქას სთავაზობს.

**ფრანგულმა** „სტრასბურმა“ „ლანსის“ მცველი ვალერიან ისმაელი სეზონის ბოლომდე ინათხოვრა. აღსანიშნავია, რომ 25 წლის ფეხბურთელი 1998 წლამდე სწორედ „სტრასბურში“ თამაშობდა, იქიდან ინგლისურ „კრისტალ პალასში“, შემდეგ კი, „ლანსში“ გადავიდა. შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ სეზონის ბოლოს „სტრასბურს“ ისმაელის საბოლოოდ შესყიდვის უფლება აქვს.

**ესპანურმა** „რასინგმა“ არგენტინელი მცველი პაბლო კანდენასი „სანტაფე დე იუნიონიდან“ სეზონის ბოლომდე ინათხოვრა, ხოლო თუ შემდეგ 700 ათას გირვანქას გადაიხდის, საბოლოოდ დაიტოვებს. პრიმერადივიზიონურ კლუბს დაცვაში პრობლემები აქვს და 22 წლის ცენტრალური მცველიც ამიტომ სჭირდება. კანდენასმა შესაძლოა, უკვე მორიგ ტურშიც ითამაშოს.

**ესპანური** „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელის — იგნასიო სოკოს ვაჟი, ხორხე, „ბადახოსში“ გადავიდა. 25 წლის მცველი დაბალ დივიზიონებშითამაშობდა, იცავდა „სანტა ანას“, „ხეტაფესა“ და „მალიორკა B“-ს ღირსებას. შემდეგ კი ჩინეთში წავიდა, ბოლოს კი ესპანურ „მანჩელოში“ გამოდიოდა.

**საფრანგეთის** ახალგაზრდული ნაკრების და „პარი სენ ჟერმენის“ ფეხბურთელი სტეფან დალმა მილანში ჩავიდა, რათა „ინტერთან“ გააფორმოს კონტრაქტი. შეთანხმება ოთხწლიანია და ის კვირაში 17 ათას გირვანქას მიიღებს. „დალმას ცენტრშიც შეუძლია თამაში და მარცხენა ფრთაზეც. იგი გუნდს დიდად გამოადგება“ — განაცხადა „ინტერის“ თავკაცმა მარკო ტარდელიმ. აღსანიშნავია, რომ 22 წლის დალმასთვის „ინტერი“ უკვე მეხუთე კლუბია. თავიდან იგი „შატორუში“ თამაშობდა, მალევე „ლანსში“ გადავიდა, შემდეგ „მარსელში“, იქიდან კი „პარი სენ ჟერმენში“ მოხვდა. დალმას სანაცვლოდ „ინტერი“ პარიზულ კლუბში ბრაზილიელ მარკუს ვამპეტას გაუშვებს.

**ესპანეთის** ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ხორდი ლარდინი მადრიდის „ატლეტიკოდან“ ბარსელონურ „ესპანიოლში“ სეზონის ბოლომდე იჯარით გადავიდა. 27 წლის წარმოშობით კატალონიელი ფეხბურთელი მადრიდული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და იმ გუნდში დაბრუნდა, სადაც ოთხი წლის წინ თამაშობდა.

**ბერძნული** აეკ-ის მწვრთნელი იანის პათიაკაკისი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. „ოლიმპიაკოსთან“ სათასო შეხვედრაში 1:6 დამარცხების შემდეგ, გუნდს მოთამაშე მწვრთნელად 38 წლის მაკედონიელი ტონი სავევსკი დანიშნეს. მაკედონიელი ფორვარდი, რომელიც აეკ-ში 1988 წლიდან თამაშობს, საბერძნეთის ოთხგზის ჩემპიონია. მას ასისტენტობას ოფი-ს ყოფილი თავკაცი ეგენ ბერასდა გაუწევს.

## ინგლისი

# ლიდსის ფხა

### გადადებული მატჩი

**ასტონ ვილა 1:2 ლიდსი**

1:0 მერსონი (24), 1:1 ბოიერი (28), 1:2 ჰარტი (75პ)

ასტონ ვილა: ჯეიმსი, ს. სტოუნი (დილანი 80), ალფაი, სტონტონი, ბერი, ა. რაიტი (ჟინოლა 69), ტეილორი (ვასელი 54), ბოატენგი, ლ. ჰენდრი, მერსონი, პაბლო ანხელი

მწვრთნელი: ჯონ გრეგორი

ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ვუდგეიტი, რ. ფერდინანდი, ჰარტი, ბოიერი, დაკური (ბეტი 77), ბაკე, მატეო (უილკოქსი 46), ვიდუკა, რობი კინი (ა. სმიტი 76)

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

გაფრთხილება: ალფაი, ბერი

29 335 მაყურებელი

**ევროპის** ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით მოთამაშე „ლიდსს“ საგაისოდ რომ ევროპულ სარბიელზე თამაში სურს, საკვირველი სულაც არ არის. მაგრამ პრემიერლიგის ცხრილის ქვედა ნაწილში ჩაკერებულ იორკშირელებს რეალურად ერთადერთი საევროპო გზა უჩანთ — ჩემპიონთა თასის აღება.

თუმცა მათი მენეჯერი დევიდ ოლირი გვარიანად ოპტიმისტი ყოფილა და ამბობს: „მანჩესტერი“ კი ჩემპიონია, მაგრამ ოთხეულისთვის ბრძოლა ძალგვიძს და ბევრი არაფერი დაგვიკარგავს“.

მწვრთნელის ამგვარი განცხადება იმით თუა განპირობებული, რომ ოთხშაბათს ღამით „ლიდსმა“ ბირმინგემში მოუგო „ასტონ ვილას“. „ეს თამაშიც რომ წაგვეგო, ევროსაგზურს ვეთხოვებოდით“ — თქვა ოლირიმ.

„ლიდსს“ ბოლო 11 ტურში მხოლოდ 3-ჯერ მოეგო, „ვილასთან“ ბოლო 21 შეხვედრაში კი — მხოლოდ 4-ჯერ.

ოთხშაბათს პოლ მერსონმა კოხტა გოლით დააწინაურა მასპინძლები. მერე რობი კინის და ლი ბოიერის მცდელობამ თავისი გამოიღო და ამ უკანასკნელმა თავისი მეათე სალიგო გოლით გაათანაბრა. შესვენებაზე „ვილა პარკმა“ სექტემბერში დახეიბრებული ლუკ ნილისი გააცილა.

„ლიდსის“ გამარჯვების გოლი იან ჰარტმა გაიტანა პენალტით, მას შემდეგ რაც გარეთ ბერი რობი კინს დაახტა თავზე საჯარიმოში ბრძოლისას.

თამაშის მიწურულს, ოცწამიან მონაკვეთში, მერსონმა ორჯერ მოარტყა ბურთი ხარიხას, „ვილამ“ კი ზედიზედ მეხუთედ წააგო.

ეს იქეთ იყოს და ორშაბათს ღამის წლინახევრისწინანდელი ხულიგნობის გამო სასამართლოს წინაშე წარდგებიან ბოიერი და ჯონათან ვუდგეიტი, რის შედეგადაც ეს ორი მობურთალი ეგებ 6-6 კვირითაც გამოაკლდეს „ლიდსს“.

გუშინწინდელ თამაშს, რაღა თქმა უნდა, ესწრებოდა სვენ გორან ერიკსონი.

მასპინძელთა შორის კი გაიბრწყინა ახალნაყიდმა კოლუმბიელმა ხუან პაბლო ანხელმა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 24 | 17 | 5 | 2 | 56:16 | 56 |
| სანდერლენდი | 24 | 12 | 7 | 5 | 31:22 | 43 |
| არსენალი | 24 | 11 | 8 | 5 | 39:23 | 41 |
| ლივერპული | 23 | 12 | 4 | 7 | 42:26 | 40 |
| იფსვიჩი | 24 | 12 | 4 | 8 | 36:30 | 40 |
| ნიუკასლი | 24 | 11 | 4 | 9 | 31:32 | 37 |
| ლესტერი | 23 | 10 | 6 | 7 | 24:25 | 36 |
| ჩელსი | 23 | 9 | 7 | 7 | 43:29 | 34 |
| ჩარლტონი | 24 | 9 | 6 | 9 | 32:37 | 33 |
| ლიდსი | 23 | 9 | 5 | 9 | 34:32 | 32 |
| ტოტენჰემი | 24 | 8 | 7 | 9 | 30:34 | 31 |
| ვესტ ჰემი | 23 | 7 | 9 | 7 | 32:27 | 30 |
| ასტონ ვილა | 23 | 7 | 8 | 8 | 24:26 | 29 |
| საუთჰემპტონი | 24 | 7 | 8 | 9 | 28:34 | 29 |
| ევერტონი | 23 | 7 | 5 | 11 | 24:34 | 26 |
| მიდლსბრო | 24 | 5 | 9 | 10 | 27:30 | 24 |
| დერბი ქაუნთი | 24 | 5 | 9 | 10 | 25:41 | 24 |
| სიტი | 24 | 5 | 6 | 13 | 28:43 | 21 |
| ქოვენთრი | 24 | 5 | 6 | 13 | 23:43 | 21 |
| ბრედფორდი | 23 | 3 | 7 | 13 | 16:41 | 16 |

### ლიგის თასი

ნახევარფინალი. II მატჩი

**ლივერპული 5:0 კრ. პალასი (1:2)**

1:0 შმიცერი (13), 2:0 მერფი (16), 3:0 ბისკანი (18), 4:0 მერფი (51), 5:0 ფაულერი (89)

ლივერპული: ვესტერველდი, ჯერარდი (ჰამანი 68), კარაგერი (ციგე 76), ჰენჩოსი, ჰიიპია, ბისკანი, მერფი, მაკალისტერი, შმიცერი (ბარმბი 70), ლიტმანენი, ფაულერი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

კრისტალ პალასი: კოლინკო, სმიტი, ჰარისონი, ოსტინი, ტომსონი, კარლაილი (მორიკი 67), რუბინსი (გრეი 75), როჯერი, ნ. ბლეიქი, ფორსელი (გრეგი 83), მორისონი

გაძევება: კოლინკო (83)

41 854 მაყურებელი

**25 თებერვალს** კარდიფის „მილენიუმზე“ ლიგის, სხვაგვარად კი ვორზინგტონის თასის ფინალი გაიმართება. ერთი მხრივ „იფსვიჩ თაუნი“ ან „ბირმინგემ სიტი“ იდგება, მეორე მხრივ კი „ლივერპული“. მოგებული უეფას თასის საგზურს მიიღებს.

„ლივერპულს“ 1:2 წაეგო პირველდივიზიონელ „კრისტალ პალასთან“ და საპასუხო მატჩში აუცილებელი მოგება სჭირდებოდა.

მერსისაიდელებმა ადრიანი თადარიგი დაიჭირეს და უკვე 18-ე წუთზე 3:0-ს იგებდნენ ჩეხი ვლადიმირ შმიცერის, დენი მერფის და ხორვატი იგორ ბისკანის გოლებით. ემილ ჰესკი და მაიკლ ოუენი ჯანზე ვერ იყვნენ და მათი ადგილი ახლადმოსულ იარი ლიტმანენსა და რობი ფაულერს ეჭირათ. ამ უკანასკნელმა ბრწყინვალედ ითამაშა, სამი გოლის სულისჩამდგმელი შეიქნა და მენეჯერ ჟერარ ულიეს ათქმევინა: „რობიმ დღეს დაამტკიცა, რომ არსად მიდის“.

ფაულერის მოცელვისთვის სტუმართა ლატვიელი მეკარე ალექსანდრ კოლინკო საერთოდაც გააძევეს მინდვრიდან.

მოკლედ, „ლივერპული“ ფინალშია.

მეორე ნახევარფინალური მატჩი „ბირმინგემსა“ და „იფსვიჩ თაუნს“ შორის გაიმართება 31 იანვარს.



REUTERS ლივერპულიდან

ლივერპულელი სტეფან ენჩოსი და მეტოქე მიკაელ ფორსელი (№15)

## ბელგია

### თასის მეოთხედფინალი

გენკი — სერკლ ბრიუგე (II) 4:4დ.დ. (3:3); ვესტერლო — სენტ ტრუიდენი 1:0; ბევერსხოტი — ანდერლეხტი 3:0; ლომელი (II) — ლოკერენი 3:1

## შოტლანდია

### ასოციაციის თასი

მეორე ეტაპი

ელგინ სიტი — ქუინ ოფ საუთი გადაიდო და გაიმართება შაბათს

მეორე ეტაპი. გადათამაშება

კოუდენბითი — ბერვიკი 0:1; კეიტ როვერსი — მონტროუზი 0:1დ.დ. (0:0)

მესამე ეტაპზე „ბერვიკი“ შაბათს შინ შეხვდება ედინბურგის „ჰარტსს“, „მონტროუზი“ კი „დანდი იუნაიტედს“

## ჰოლანდია

### თასის მერვედფინალი

**პსვ ეინდჰოვენი 4:1 დენ ბოსხი (II)**

1:0, 2:0, 3:0 კეჟმანი (39, 52, 59), 4:0 ბრუგინკი (66), 4:1 მურადი (88)

დღეს: აიაქსი — ვიტესი; როდა — უტრეხტი; ექსელსიორი (II) — ალკმარი

ხვალ: ვენლო (II) — ჰერენვენი; ჰერაკლესი (II) — ცვოლე (II); სიტარდი — ტვენტე

## საფრანგეთი

### თასის 1/16 ფინალის წილისყრა

ანჟერი (II) — სტად რეიმსი (II); ბორდო — ნანტი; სანსი (მოყვ.) — ტრუა; ვანი (IV) — სენ ჟორჟი (მოყვ.); კარკასონი (მოყვ.) — სეტი (IV); შატორუ (II) — მარსელი; ლა როშ სიურ იონი (III) — ლე მანი (II); კლერმონი (III) — სტრასბური; ამიენი (II) — რენი; ბასტია — მეცი; სენტ ომერი (მოყვ.) — გრენობლი (III); ფონტენეი (IV) — სედანი; პარი სენ ჟერმენი — ოსერი; ვალანსი (III) — ბულონი (IV); ლიონი — სენტ ეტიენი; ლევალუა (IV) — ვასკეალი (II)

მატჩები გაიმართება 10-11 თებერვალს

## საბერძნეთი

### თასის მერვედფინალი

მეორე მატჩები

პროდეფტიკი (II) — პანილიაკოსი 1:0 (პენ. 4:5) (0:1); პანაჰაიკი — პანსერიაკოსი (II) 1:0 (1:0); ოლიმპიაკოსი — აეკ 6:1 (2:0)

30 იანვარს: აიგალეო (II) — აპოლონი (0:0)

31 იანვარს: იანინა — ირაკლისი (1:2); იონიკოსი — ქსანტი (0:2); პანათინაიკოსი — პანიონიოსი (0:1); პაოკ — არისი (1:1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კანჩელსკისი მანჩესტერშია, მაგრამ არა იუნაიტედში



ანდრეი კანჩელსკისი

**გაიხსენეთ** ფეხბურთელი, რომელსაც სამ ცნობილ დერბიში უთამაშია? ვისაც არ მოგაგონდათ, გეტყვით — ის ანდრეი კანჩელსკისია. იგი მონაწილეობდა მანჩესტერულ დერბიში, როცა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირსებას იცავდა, ლივერპულურში — მაშინ „ევერტონში“ თამაშობდა და გლაზგოურში — როცა რეინჯერსელი გახლდათ.

ჰოდა, სამი დერბის შემსწრე წარმოშობით უკრაინელი და შემდეგ გარუსებული ფეხბურთელი ამიერიდან კიდევ ერთი ბრიტანული კლუბის მაისურას მოირგებს — ბოლოს გლაზგოს „რეინჯერსში“ მოთამაშე 32 წლის კანჩელსკისი სეზონის დასრულებამდე „მანჩესტერ სიტიმ“ ინათხოვრა. შეთანხმებაში გათვალისწინებულია, რომ ზაფხულში კონტრაქტის გახანგრძლივება შეიძლება: თუ მხარეებს სურთ, 1,5 მილიონი გირვანქის გადახდის შემთხვევაში კანჩელსკისი „სიტიში“ საბოლოოდ დამკვიდრდება.

ანდრეი თავიდან ხუთი სეზონი თამაშობდა „მანჩესტერ იუნაიტედში“, 1995 წელს კი „ევერტონმა“ 5 მილიონ გირვანქად შეიძინა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ლივერპულურ კლუბს მაშინ ჯო როილი თავკაცობდა, სწორედ ის მწვრთნელი, რომელიც ახლა „მანჩესტერ სიტის“ უდგას სათავეში. მას დიდი იმედი აქვს, რომ კანჩელსკისი პრემიერლიგის ცხრილის ფსკერში მყოფ „სიტის“ კრიზისიდან თავის დაღწევაში ძალიან დაეხმარება.

„კაჩელსკისმა „ევერტონში“ ჩინებული ორი სეზონი მაჩუქა. თუ ახლა „სიტიშიც“ ასე ითამაშებს, ძალიან გამიხარდება. მისი გამოცდილება გუნდს უთუოდ წაადგება“ — განუცხადა ჯო როილმა გაზეთ „მირორს“.

„ევერტონსა“ და „რეინჯერსს“ შორის კანჩელსკისი „ფიორენტინაშიც“ თამაშობდა, ფლორენციიდან გლაზგოში კი 1998 წელს გადაბარგდა. ბოლოს ანდრეი „რეინჯერსის“ ძირითადში აღარ ჩნდებოდა. ეგ კი არა, მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა იგი მთლად მოზარდთა გუნდში გადაიყვანა. კანჩელსკისმა ბოლო რეინჯერსული მატჩი შარშან ოქტომბერში ჩაატარა, როცა მისი გუნდი „კილმარნოკთან“ 0:3 დამარცხდა. ანდრეი ადვოკაატისადმი უკმაყოფილებას არ ფარავდა, აკრიტიკებდა და კლუბის გამოცვლას ითხოვდა. მიზანსაც მიაღწია — ამიერიდან „მეინ როუდზე“ ითამაშებს.

**ნიძა ზუბლაძე**

# 2010 წელს კანადაში?

**კანადის** ხელისუფლებამ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი გამოთქვა და აღნიშნა, რომ ქვეყანა მზადაა, მიიღოს და ღირსეულად ჩაატაროს მსოფლიოს უპირველესი საფეხბურთო ტურნირი. კანადელები ვერც იმ ფაქტმა დააფრთხო, რომ 2010 წელს მის ჩატარებაზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაც აცხადებს პრეტენზიას — კარგად მოგეხსენებათ, სამხრეთაფრიკელებს ამგვარი სურვილი 2006 წლის ჩემპიონატზეც ჰქონდათ, მაგრამ სკანდალურ არჩევნებში გერმანიასთან დამარცხდნენ.

აღსანიშნავია, რომ დღეს კანადაში სულ ოთხი ისეთი სტადიონი მოიძებნება, რომლებსაც მსოფლიო თასის მასპინძლობა შეეძლებათ, თუმცა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელ მორგან კუარის თუ ვენდობით, ეს პრობლემა სულაც არ არის. „მთავარი სურვილი და მონდომებაა. რადგან არც ერთი გვაკლია და არც მეორე, სტადიონების პრობლემის გადაწყვეტასაც წინ არაფერი უდგას“ — განაცხადა კუარიმ.

კანადის ფეხბურთის ასოციაციის აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატის ამ ქვეყანაში ჩატარება ხელს შეუწყობდა ნომერ პირველი სპორტის განვითარებას. დღესდღეობით კანადაში ფეხბურთზე პოპულარულ სახეობებად ჰოკეი, ბეისბოლი და კალათბურთი ითვლება. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა კანადელების ამ სახეობით დაინტერესებას გამოიწვევს, რაც ბიძგს მისცემს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებას — ასეთია ასოციაციის ვარაუდი.

კანადის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთადერთხელ უთამაშია: 1986 წელს მექსიკაში ჩრდილოამერიკელებმა ჯგუფში სამივე მატჩი წააგეს საბჭოელებთან, უნგრელებთან და ფრანგებთან.

**ვანო ოქრობირიძე**



# ხუან სებასტიან ვერონს უცნობი პრემიერლიგელი ეპატიჟება

**„ლაციოს“** არგენტინელი ნახევარმცველის ხუან სებასტიან ვერონის აგენტმა ერთ-ერთ სააგენტოს გაუმხილა, რომ მას ხშირ-ხშირად ეხმაურებიან ინგლისიდან და არგენტინელის პრემიერლიგაში გადასვლაზე მოლაპარაკებებს აწარმოებენ. კონკრეტულად რომელი კლუბია, აგენტს არ უთქვამს, მხოლოდ ის განაცხადა, ერთ-ერთი სახელოვანი და მდიდარი გუნდია, თანაც სოლიდურ თანხასაც — 31 მილიონ გირვანქას გამოდისო. ვერონი სადღეისოდ ერთ-ერთი უძლიერესი ნახევარმცველია მსოფლიოში, „ლაციოში“ კი ორი სეზონია, თამაშობს და რომაულ კლუბთან ერთად შარშან იტალიის ჩემპიონიც გახდა. დედაქალაქში იგი „პარმადან“ გადავიდა, როცა „ლაციომ“ 18 მილიონ გირვანქად შეიძინა, სულ ადრე კი გენუის „სამპდორიაში“ თამაშობდა.

მართალია, აგენტს ვერონის მსურველი კლუბის ვინაობა არ დაუზუსტებია, ვარაუდობენ, რომ ეს „ლივერპული“ იქნება, რადგან „ენფილდ როუდის“ მკვიდრთ არგენტინელის გადაბირების სურვილი ადრეც გამოუთქვამთ. აქვე იმასაც იხსენებენ, რომ თავად „ლაციო“ ძალიან იყო დაინტერესებული „ლივერპულის“ თავდამსხმელის მაიკლ ოუენის შეძენით. ასე რომ, არც იმას გამორიცხავენ, რომ ვერონის ბრიტანეთში გადასვლის სანაცვლოდ რომაელებმა ოლიმპიურ სტადიონზე ახალგაზრდა ინგლისელის გამოშვება მოითხოვონ.

თუ „ლაციომ“ და უცნობმა პრემიერლიგურმა კლუბმა (ალბათ მაინც „ლივერპულმა“) შეთანხმებას მაინც მიაღწიეს და რომაელები არგენტინელის ინგლისში გაშვებაზე დათანხმდნენ, შესაძლოა ერთმა პრობლემამ იჩინოს თავი — კერძოდ, ვერონის პასპორტმა, რომელმაც ცოტა ხნის წინ იტალიაში ლამის სერიოზული სკანდალი გამოიწვია. შევახსენებთ, რომ რომაელმა სამართალდამცავებმა ვერონი იტალიური პასპორტის არაკანონიერი გზით მიღებაში დაადანაშაულეს. საქმეს ახლაც იძიებენ, სასამართლო მოსმენა კი მარტშია დანიშნული. თუ ვერონს კანონდარღვევა დაუმტკიცეს, მასაც და „ლაციოს“ ხელმძღვანელებსაც დიდი თავსატეხი ელით.

# კლინსმანმა ამერიკა ამჯობინა



იურგენ კლინსმანი

**წარსულში** სახელგანთქმულმა გერმანელმა ფეხბურთელმა იურგენ კლინსმანმა ცივი უარი განაცხადა „შტუტგარტის“ პრეზიდენტის მანფრედ ჰაასის შეთავაზებაზე — ჰაასი გერმანიის ნაკრების ყოფილ კაპიტანს ამერიკაში შეეხმიანა და კლუბში სპორტული დირექტორის პოსტზე მიიწვია.

„მე და ჰაასს საქმიანი სატელეფონო საუბარი გვქონდა, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან სამშობლოში დაბრუნებას ჯერ არ ვაპირებ. მას მადლობა გადავუხადე, რადგან „შტუტგარტის“ სპორტული დირექტორობა ძალიან საპატიო თანამდებობაა. ისიც ვუთხარი, რომ ყოველთვის მიხარული ვიქნები, უშტატოდ და ანაზღაურების გარეშე ვიმუშაო მის გუნდში კონსულტანტის თანამდებობაზე“ — ასეთი კომენტარი გაუკეთა თავის გადაწყვეტილებას კლინსმანმა, რომელსაც თავის დროზე „შტუტგარტშიც“ უთამაშია.

„დრო რომ მოვა, გერმანიაში ჩავალ და სამწვრთნელო საქმიანობას მოვკიდებ ხელს, მანამდე კი ამერიკაშიც მშვენივრად ვგრძნობ თავს. ოჯახიც შეეჩვია აქაურობას, ამიტომ სამშობლოში დაბრუნებას ჯერ არ ვაპირებ“ — თქვა იურგენმა.

კლინსმანმა გერმანიის ნაკრებში 108 მატჩი ჩაატარა, 1990 წელს მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, კარიერა კი ორიოდე წლის წინ დაასრულა და მას შემდეგ სამწვრთნელო კურსების დამთავრება და ლიცენზიის მიღებაც მოასწრო.

რაც შეეხება „შტუტგარტს“, ბუნდესლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერის სპორტულ დირექტორად გასულ პარასკევამდე კარლ-ჰაინც ფიორსტერი მუშაობდა. მისი შემცვლელის ვინაობა დღეს გაირკვევა, როცა ჰაასი პრესკონფერენციას გამართავს. კანდიდატი ორი ყოფილა — რეინჰოლდ ზეხი და როლფ რიუსმანი. პირველი „შტუტგარტის“ ექს-ფეხბურთელია, მეორე კი ერთი ხანობა მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელი გახლდათ.

# აი, ბიძა!

**ოთხშაბათს** მადრიდის „რეალის“ ოფისს „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე ხუან ხოსე ელგერა ეწვია და მკაცრად მოითხოვა, კლუბის სპორტულ დირექტორ ხორხე ვალდანოსთან შეხვედრა მწადიაო. მიზანსაც მიაღწია, იმ დღეს გამართული „რეალი“ — „სარაგოსას“ მატჩის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ვალდანომ თავის კაბინეტში მიიპატიჟა და მოლაპარაკებაც შედგა.

ცნობისთვის: ხუან ხოსე ელგერა „რეალის“ ნახევარმცველის ივან ელგერას ალალი ბიძაა და თურმე მისი აგენტიც ყოფილა. ჰოდა, ფეხბურთელის ბიძამაც სპორტულ დირექტორს უთხრა, ჩემი ძმისშვილი ისეთ ჩინებულ ფორმაშია, ახალ კონტრაქტს თუ გავაფორმებთ, მგონი, არც თქვენ ინანებთ და არც ჩვენო. ელგერას „რეალთან“ ხელშეკრულება 2004 წლის 30 ივნისამდე აქვს, თუმცა კონტრაქტში ერთი ისეთი პუნქტია, როგორიც ფიგუს ჰქონდა „ბარსელონასთან“: ნახევარმცველს ნებისმიერ მომენტში შეუძლია სხვა გუნდში გადასვლა, ოღონდ მისმა მსურველმა მადრიდულ კლუბს 67,6 მილიონი ამერიკული დოლარი უნდა გადაუხადოს, თუმც ჯერჯერობით არც ასეთი თანხის გამღები გუნდი ჩანს და არც ელგერას უნდა „რეალიდან“ წასვლა.

ახლა მთავარზე ვთქვათ — რა ისაუბრეს ვალდანომ და ხუან ხოსე ელგერამ. აგენტმა არგენტინელს წინადადებით რომ მიმართა ძმისშვილისა და კლიენტის ახალი კონტრაქტის თაობაზე, თან დააყოლა, მგონი, ფეხბურთელი გასამრჯელოს მომატებასაც იმსახურებსო. თავად ელგერა თანახმაა „სამეფო კლუბში“ 2006-2007 წლამდე დარჩეს, ოღონდ ანაზღაურებაც შესაბამისი უნდა მქონდესო, ამბობს.

ხუან ხოსე ელგერა ვალდანოსთან მოლაპარაკების პირველი ეტაპით ფრიად კმაყოფილი დარჩენილა.

**ვანო ოქრობირიძე**

# ლუკ ნილისმა კარიერა დაასრულა



ლუკ ნილისი

**„ასტონ ვილას“** ბელგიელმა ფორვარდმა ლუკ ნილისმა დიდი ფეხბურთიდან წასვლის თაობაზე განაცხადა. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ „პსვ ეინდჰოვენიდან“ „ვილა პარკზე“ გადასულმა ფეხბურთელმა ვერაფრით მოირჩინა მარჯვენა მუხლის ურთულესი ტრავმა, რომელიც სექტემბერში, პრემიერლიგის მატჩში „იფსვიჩის“ მეკარე რიჩარდ რაიტთან შეჯახებისას მიიღო. მას შემდეგ 33 წლის ნილისი გამუდმებით მკურნალობს, მაგრამ ვერა და ვერ გამოჯანმრთელდა, რამაც აიძულა, ეს გადაწყვეტილება მიეღო. თანაც ექიმებმა ფეხბურთელს ისიც განუცხადეს, ტრავმასაც მოიშუშებ და კვლავ ითამაშებ, მაგრამ ოდნავი დაშავების შემთხვევაშიც კი შესაძლოა ხეიბრად დარჩეო.

„ასტონ ვილაში“ ცოტა ხანს მომიწია თამაში. მიუხედავად ამისა, „ვილა პარკზე“ გატარებული დროით კმაყოფილი ვარ. ძალიან მწყდება გული, რომ ამ გუნდის შემადგენლობაში ვეღარ ვითამაშებ და გოლებს ველარ გავიტან. სხვა გზა არ დამრჩენია, ექიმების რჩევას ყური უნდა ვუგდო“ — თქვა ბელგიელმა ფორვარდმა.

„მკურნალობის ხარჯებს სადაზღვევო კომპანია აგვინაზღაურებს, ნილისის არყოფნას კი — ვერავინ. ის მსოფლიო დონის ფორვარდია. კლუბი მას დიდად აფასებს“ — განაცხადა ბირმინგემული კლუბის თავმჯდომარე დუგ ელისმა.



გეორგე ჰაჯი

# ჰაჯის მილიონები

**სტამბოლის** „გალათასარაიმ“ თავის რუმინელ ლეგიონერ გეორგე ჰაჯის მომხიბვლელი წინადადება შესთავაზა: კლუბი თანახმაა, „კარპატელ მარადონას“ გუნდში კიდევ ერთი წლით დარჩენის სანაცვლოდ 4 მილიონი დოლარი გადაუხადოს. ეს ამბავი თურქ ჟურნალისტებს თავად „გალათასარაის“ ვიცე-პრეზიდენტმა მეჰმეთ კანსუნმა უთხრა.

35 წლის ჰაჯიმ გასულ ზაფხულს თქვა, თურქეთში ერთ სეზონსაც ვითამაშებ, მერე კი კარიერას დავასრულებ, სამშობლოში დავბრუნდები და მწვრთნელობას მოვკიდებ ხელსო. 90-იანი წლების (და არამარტო) საუკეთესო რუმინელ ფეხბურთელს კლუბიც შერჩეული ჰქონია — „კონსტანცას“ ხელმძღვანელები დაკავშირებიან და წინადადებაც შეუთავაზებიათ, ჩამოდი და ჩვენს გუნდს გაუძეხიო, ჰაჯიც არ ყოფილა უარზე.

საინტერესოა, როგორ განვითარდება ამჟამად მოვლენები. „გალათასარაის“ ლიდერმა ერთხელ უკვე უთხრა უარი კლუბის ხელმძღვანელებს, როცა მათ გასული წლის ოქტომბერში რუმინელს ახალი, 4 წლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. ახლა კი ძნელი დასაჯერებელია, ოთხმა მილიონმა დოლარმა არ მოხიბლოს, მით უმეტეს, მუხლი ჯერაც ერჩის. თანაც თურქები მომავალ წელს ფეხბურთელობასთან ერთად „გალას“ თავკაცის, ასევე რუმინელი მირჩა ლუჩესკუს თანაშემწეობასაც სთავაზობენ, მერე კი — თუ მწვრთნელობაშიც ისეთი მარიფათი გამოიჩინე, ეგებ მისი მემკვიდრეც გახდეო — თაფლავენ.

„იმ წლებში, რომლებიც ჩვენს გუნდში გაატარა, ჰაჯიმ ძალიან ბევრი მოასწრო. ის „გალათასარაის“ ისტორიაში ყველაზე პოპულარული ფეხბურთელის სახელით შევა. არ გვინდა, რომ იგი გუნდიდან წავიდეს. ჩვენ ბევრი კარგი მოთამაშე გვყავს, მაგრამ ჰაჯი მხოლოდ ერთია — აღიარა კანსუნმა და დასძინა — მზად ვართ, მისი შენარჩუნებისთვის ნებისმიერი მსხვერპლი გავიღოთ“. ვიცე-პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, თუ რუმინელი კლუბში დარჩა, მაშინ ძალიან დიდი შანსი ექნება, „გალათასარაის“ ადმინისტრაციაში მოხვდეს და მთავარი მწვრთნელობის კარგ პერსპექტივასაც გაიჩენსო.

თურქები ჰაჯის მართლაც სარფიან წინადადებას სთავაზობენ, მაგრამ...

გუშინ გაცხადდა, რომ „გალათასარაის“ პრეზიდენტის ფარუხ სურენის კომპანია „ტრანსთურქი“ გაკოტრების პირასაა. ამ კლუბისა და მისი პრეზიდენტის ფინანსურ პრობლემებზე ადრეც ვწერდით, ერთხანს „გალას“ ფეხბურთელთა დავალიანებაც ჰქონდა, მაგრამ მერე თითქმის ყველაფერი გამოსწორდა. როგორც აღმოჩნდა, დროებით — ახლა „ტრანსთურქი“ 15 ბანკის მოვალეა და ჯამში 30 მილიონი დოლარი მართებს, კომპანიას კი ამ ფულის გადახდის საშუალება არა აქვს.

სურენი ყველაფერს თავის თანამოსაქმეებს აბრალებს. „ისე გამიტაცა კლუბის საქმემ, რომ კომპანიის მართვა სხვებს მივანდე, მათ კი ბიზნესი ჩამიგდეს და ახლა სავალალო დღეში ვართ“ — აცხადებს პრეზიდენტი.

როგორც თურქები ვარაუდობენ, დიდი შანსია, სურენი „გალათასარაის“ პრეზიდენტობიდან გადადგეს. ამ შემთხვევაში ავტომატურად „ტრანსთურქიც“ მოიხსნის კლუბის წინაშე თავის პასუხისმგებლობას. ახლა ეს კომპანია გუნდის მთავარ სპონსორად ითვლება, თუმც მძიმე ფინანსური კრიზისის გამო ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ასრულებს. „გალათასარაისაც“ ალბათ ახალი სპონსორის პოვნა მოუწევს.

ყოველივე ამის ფონზე მართლაც გასაკვირია კლუბის ვიცე-პრეზიდენტ კანსუნის მიერ ჰაჯისთვის შეთავაზებული წინადადება. თან, როგორც იცით, რუმინელი 24 აპრილს ბენეფისს იწყობს...

**განო ოქროპირიძე**

# გრობელაარს ჯიბეს უხვრეტენ

**გუშინ** ვწერდით, რომ „ლივერპულისა“ და ზიმბაბვეს ნაკრების ყოფილი მეკარე ბრიუს გრობელაარი, გაზეთ „სანთან“ სასამართლოში დამარცხების მიუხედავად, იხტიბარს არ იტეხდა და ფიფას უთვლიდა, აბა, გაბედეთ და დამსაჯეთო. გრობელაარს გადიდგულების საბაბს ის აძლევს, რომ ლონდონელ მოსამართლეს მისთვის თამაშების გაყიდვის ფაქტები არ დაუმტკიცებია.



ბრიუს გრობელაარი

ფიფას პასუხმაც არ დააყოვნა. ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენ-რუფინენმა განაცხადა, ჩვენთვის ყველაფერი ნათელია და თამაშების გამყიდველი უმკაცრესად დაისჯებაო. მანვე აღნიშნა, რაკი გრობელაარი დანაშაულს ინგლისში სჩადიოდა, როდი ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ უნდა მიიღოს, მთელი საფეხბურთო სამყარო ერთ მუშტად უნდა შევიკრათ და ამგვარ უმსგავსობას საერთო ძალით აღვუდგეთ წინო. როგორც ვარაუდობენ, ბრიუს გრობელაარს საფეხბურთო საქმიანობას სამუდამოდ ჩამოაშორებენ.

აღსანიშნავია, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება უპირველესად გრობელაარის ჯიბეს დაარტყამს, თორემ ავტორიტეტი მას ისედაც წამხდარი აქვს. ახლანდელ სამუშაო ადგილზე — სამხრეთაფრიკული „სუპერსპორტ იუნაიტედის“ მწვრთნელის პოსტზე გრობელაარი თვეში 5 ათას გირვანქას იღებს, რაც სამხარეთაფრიკული ფეხბურთისთვის გვარიანი თანხაა. გავიხსენოთ, რომ გრობელაარს ნახევარი მილიონი გირვანქა სასამართლოს ხარჯებიც აქვს გასასტუმრებელი.

**გიორგი დარჯანია**

# ბოლომდე იუვენტუსელი

## ზიდანმა «ბარსელონას» და «რეალს» გული დასწყვიტა

**ზინედინ ზიდანმა** სულ ახლახან ტურინის „იუვენტუსის“ ქომაგთათვის ერთობ საამო განცხადება გააკეთა, კლუბის საინფორმაციო ბიურომ კი მისი სიტყვები უმალ მთელ მსოფლიოს ამცნო: „კარიერის დასრულებამდე 4-5 წელი დარმრჩენია, „იუვენტუსთან“ კონტრაქტი კი 2005 წლამდე მაქვს. ეს საკმარისი მიზეზია საიმისოდ, რომ ბოლომდე „დელე ალპიზე“ ვითამაშო და კარიერა აქ დავასრულო“ — ასეთია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის აზრი.

ფრანგის ამ სიტყვებმა, ალბათ, განსაკუთრებით ორი კლუბის ხელმძღვანელებს და ქომაგებს დასწყვიტა გული. არაერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ ზიდანის ხელში ჩაგდებას მადრიდის „რეალი“ და „ბარსელონა“ ცდილობდნენ. ჯერ კიდევ წინა ზაფხულს ფრანგულმა გაზეთმა „ლე პარიზიენმა“ ცნობა გაავრცელა, რომ „ბარსელონას“ პრეზიდენტი ხუან გასპარი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ზიდანთან მისი კატალონიაში გადაბირების თაობაზე. ერთ-ერთმა ცნობილმა სააგენტომ კი ფრანგის მადრიდში გადასვლისა და „რეალის“ ხელმძღვანელობასთან მისი შეთანხმების შესახებაც ამცნო ხალხს. ამბობენ, მაშინ „სამეფო კლუბმა“ ფრანგ ნახევარმცველს სეზონში 7 მილიონი გირვანქა შეაძლიაო. მალიმალ იხსენებდნენ იმ ფაქტს, რომ ზინედინს ესპანელი მეუღლე ჰყავს და ვითომდა ეს ქალბატონიც აქტიურად ცდილობდა მის დაყოლიებას და ესპანეთში გადასვლას.

გავრცელებულ ხმებს და ათას ჭორ-მართალს ზიდანმა ბოლო მოუღო. მან განაცხადა: „ადრეც ბევრჯერ მითქვამს და ახლა საბოლოოდ ვადასტურებ, რომ მადრიდის „რეალში“ გადასვლაზე არც მიფიქრია. საერთოდ, დაწყებული საქმე ბოლომდე მიმყავს-ხოლმე და კლუბთან მიმდინარე კონტრაქტს არ ვწყვეტ. სხვა ნებისმიერ კლუბთან მოლაპარაკებები რომ წამომეწყო, პირველი ამის შესახებ „იუვენტუსი“ გაიგებდა“.

28 წლის ზიდანი „იუვენტუსში“ მეხუთე სეზონს ატარებს. შეგახსენებთ, რომ წარმოშობით მარსელელი ფეხბურთელი ტურინულ კლუბში „ბორდოდან“ ჩაირიცხა.

ფრანგმა მის „იუვენტუსში“ დარჩენაზე რომ განაცხადა, შემდეგ სკუდეტოს მოგების შანსებზეც ისაუბრა: „ის ფაქტი, რომ „რომამ“ შემოდგომის სეზონი მოიგო, არაფერს ნიშნავს: მეორე ნაწილი წინაა და ჩემპიონობის ჩინებული შანსი გვაქვს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ სერია A მარტო ორი გუნდის ტურნირი არ არის და ჩემპიონობის კანდიდატებად „რომას“ და „იუვენტუსის“ გარდა „მილანი“ და „ლაციოც“ მიიჩნევიან. არც „ფიორენტინა“ უნდა დავივიწყოთ — წლეულს ფლორენციელებსაც ჩინებული გუნდი ჰყავთ“.



ზინედინ ზიდანი მეუღლე ვერონიკამ ესპანეთში გადასვლაზე ვერ დაიყოლია

# ბარსელონაში ფაციფუცია

**თითქმის** ყველა კლუბში თამაშობს ერთი გამორჩეული ფეხბურთელი, ვინც ქომაგთა კერპია და განსაკუთრებული სიმპატიითა და სიყვარულით სარგებლობს. მაგალითად, მადრიდის „რეალში“ ასეთი რაულია, „რომაში“ — ფრანჩესკო ტოტი, „ფიორენტინაში“ გაბრიელ ბატისტუტა იყო, მაგრამ მერე გაყიდეს. კიდევ ბევრს ჩამოვთვლით... ასეთ მოთამაშეთა გუნდიდან გაშვება ხელმძღვანელებს უფრო მეტად არ ეპატიებათ და ეგებ სკამის ფასადაც დაუჯდეთ. ისევ „ფიორენტინასა“ და ბატისტუტას მაგალითს მოვიყვანთ. ფლორენციელთა პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორის ლამის ღამით არ აძინებენ და მისი რეზიდენციის წინ ტრანსფარანტებით დადიან, ბატისტუტა „რომაში“ როგორ გაყიდეო.



ხოსეპ გვარდიოლა

რატომ გავიხსენთ ეს ამბავი? ბარსელონაშიც ჰყავთ თავისი კერპი — ხოსეპ გვარდიოლა; გუნდის კაპიტანი და ლიდერი, კატალონიელ ქომაგთა საყვარელი ფეხბურთელი. ამ ბოლო დროს რას არ გაიგებთ გვარდიოლაზე, თითქოს „კამპ ნოუდან“ წავაო. მსურველებსაც ასახელებენ — „მილანს“, „ლაციოს“ და ბევრ სხვას. იმასაც კი გაიძახიან, გვარდიოლას „ბარსელონას“ მოძულე მადრიდის „რეალი“ ეპატიჟებაო. აი, აქ კი რთულადაა საქმე — ბარსელონელები „რეალის“ გაგონებაზე ცუდად ხდებიან და მათმა კაპიტანმა ფიგუსავით თეთრი მაისურა რომ ჩაიცვას, ხომ სულ მთლად გადავიდნენ ჭკუიდან.

ამიტომაც „ბარსელონას“ ხელმძღვანელობა ფაციფუცშია — გვარდიოლას კლუბთან კონტრაქტი უსრულდება და სეზონის ბოლოს იგი თავისუფალი აგენტი ხდება. კატალონიაში გავრცელებული ინფორმაციით, კლუბი ახლა მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და სთავაზობს, კარიერის დასრულებამდე დარჩეს „კამპ ნოუზე“. ვარაუდობენ, რომ „ბარსელონა“ კაპიტანს ადვილად დაიყოლიებს და ახალ კონტრაქტზე ხელს მალე მოაწერინებს.

# პირველი ჩვენ დაგველაპარაკეთ

**ესპანური** „ბარსელონა“ გამალებულ მოლაპარაკებას აწარმოებს „პარი სენ ჟერმენის“ ხელმძღვანელობასთან ბრაზილიელი რონალდინიოს თაობაზე. კატალონიელებს 20 წლის ამომავალი ვარსკვლავის გადაბირების დიდი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ ფრანგებმა უფრო ივაჟკაცეს და გასულ კვირაში ბრაზილიურ „გრემიოსთან“ შეთანხმების შემდეგ რონალდონიოსთან კონტრაქტი გააფორმეს. იგი ძალაში მომავალ სეზონში შევა, მანამდე კი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატისა და „კოპა ამერიკას“ გამარჯვებული „გრემიოში“ დარჩება.

„ბარსელონამაც“ ახლა საქმე პსჟსთან დაიჭირა და მოლაპარაკება დაიწყო. კატალონიელები ფრანგებს კონტრაქტის გაფორმებას სთავაზობენ, რომლის მიხედვითაც ესპანელებს რონალდინიოს გადაბირების ექსკლუზიური უფლება ექნებათ — 2002 წელს ერთმანეთს შევხვდეთ და ეგებ ბრაზილიელის თაობაზე მოვრიგდეთ, ანაც, მისი გაყიდვა თუ მოიწადინეთ, პირველი ჩვენ დაგველაპარაკეთო — ასეთია „ბარსელონას“ წინადადება. რას მიიღებს სანაცვლოდ პსჟ?

პარიზელებს უფლება ექნებათ, იჯარით წაიყვანონ „ბარსელონას“ ის პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებიც გუნდის განაცხადში ვერ მოხვდებიან. ფაქტობრივად, ამითაც ესპანელები იხეირებენ, რადგან მათ რეზერვებს საშუალება ექნებათ, ისეთ გუნდში ითამაშონ, როგორიც „პარი სენ ჟერმენია“.



რონალდინიო

# ტარდელი დარჩა



მარკო ტარდელი

**მილანის** „ინტერის“ მწვრთნელი მარკო ტარდელი გუნდში დარჩება — ეს გადაწყვეტილება კლუბის ხელმძღვანელობამ საგანგებოდ გამართულ კრებაზე მიიღო. „ინტერს“ რომ ცუდად მისდის საქმე, ახალი ამბავი არ არის. სახელოვანი ფეხბურთელებით მდიდარ კლუბს სეზონის წინ ამბიცია არ აკლდა და „სკუდეტოსაც“ უმიზნებდა, მაგრამ დაიწყო ჩემპიონატი და...

„ინტერი“ მარცხს მარცხზე განიცდის და ამჟამად მე-12 ადგილზე გახლავთ. გუნდის არასახარბიელო მდგომარეობისა და ღრმა კრიზისის შესახებ უკვე თავად მილანელებიც ხმამაღლა საუბრობენ. „შავ-ლურჯების“ მწვრთნელის გამოცვლამაც ვერ უშველათ, შემოდგომის მიწურულს შედეგით უკმაყოფილო ხელმძღვანელებმა მარჩელო ლიპი დაითხოვეს და მარკო ტარდელი დანიშნეს. ამით არაფერი შეცვლილა. „ინტერის“ თამაშს პროგრესი არ დასტყობია.

ცოტა ხნის წინ კი ტარდელის გათავისუფლებაზეც ალაპარაკდნენ. ხმა გავრცელდა, „ინტერი“ „ვალენსიას“ არგენტინელ თავკაც ექტორ რაულ კუპერს დაუკავშირდა და, ალბათ, წაიყვანს კიდეცო, მაგრამ...

„მინდა, კატეგორიულად უარვყო ხმები, თითქოს კუპერს გუნდის გაწვრთნა შევთავაზე. ჩვენ მასთან კონტაქტი არ გვქონია. ან რატომ უნდა გვქონოდა, როცა ტარდელის მუშაობა სრულიად გვაკმაყოფილებს. ჩვენ ვენდობით მას. უკვე გადავწყვიტეთ, რომ იგი გუნდში მარტო ამ სეზონის ბოლომდე, 2001 წლის ივნისამდე დარჩება, ანუ „ინტერს“ ხელშეკრულების ამოწურვამდე უხელმძღვანელებს“ — განაცხადა კლუბის სპორტულმა დირექტორმა გაბრიელე ორიალიმ, რომელმაც 1982 წელს ტარდელისთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ორიალიმ ისიც აღნიშნა, ბოლო დროს პრესით თუ ტელევიზიით „ინტერის“ შესახებ უამრავი ჭორი ვრცელდება და დროა, ყველაფერს ბოლო მოეღოსო, ბოლოს კი დააყოლა, ვინც კი ხმას გაავრცელებს, ტარდელის გუნდიდან აგდებენო, სასამართლოში ვუჩივლებთო.

**ვანო ოქროპირიძე**

# დავარტყი, შევაშინე, წავედი

## ქართველ მძღოლთათვის ყოვლად წარმოუდგენელი ისტორია



გარი ჩარლზი (მარცხნივ) ადვოკატს პოლიციიდან გამოჰყავს

**ასეთი** სიტუაცია წარმოვიდგინოთ: მიდიხართ ავტომობილით და ვიღაცამ თავისი მანქანა დაგაჯახათ. ამ შემთხვევაში: გადმოხტებით, დამნაშავეს აგინებთ, ზარალს დაახლოებით დაიანგარიშებთ, მართვის მოწმობას გამოართმევთ და როცა მანქანას გაგიკეთებთ, მაშინ უბრუნებთ. ამ სქემაში გარკვეული კორექტივები შეიძლება შევიდეს, თუ თქვენი მანქანა ძალიან ძვირფასია და თავადაც გავლენიანი პიროვნება ხართ. ამ შემთხვევაში გინების გარდა დამნაშავე მძღოლზე ეგებ ხელითაც გაიწიოთ. შეიძლება ასეც მოხდეს: თქვენს ჯაგლაგ მანქანას ახალთახალი „მერსედესი“ დაეჯახოს, იქიდან ფულიანი ბიძა გადმოვიდეს და აქეთ შემოგედავოს — ბიჭო, შენ იცი, მე ვინ ვარ...

ამ ვარიანტების ჩამოთვლა იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეთქვა, დაზარალებულს აზრად არ მოსდის, ავარიის შესახებ პოლიციას მიმართოს და ამგვარი შემთხვევები თუ მაინც ხდება, იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. ერთ შემთხვევაში კაცი ფიქრობს, დამნაშავე კია, მაგრამ მანქანას მიკეთებს და რატომ განვაცხადოო, მეორე შემთხვევაში კი დაზარალებულმა ზუსტად იცის, რომ მის სიმართლეს გასავალი არ ექნება.

ახლა წარმოუდგენელი ვარიანტი ვთქვათ: გეჯახებათ უძვირფასესი მანქანა, გადმოდის ძალიან ცნობილი პიროვნება და გეუბნებათ, აჰა, ძმაო, ჩემი „მერსედესი“, წაიყვანე, 70 ათასი ლირსო. ხომ წარმოუდგენელი ამბავია? და თუ თქვენ ამაზე უარს იტყვით და პოლიციაში იჩივლებთ, გიჟად არ შეგრაცხავენ?

24 წლის დარენ ბლაითი გიჟი არ არის. უბრალოდ, ის ისეთ ქვეყანაში ცხოვრობს, რომელიც ჩვენისგან რამდენადმე განსხვავდება. შესაბამისად, იმ ქვეყნის მოქალაქეებს ჩხუბსა და საეჭვო გარიგებებში მონაწილეობას კუთვნილის აუღელვებლად, უსარგებლო აყალმაყალის გარეშე მიღება ურჩევნიათ. თან ზუსტად იციან — ეკუთვნის და მიიღებს.

„ვესტ ჰემის“ მცველი, 30 წლის გარი ჩარლზი ესექსის საგრაფოს ქალაქ ჰარნჩარჩში მიაქროლებდა თავის „მერსედეს CL500 კუპეს“, როცა დარენ ბლაითის „ფორდ ესკორტს“ შეასკდა. სერიოზულად არავინ დაზიანებულა, ბლაითს კისერი ეტკინა, ეს იყო და ეს.

ნორმალურ ქვეყნებში, ჩვენ კი სწორედ რომ ნორმალურ ქვეყანაზე ვსაუბრობთ, დაზარალებულს სანერვიულო არაფერი აქვს, რადგან დაზღვევის გამართულად მომუშავე სისტემა ზარალს უნაზღაურებს, დამნაშავე დაზარალებულს თავის სადაზღვევო მოწმობას აძლევს და მორჩა.

ჩვენს შემთხვევაშიც დარენ ბლაითმა დამრტყმელს, რომელშიც ცნობილი ფეხბურთელი ამოიცნო, სადაზღვევო მოწმობა მოსთხოვა (ცხადია, ზრდილობიანი მისალმების შემდეგ), მაგრამ...

„ძმაო, საქმიდან მოვდივარ, ბანკი გავიტანე და მეჩქარება, მიმალვაში ვარ. ჩემი მანქანა დაიტოვე და შენ გზას ეწიე“ — ძველბიჭურად მიუგო ჩარლზმა და ნაბიჯს აუჩქარა. მერე მობრუნდა და გაოგნებულ ბლაითს დაემუქრა, პოლიციაში მისვლა არ გაბედო, თორემ განანებო. თქვა და გაუჩინარდა.

დგას დარენ ბლაითი ქუჩაში და ფიქრობს, გვერდით 70-ათასიანი მანქანა დგას, გასაღები შიგაა, სამას მეტრში კი პოლიციის განყოფილებაა... ბლაითმა პოლიციისკენ გასწია.

ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა გარი ჩარლზის „მერსედესში“ ვისკის ნახევრად დაცლილი ბოთლი იპოვეს და მის ძებნას შეუდგნენ. ეს ორშაბათს მოხდა, ორი დღის შემდეგ კი ვესტჰემელი მცველი თავად გამოცხადდა პოლიციაში ადვოკატის თანხლებით და დანაშაული აღიარა.

რატომ არჩია ორდღიანი ფიქრის შემდეგ ფეხბურთელმა პოლიციაში მისვლა? ალბათ, იმიტომ, რომ ეს ვადა სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ორგანიზმში ალკოჰოლის კვალი გაქრეს. ახლა მიდი და უმტკიცე, სიმთვრალეში მოახდინე ავარიაო. გამოძიება გრძელდება, თუმცა სამართალდამცავებმა ჩარლზის დასაკავებლად საკმარისი მიზეზები ვერ იპოვეს. ის დაკითხეს და გაუშვეს.

წესიერ ქვეყნებშიც გვხვდება უწესო ხალხი.

**გიორგი დარჯანია**




ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაპრიატიმ სიცოცხლე დაიბრუნა

**კაცები. ნახევარფინალი: ანდრე აგასი (6, აშშ) — პატრიკ რაფტერი (12, ავსტრალია) 7:5, 2:6, 6:7 (5:7), 6:2, 6:3**



პატრიკ რაფტერისა და ანდრე აგასის „ფინალი ფინალამდე", წესით, ტურნირის საუკეთესო მატჩად უნდა ქცეულიყო. სამი ხელის მანძილზე მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნები მართლაც იშვიათი სილამაზის სპორტულ სპექტაკლს სთავაზობდნენ მაყურებლებს, მაგრამ კვანძი მეტისმეტად ადრე გაიხსნა და მანამდე ტოლ-სწორთა ორთაბრძოლა ცალკარა მატჩად გადაიქცა.

ბადესთან ათლეტურად მოთამაშე რაფტერისა და შეუდარებელი მიღება-შემოვლებულების პატრონი აგასის ორთაბრძოლა ყოველთვის ამო სანახავია, რაშიც ამ სტრიქონების ავტორი პირადადაც დარწმუნდა შარშან უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე ზემოხსენებული ვარსკვლავების შეხვედრის ხილვისას. (მაშინ ავსტრალიელმა 5 სეტში იმარჯვა).

აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონს, რომელიც სეზონის ბოლოს სპორტიდან წასვლაზე ფიქრობს და ალბათ, უკანასკნელადაც ასპარეზობდა მშობლიურ „მეიჯორზე", თავისიანებთან გამოთხოვება ჩემპიონის ტიტულით სურდა და ყველაფერი გააკეთა ამისთვის. ასე კარგად რაფტერს ცხოვრებაში იშვიათად უთამაშია: მოწოდებები გამუდმებით ხაზებს „აჯდებოდა" და აგასის უკან დაბრუნების შანსსაც კი არ უტოვებდა. ოზი ბადესთანაც თითქმის არ ცდებოდა და უკანა ხაზიდანაც ბევრით არ ჩამორჩებოდა ხოტორა ლასვეგასელს.

როდესაც ავსტრალიელმა მესამე ხელის ტაი-ბრეიკზე იმარჯვა და სეტში 2:1 დაწინაურდა, ისე ჩანდა, რომ მის ფინალში გასვლას წინ ველარაფერი დაუდგებოდა. თუმცა ბორბალი უკუღმა სწორედ მაშინ დატრიალდა, როდესაც აუტანელი ნესტიანობის გამო ოფლში გაწურული ტანისამოსის გამოსაცვლელად კორტიდან გასული აგასი უკან დაბრუნდა, რაფტერმა ექიმის დახმარება ითხოვა.

რამდენიმე აბის გადაყლაპვისა და ექიმთან გასაუბრების შემდეგ ავსტრალიელმა თამაში განაახლა, მაგრამ მაშინვე, 1:2-ზე საკუთარი მოწოდება დაკარგა და მისი გასაჭირიც ცხადი გახდა — ოფლში გახვითქული ოზს იმდენი სითხე და ენერგია დაეკარგა, ფეხების კრუნჩხვა დასწყებოდა და მოძრაობა უჭირდა: „მთლიანობაში თავს ცუდად არ ვგრძნობდი, თითქოს არაფერიც მტკიოდა, მაგრამ ფეხები უკვე აღარ მემორჩილებოდა. როცა შევეცდებოდი, ადგილიდან დავძრულიყავი და ბურთისთვის მიმესწრო, ყველაფერი მიშემდებოდა და მეკრუნჩხებოდა".

აგასისთვის დარჩენილი ორი სეტი უბრალო პროცესიად იქცა. რაფტერს საკუთარ მოწოდებაზე კიდევ არა უშავდა, მაგრამ საკმარისი იყო, ბურთი 2-3 მეტრის მოშორებით დავარდნილიყო, უილაჯოდლა ადევნებდა თვალს.

და მაინც, ავსტრალიელს არ უფიქრია, თამაშისთვის თავი დაენებებინა: „ვიცი, ცუდად ჟღერს, თუმცა რა იცი, რა შეიძლება მოხდეს. არც ერთ მეტოქეს ამას არ ვუსურვებ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ანდრეს, ვთქვათ, კოჭი გადაებრუნებინა, ასე რომ, უნდა მეცადა მაინც. გამორიცხული იყო, მელბურნში ჩემი ბოლო მატჩისთვის თავი ტრავმის გამო დამენებებინა, თუნდაც 0:6 წამეგო... ისე, ვიცოდი, განწირული ვიყავი. საშინელებაა, როცა კარიერის უმნიშვნელოვანეს შეხვედრას რაღაც სულელური ფიზიკური კონდიციის გამო წააგებ".

ასე რომ, მატჩის დაწყებიდან საათისა და 7 წუთის შემდეგ ანდრე აგასიმ თითქმის უბრძოლველად შეაბიჯა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში. ამერიკელს ისღა დარჩენოდა, რაფტერის თავისიანებთან გამოთხოვებისთვის ეცქირა და მოგვიანებით მეტოქე შეექო: „მე და პატრიკს წლების მანძილზე უამრავი სამახსოვრო მატჩი გაგვიმართავს, ის მარტო კორტზე კი არა, საერთოდაც ძალიან კარგი ბიჭია. ავსტრალიელებს მოგიწოდებთ, დაარწმუნოთ, პენსიაზე არ გავიდეს და აქ გაისადაც ითამაშოს. ასეთი ჩოგბურთიით წასვლის არავითარი მიზეზი არ არსებობს".



REUTERS მელბურნიდან

პატრიკ რაფტერი

**ქალები. ნახევარფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ვინუს უილიამსი (3, აშშ) 6:1, 6:1.**

კაცების არ იყოს, მეტად იმედგამაცრუებელი გამოდგა ქალების, ერთი შეხედვით, ყველაზე საინტერესო ორთაბრძოლაც. ოღონდ რაფტერისგან განსხვავებით, ვინუს უილიამსმა მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს ვერც მატჩის დასაწყისში, ვერც შუაში ან მიწურულს წინააღმდეგობის მაგვარიც ვერ გაუწია.

ამ ნახევარფინალზე სათქმელი ცოტაა და რამდენიმე სტატისტიკური მონაცემიც საკმარისი იქნება: 53-წუთიან შეხვედრაში ჰინგისმა 8 უნებლიე შეცდომა დაუშვა, უილიამსმა — 38; შვეიცარიელმა მოწოდება ერთადერთხელ დაკარგა, ამერიკელმა კი ერთადერთხელ შეინარჩუნა. საერთოდაც, მთელი კარიერის მანძილზე შავ ვენერას ასეთი სიმწარე არასოდეს განუცდია.

წინა დღეს ჰინგისის მიერ დიდი გაჭირვებით დამარცხებული უმცროსი დის, სერენასგან განსხვავებით, რომელმაც ყველაფერი საჭმლით მოწამვლას გადააბრალა, ვინუსს თავის გასამართლებელი მიზეზების ძებნა არ დაუწყია: „ცხოვრებაში ბევრი რამ ყოველგვარი ლოგიკის, საბაბის გარეშე ხდება. დღეს ერთი იმ დღეთაგანი იყო, როდესაც არაფერი გამოგდის. მარტინა ჩვეულად კონტრშეტევებზე უშეცდომოდ ირჯებოდა, მე კი ყოველნაირად ვუწყობდი ხელს, ფინალში აღმოჩენილიყო".

შვეიცარიელისთვის ამ გამარჯვებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა იმიტომ ჰქონდა, რომ მან პირველად მოახერხა ერთ ტურნირზე ორივე უილიამსის დამარცხება. ადრე ერთი შავი მონსტრის დაჯაბნით გასავათებული მარტინა მეორის იოლი წერა ხდებოდა-ხოლმე: „როგორც იქნა, ორივე ჩამოვიშორე გზიდან, მიუხედავად იმისა, რომ გუშინდელმა მატჩმა ძალიან დამღალა, ვიცოდი, ვინუსიც არ იყო საუკეთესო ფორმაში და მოგების კარგი შანსი მქონდა. მოკლედ, ვიფიქრე, ან ახლა, ან არასდროს-მეთქი".

და ცოტაც სტატისტიკიდან: ორივე უილიამსის ერთ ტურნირზე დამარცხება აქამდე მხოლოდ არანჩა სანჩეს ვიკარიოსა და შტეფი გრაფს მოუხერხებიათ (შესაბამისად 1998 და 1999 წლების სიდნეის პირველობაზე); ჰინგისი ზედიზედ მეხუთედ გავიდა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში.

**ჯენიფერ კაპრიატი (12, აშშ) — ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) 6:3, 6:4.**

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ვუნდერკინდ ჯენიფერ კაპრიატის დიდი სლემის ტურნირის ფინალში შორეული 90-იანების დასაწყისში უნდა ესპარეზა ჯერ კიდევ მაშინ, მამის — სტეფანოს ბრძანებით, მართალია, ბუზღუნით, მაგრამ მაინც ადრიანად, რომ მიემართებოდა გამოსაძინებლად, თუმცა...

„საკუთარი ძალების ყოველთვის მწამდა, შეიძლება ასეთი წარმატებებისთვის მართლაც ადრე უნდა მიმეღწია, მაგრამ რაკი მაშინ არ გამიმართლა, ბედნიერი ვარ, ახლა მაინც დადგა ჩემი ჟამი. ამ ტურნირის დასაწყისიდანვე საიდანღაც შეურყეველი თავდაჯერება დამიბრუნდა, მოულოდნელად ვიგრძენი, რომ შესანიშნავად ვთამაშობდი და რაღაც განსაკუთრებულის გაკეთება ძალმიძდა. ბოლო ორმა მატჩმა ეს დაამტკიცა კიდეც".

კაპრიატიმ მძლავრი დარტყმებით ნახევარფინალის დასაწყისიდანვე უკანა ხაზს მიაჯაჭვა მსოფლიოს მეორე ჩოგანი დევენპორტი და გონს მოსვლა ბოლომდე არ აცალა. ლინდსი ცდილობდა, ძალაზე ძალით ეპასუხა, მაგრამ, როგორც წესი, ზედმეტი მოსდიოდა და ბურთებს გამუდმებით აუტში გზავნიდა, ჩვეულებრივ მრისხანე მოწოდებასაც სიზუსტე და წონა აკლდა.

„დღეს მან აშკარად მაჯობა. მართალია, ძალიან იმედგაცრუებული ვარ, ფინალში რომ ვერ გავედი, მაგრამ ამასთანავე მიხარია, რომ ეს ისეთმა შესანიშნავმა გოგომ მოახერხა როგორც ჯენიფერია. განსაკუთრებით მთელი იმ სიმწარის შემდეგ, რაც ცხოვრებაში გამოუცდია".

**ავთანდილ სვანიძე**



AP მელბურნიდან

ჯენიფერ კაპრიატი

## სხვადასხვა

**მსოფლიოს** პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს, ეტყობა, ახალი სატრფო ჰყავს — მსოფლიოს ყველაზე ცნობილი მოცურავე იან ტორფი. რაღაც უცნაური ჟურნალისტებმა პირველად მაშინ შენიშნეს, „ტორპედოდ" წოდებულმა ავსტრალიელმა სიდნეის ტურნირის მოგების შემდეგ საზეიმო ცერემონიალზე ჰინგისს მთავარი ჯილდო რომ გადასცა.

„რა ლამაზად გაცვია, იან" — თვალები დაუჟუჟუნა მარტინამ ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს არაერთი რეკორდის მფლობელს. ტორფის მენეჯერმა დევიდ ვლესკასმა დაადასტურა, რომ ფლირტი ამით არ დასრულებულა.

„მარტინას გამარჯვება მათ რესტორანში ერთად აღნიშნეს — განუცხადა ვლესკასმა მელბურნის „ჰერალდ სანს" — ორივენი მხიარული ხასიათით გამოირჩევიან და ერთმანეთს შესანიშნავად უგებენ, კარგა ხანი გაატარეს ერთად და უკვე ძველი ნაცნობებივით არიან. მარტინა მაგარი გოგოა".

ვარსკვლავების დაახლოებას უპირველესად საერთო სპონსორმა — „ადიდასმა" შეუწყო ხელი. სიდნეიში ფირმის მიერ მოწყობილ სარეკლამო ღონისძიებაში 20 წლის ჰინგისი და 18 წლის ტორფი ერთად მონაწილეობდნენ.



მარტინა ჰინგისი

მსოფლიოს პირველი ჩოგნის კაცთა კოლექციაში მოცურავე ახალი ხილია. აქამდე მას ძირითადად კოლეგები (მაგნუს ნორმანი, ივო იობერგერი, ჯასტინ გიმელსტობი) და ჰოკეისტები აინტერესებდა.

* * *

**ავსტრალიელმა** ლეიტონ ჰიუიტმა მესამე წრეში გასვლისთვის მიღებული საპრიზოდან 2 000 დოლარი დაკარგა. სწორედ ამდენი დაუჯდა მას კარლოს მოიასთან წაგებული მატჩის დროს მთავარი მსაჯის, რუდი ბერგერის შეურაცხყოფა.

ბერგერმა გადამწყვეტი სეტის მეცხრე გეიმში გვერდითი მსაჯის გადაწყვეტილება შეცვალა, რითაც 19 წლის ავსტრალიელი გვარიანად გაამწარა — ერთის ნაცვლად ამ უკანასკნელს 4 გათამაშებით მეტი დასჭირდა გეიმის მოსაგებად. საკუთარი სკამისკენ წასულმა ჰიუიტმა მსაჯი მოკლე და მეტყველი უწმაწური სიტყვით „დააჯილდოვა". ბერგერმა მაშინ შეურაცხყოფა ჩაყლაპა და ჩოგბურთელს შენიშვნაც არ მისცა. სამაგიეროდ, მოგვიანებით უფროსობასთან ჩაუშვა და შური უფრო მწარედ იძია.

ჰიუიტი ერთადერთი არ ყოფილა, ვინც წლევანდელ ავსტრალიის ღია პირველობაზე ჯარიმების მსხვერპლი გახდა. ანა კურნიკოვას დედის — ალას კარნახის ყურის გდებისთვის ასევე 2000 დოლართან მოუხდა გამოთხოვება, ფაბრის სანტორო კი დაუკონკრეტებელი „არასპორტული საქციელისთვის" სულაც 5000-ით დაზარალდა.

* * *

**გარდა იმისა,** რომ თანამემამულეები არიან და უკვე კარიერის დასასრულს უახლოვდებიან, მერვედფინალის მეტოქეებს — პიტ სამპრასსა და ტოდ მარტინს კიდევ ერთი რამ აქვთ საერთო: ორივე შარშან, წლის ბოლოს დაქორწინდა. აი, მომავალი თაობის სამპრასებისა და მარტინების შესახებ კი მათ ცოტათი განსხვავებული შეხედულებები აქვთ.

„მამა მაშინ მინდა გავხდე, როდესაც ამისთვის მზად ვიქნები, ახლა ამას ნამდვილად ვერ ვიტყოდი. ისე, ეს მაშინ მოხდება, კარიერას რომ დავასრულებ, თუ მანამდე, მნიშვნელობა არა აქვს" — მიაჩნია მარტინს.

„პისტოლ პიტი" ცოტა ნაკლებად კატეგორიული ჩანდა: „მირჩევნია, მამა მაშინ გავხდე, პენსიაზე რომ გავალ, მაგრამ სიურპრიზების წინააღმდეგიც არ ვიქნები".

* * *



შტეფი გრაფი

**ამჟამად,** ძირთადად ბოიფრენდ ანდრე აგასის ტრიბუნებიდან ცქერით დაკავებულ შტეფი გრაფს შესაძლოა მალე გაცილებით სერიოზული საქმიანობა — საჩოგბურთო ტურნირის ორგანიზება გამოუჩნდეს. გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციაში აპირებენ, მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ქვეყნის ყველაზე პრესტიჟული პირველობის — გერმანიის ღია ჩემპიონატის თავკაცობა შესთავაზონ.

„ვფიქრობ, შტეფი ტურნირის შესანიშნავი დირექტორი იქნება და ბრწყინვალედ გაართმევს თავს ახალ საქმეს. ეს, ჩემი აზრით, პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტაა, რაღაც ახალი ჩვენთვისაც და მისთვისაც" — განუცხადა სპორტულ სააგენტო SID-ს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გეორგ ფონ ვალდენფელსმა. ჯერჯერობით გრაფთან მოლაპარაკება არ გამართულა, ვალდენფელსმა სხვა დეტალების გამჟღავნებისგან ამიტომაც შეიკავა თავი.

უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციასთან ახლაც თანამშრომლობს. ის „პორშეს" იუნიორთა გუნდში ახალგაზრდა ნიჭიერი მოთამაშეებს არჩევს და ეხმარება, ოღონდ მწვრთნელობაზე უარს ამბობს.

გერმანიის ღია პირველობის დირექტორის თანამდებობა ძველი თავკაცების — გიუნტერ სანდერსისა და კრისტიან ტიმანის გადადგომის შემდეგ გათავისუფლდა. გრაფის გარდა ამ პოსტზე კიდევ ერთი უიმბლდონის ჩემპიონის, მიხაელ შტიხის კანდიდატურასაც განიხილავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კალიფორნიული კოშმარი

24 იანვარი

**გოლდენ სტეიტი 109:87 ნიუ ჯერსი**

**გოლდენ სტეიტი:** ბლეილოკი (20), სურა (6), მულინი (7), ჯემისონი (28 ქულა, 12 მოხსნა), მ. ჯეკსონი (17 ქულა, 13 მოხსნა); ჰიუზი (10), ბრაუნი (8), კამინგსი (7), კარლი (6), კიფი

**ნიუ ჯერსი:** მარბერი (11), ჰარისი (12), ს. ჯეკსონი (13), ვან ჰორნი (12), მარტინი (6); ნიუმენი (13), გილი (7), ვილიამსი (6), სამაკე (4), სტეფანია (5 წუთი, 2 ქულა, 4 მოხსნა), დუგლასი (1), ემმეირი

იქნებ „ნიუ ჯერსი ნეთსს" უკეთესი გუნდობის პრეტენზია ჰქონდეს, ვიდრე „გოლდენ სტეიტ ვორიორზია", რასაც მარცხით განცვიფრებული ნიუჯერსელის, კენდალ გილის სიტყვებიც მოწმობს: არც კი მჯერა, მაგათთან რომ წავაგეთო, მაგრამ სან ფრანცისკოს გარეუბან ოკლენდში გამართული ეს შეხვედრა სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს. ვლადიმერ სტეფანიას „ნიუ ჯერსიმ" მორიგი მწარე ალიყური ჭამა. „ბადეთა" მწვრთნელ ბაირონ სკოტს უჭირს იმის თქმა, თუ რა გზას დაადგება მომავალში, მაგრამ თუ მისი გუნდი კვლავაც ასე გააგრძელებს, ალბათ, იმ თბილი სავარძლის დატოვება მოუწევს, რომელიც სამიოდ თვეა, უკავია. ამას წინათ მორიგი უიმედო მარცხის შემდეგ სკოტმა თავისი შეგირდები კი არ გააკრიტიკა, ქალებს შეადარა და მერე სუსტი სქესის წარმომადგენლებს საქვეყნოდ ბოდიში მოუხადა, შევცდი, ჩემი კალათბურთელები თქვენთან შედარებასაც არ იმსახურებენო. ისიც მოვიგონოთ, კიდევ ერთი წაგებით („ნიუ ჯერსი" სხვა არაფრით გამოირჩევა) გაალმასებულმა მწვრთნელმა ცხელ გულზე რომ თქვა, ღლესვე გავყრიდი რვაცხრა კაცს გუნდიდანო. მათ შორის, ალბათ, ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიაც ურევია, თუმც მასზე აუგი ნამდვილად არ ითქმის. ქართველი ცენტრი თუ საქმეს არ აკეთებს, არც აფუჭებს. ამ შეხვედრაშიც ვოვამ სულ ხუთი წუთი ითამაშა და ცხადია, ამ დროში სამმაგ დუბლს ვერ შეასრულებდა. სკოტმა უფრო წამყვან მოთამაშეებში უნდა მოიძიოს საქმის წამხდენნი, ასეთები კი „გოლდენ სტეიტთან" უკლებლივ ყველა იყო.

სტივენ მარბერი ხუთი წელია, ნბა-ს ერთ-ერთი უძლიერესი გამთამაშებელია, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა „ოლ სტარზში" თამაში. იგი იმედოვნებს, რომ წლეულს მაინც მოხვდება იქ, თუმცა ახლა, როცა ეს საჩვენებელი თამაში შორს აღარ არის, მარბერიმ ჩავარდნებს უხშირა და თუ ასე გააგრძელა, ოცნება უთუოდ გაუხუნდება. „გოლდენ სტეიტთან" ეს ჯან-ღონით სავსე ჯეელი ვეტერანმა, თანაც იმ დღით სურდოშეყრილმა მუკი ბლეილოკმა შავ დღეში ჩააგდო და სულ 11 ქულას დააჯერა, ეს კი იმის ნახევარიც არაა, რასაც მარბერი ყოველ თამაშში საშუალოდ აკეთებს. სტუმართა კიდევ ერთი ლიდერი — კეიტ ვან ჰორნი ანტუან ჯემისონმა დაჯაბნა. უკეთეს დღეში არც წლევანდელი დრაფტის პირველი ნომერი (ასეთები კი პოტენციურ სუპერვარსკვლავებად მიიჩნევიან) კენიონ მარტინი ყოფილა. მას დრაფტის მეორე წრეში არჩეულმა მარკ ჯეკსონმა, რომელსაც თითქოს 12-კაციან განაცხადში მოხვედრა უნდა უჭირდეს, გვარიანი სირცხვილი აჭამა და ლამის ხელი არ გაანძრევინა. ყოველივე ამის შემდეგ რაღა გასაკვირია სანფრანცისკოელთა გამარჯვება. „ნიუ ჯერსი" მხოლოდ პირველ ნახევარში ეწინააღმდეგებოდა მასპინძლებს, ტაიმი ოთხი ქულით წააგო, მერე კი სულ ჩამოყარა ყურები. მანამდე მარბერის დევნით გართულმა მუკი ბლეილოკმა შეატყო, მეურვე უჩემოდაც ვერაფრის გამკეთებელიაო, მეტოქის ლიდერს ჩამოშორდა და სტუმართა კალათი ზუსტი ორიანსამიანებით დასეტყვა. მან მესამე მეოთხედში 11 ქულა მიითვალა, ჯეკსონმა — 12, ჯემისონმა — 6 და ბოლო მეოთხედის წინ ანგარიში უკვე 87:69 იყო, რითაც ფაქტობრივად ყველაფერი დასრულდა.

ორ დღეში ორ კალიფორნიულ გუნდთან ნაჭამი მარცხის შემდეგ საეჭვოა, „ნიუ ჯერსიმ" შელახული რეპუტაციის აღდგენა მოახერხოს. 26 იანვარს „ბადეები" კიდევ ერთ კალიფორნიელს, „ლოს ანჯელეს ლეიკერსს" სტუმრობენ. აქ პროგნოზებისგან თავს ვიკავებთ.



გოლდენ სტეიტი — ნიუ ჯერსი. ჯონი ნიუმენმა გოლდენსტეიტელ ვონტიგო კამინგსს დაასწრო

AP სან ფრანცისკოდან

**კლიპერსი 110:114 სიეტლი**

(ძირითადი დრო 100:100)

**კლიპერსი:** პიატკოვსკი (30), მაკინისი (20 ქულა, 10 პასი), რიჩარდსონი (18)

**სიეტლი:** პეიტონი (16), პატერსონი (18), ბეიკერი (18)

**ჰიუსტონი 84:85 ფილადელფია**

(ძირითადი დრო 70:70)

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (24), მობლი (22), ანდერსონი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ფილადელფია:** აივერსონი (32)

**შარლოტი 81:67 ნიუ იორკი**

**შარლოტი:** მაშბურნი (31 ქულა, 13 მოხსნა), ვესლი (18)

**ნიუ იორკი:** სპრიუელი (22), ჰიუსტონი (18)

**მაიამი 103:83 ტორონტო**

**მაიამი:** მეისონი (21), ჯონსი (18), გრანტი (17)

**ტორონტო:** კარტერი (21)

**დეტროიტი 73:106 ფინიქსი**

**დეტროიტი:** სტეკჰაუზი (19)

**ფინიქსი:** რობინსონი (27), მარიონი (18 ქულა, 16 მოხსნა)

**კლივლენდი 94:86 ჩიკაგო**

**კლივლენდი:** მიურეი (26), ბეტლინგი (16)

**ჩიკაგო:** ბრენდი (22 ქულა, 14 მოხსნა), ელ ამინი (17)

„სიეტლ სუპერსონიქსის" ლიდერ გერი პეიტონს აშკარად მოუხდა შიდაგუნდური ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია, რომელიც მწვრთნელ ნეით მაკმილანსა და თანაგუნდელ რუბენ პატერსონთან ჩხუბის გამო მიიღო. ახლა პეიტონი გუნდის ინტერესებს იცავს, მწვრთნელ-თანაგუნდელებსაც მეტი პატივისცემით ეპყრობა და ეს „სიეტლის" თამაშზეც დადებითად აისახა. ჩემპიონ „ლეიკერსს" „ზებგერითებმა" მისი „უმცროსი" თანაქალაქელი „კლიპერსიც" მიაყოლეს. პეიტონს და სხვა სიეტლელთ აქ ძალ-ღონე არ დაუშურებიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უსახური „კლიპერსისგან" გაცილებით მეტ წინააღმდეგობას წააწყდნენ, ვიდრე ბობოლა „ლეიკერსისგან". ამასთან, „კლიპერსი" პირველ ნახევარში ლიდერსა და კაპიტანს, ლამარ ოდომს მოისაკლისებდა. ნიჭიერი, მაგრამ ჭირვეული ოდომი საკუთარმა კლუბმა დასაჯა წინადღით ვარჯიშის გაცდენისთვის. თურმე ოდომი ლას ვეგასში ყოფილა, იქ ფული წაუგია და კარგადაც გამომთვრალა, მეორე დღით კი თვითმფრინავზე დაუგვიანია და ვეღარც ვარჯიშისთვის ჩაუსწრია. მას არ უთამაშია „სიეტლთან" შეხვედრის პირველ ნახევარში. მისი ადგილი სასტარტო ხუთეულში ერიკ პიატკოვსკიმ დაიკავა და სეზონში ყველაზე მეტი, 30 ქულითაც დაასრულა თამაში. ოდომი მეორე ნახევარში გამოჩნდა მოედანზე, თავის გუნდს 16 ქულა შეაშველა და ლამის მოაგებინა კიდეც. „კლიპერსი" მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე რვა ქულით იგებდა, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვა. პეიტონის, პატერსონისა და ბრენტ ბერის (11 ქულა) ძალისხმევით მალე ამ სხვაობიდან თითქმის აღარაფერი დარჩა. კიდევ ერთმა სიეტლელმა, დესმონდ მეისონმა კი სირენამდე 1,5 წამით ადრე ჩაუტენა „კლიპერსს", 100:100 გაათანაბრა და შეხვედრა დამატები დროში გადაიყვანა. ოვერტაიმის პირველ ორ წუთში პეიტონმა ხუთი ქულა მიითვლა, „სიეტლი" 106:103 დააწინაურა და სტუმრებს შეხვედრის გამარჯვებამდე მიყვანა აღარ გასჭირვებიათ.

დამატებით დროს ვერ ასცდა „ფილადელფიაც". გუნდი, რომელსაც ლიგაში საუკეთესო შედეგი აქვს, „ჰიუსტონს" სტუმრობდა. ეს უკანასკნელი გასვლით თამაშებს უკეთ ატარებს, ვიდრე შინაურს, თუმც ახლა საკუთარ გულშემატკივრებთან არ შერცხვა, „ფილადელფიას" ბოლომდე ებრძოლა და აღმოსავლელ ბობოლას საქმე გაუჭირვა. სროლა არ წაუვიდა სტუმართა ლიდერ ალენ აივერსონს, მან პირველ ნახევარში 13-დან ოდენ სამი ჩააგდო, თუმცა მეორე ნახევარში მიზანი გაასწორა და საბოლოოდ 32 ქულასაც მიუყარა თავი.



კლიპერსი — სიეტლი. სტუმარმა დესმონდ მეისონმა ამ ჩატენით მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა

AP ლოს ანჯელესიდან

ხუთი მარცხის შემდეგ, როგორც იქნა, საზეიმოდ მიაღწია და უიმედო სერია შეწყვიტა „შარლოტ ჰორნეტსმა". მან „ნიუ იორკი" იმსხვერპლა, რომელიც უკვე მეოთხე მატჩია, მარკუს კემბის გარეშე თამაშობს და წელში ვერ გამართულა. ახლა „ნიქსმა" ოდენ 67 ქულა ჩაუგდო „შარლოტს". ეს „ჰორნეტსისთვის" ერთგვარი რევანში გახლდათ. სეზონის დაწყებისას ამ გუნდების შეხვედრა ზუსტად ამავე ანგარიშით დასრულდა, ოღონდ „ნიუ იორკის" გამარჯვებით.

წინადღით „ორლანდოსთან" დამატებით დროში შეჭიდებულმა და ამ მძიმე მარცხით მოქანცულმა „ტორონტომ" კიდევ ერთ ფლორიდელს, „მაიამის" პირველ სამ მეოთხედში თუ გაუწია წინააღმდეგობის მაგვარი, ბოლო მეოთხედში კი სულ გამოელია ძალა და ეს თორმეტწუთეული 16:32 დათმო. ყველაზე დაღლილი ტორონტოელთა ლიდერი ვინს კარტერი ჩანდა, რომელმაც სულ 13-ჯერ ისროლა ბურთი, მართალია, უმეტესობა ჩააგდო და 21 ქულაც გააკეთა, მაგრამ ეს მის გუნდს სულაც არ ეყო.

„ფინიქს სანზის" ლიდერ ჯეისონ კიდს კი, მოგეხსენებათ, ამ რამდენიმე დღის წინ ლამის ცოლი შემოელახა. ახლა კალათბურთელი დანაშაულს ინანიებს და გუნდს ექვსთამაშიან გასვლით სერიაზე არ ახლავს. „ფინიქსმა" ამ ექვსი მატჩიდან ორის წაგება უკვე მოასწრო და, ალბათ, ამაზე არ შეჩერდება, უნდა „დეტროიტი" რომ არ გადაეყაროს. ფინიქსელმა შონ მარიონმა, გარდა იმისა, რომ 18 ქულა და 16 მოხსნა გააკეთა, სანაქებო მეურვეობა გაუწია „დეტროიტის" ლიდერს და ლიგის ბომბარდირს, ჯერი სტეკჰაუზს და 19 ქულას დააკერა. კიდევ ერთმა ფინიქსელმა, სოხუმში დაბადებულ-გაზრდილმა იაკოვს ცაკალიდისმა, რომელიც პირველად მოხვდა „სანზის" სასტარტო ხუთეულში, 9 ქულა, 11 მოხსნა და 5 დაფარება გააკეთა, დაცვაში კი ჯო სმიტი არ გააჩერა და „დეტროიტიც", რადგან სმიტისა და სტეკჰაუზის გარდა ხეირიანი არავინ ჰყავს, წასაგებად გაიწირა.

ერთ დროს მრისხანე, ახლა კი ყველაზე წყალწაღებული „ჩიკაგო ბულზი" ბოლომდე თავდადებით ეომა „კლივლენდს". ელტონ ბრენდმა და გაამერიკელებულმა არაბმა, 178-სანტიმეტრიანმა ხალიდ ელ ამინმა გვარიანი პრობლემები გაუჩინეს მასპინძლებს, მაგრამ „ბულზს" მეშვიდე გამარჯვება მაინც ვერ მოუტანეს.

**ირაკლი ფირცხვილი**

## ევროპის ჩემპიონატი 2001

**შესარჩევი ეტაპი. IX ტური. 24 იანვარი**

### A ჯგუფი

**ხორვატია 82:72 ინგლისი**

ხორვატია: კოვაჩიჩი (8), კრსტიჩი (11), მარცელიჩი (3), მრშიჩი (14), ნიჩევიჩი, სესარი (18), სკელინი (16), ი. ვრანკოვიჩი, ვუიჩიჩი (12)
ინგლისი: ბეიკერი, ბეტსი (7), ბაკნელი, შერიმენი (4), ჰიუგინსი (17), მაკკინლი, ვაითი (8), უილიამსი (12)

**უნგრეთი 72:71 შვეიცარია**

უნგრეთი: ციგლერი (10), ფოდორი (10), გრებენარი, ჰალმი (6), კალმანი (25), მესაროში (5), ნემეტი (3), პანკარი (2), შიტკუ (8), ტრეპაკი (2)
შვეიცარია: ბორტერი (8), ჩერეზა (2), ედვარდსი (9), ფერნანდესი, ჟაკიე, კოლერი, მრაზეკი (2), სასელა (32), ვალისი (18)

**ლატვია 101:78 სლოვაკეთი**

ლატვია: ბაგატსკისი (19), ჰელმანისი (34), ლაკსა (2), მელნიკსი (1), მიგლინიეკსი (3), შტელმახერსი (34), შტურმსი (3), ვალეიკო (3), ვეკვაგარსი, ვიტოლსი (2)
სლოვაკეთი: ბალაჟი (2), ბოჰუნიცკი (18), გაველი, ივანი (11), კრამერი (23), სნოპკო (8), სოსკა (2), სვიტეკი (14), ზნანეცი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 9 | 9 | 0 | 754:615 | 18 |
| ლატვია | 9 | 6 | 3 | 765:672 | 15 |
| უნგრეთი | 9 | 5 | 4 | 646:645 | 14 |
| ინგლისი | 9 | 4 | 5 | 680:684 | 13 |
| შვეიცარია | 9 | 3 | 6 | 616:680 | 12 |
| სლოვაკეთი | 9 | 0 | 9 | 572:737 | 9 |

*X ტურში ითამაშებენ:*
*ლატვია — ხორვატია, ინგლისი — უნგრეთი, სლოვაკეთი — შვეიცარია*

### B ჯგუფი

**ჩეხეთი 72:69 პოლონეთი**

ჩეხეთი: ბეჩკა (12), ბენეში (2), ჩუდეკი (3), კუბალეკი (17), ნოვაკი (2), პრიბილი (5), სტანეკი (4), ტრნკა (6), ველში (21)
პოლონეთი: ჰლებოვიცკი (1), ჰიზი (2), იანკოვსკი (1), კორიტეკი (6), ლოპატკა, პლუტა (8), სიდორი (4), ტომჩიკი (23), ვოიციკი (16), ზიელინსკი (8)

**საბერძნეთი 76:50 ავსტრია**

საბერძნეთი: კალაიძისი (5), ხაძივრეტასი (5), პაპალუკასი (6), პაპანიკოლაუ (13), პაპადოპულოსი (6), დიამანტოპულოსი (4), დიკუდისი (19), ცარცარისი (5), რენციასი (12), მაგლოსი (1)
ავსტრია: გაისლერი, მაიერი, ვაისენბოკი (11), მადერი, ვოლჩიჩი (10), ბუგელშაიმი (6), ასჩერიჩი (11), ფრიცი (2), ჰელმიგკი (10)

**ესტონეთი 91:89 ბელარუსი**

ესტონეთი: კრიისა (4), კულამი (12), კუუსმაა (10), მეცტაკი (5), მიუურსეპი (31), ნოორმეტსი, პარნი (14), პეჰკა (10), რუმა (5), ტეინი
ბელარუსი: ალექსეევი (2), ბაიდაკოვი (18), შარკო, კლემეზი (14), კორშუკი, კრივონოსი (13), კული (26), მეშჩერიაკოვი (14), პინტიკოვი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 9 | 9 | 0 | 730:586 | 18 |
| ესტონეთი | 9 | 6 | 3 | 721:687 | 15 |
| პოლონეთი | 9 | 5 | 4 | 694:679 | 14 |
| ჩეხეთი | 9 | 5 | 4 | 687:692 | 14 |
| ბელარუსი | 9 | 1 | 8 | 663:726 | 10 |
| ავსტრია | 9 | 1 | 8 | 615:740 | 10 |

*X ტურში ითამაშებენ:*
*ესტონეთი — ჩეხეთი, პოლონეთი — საბერძნეთი, ბელარუსი — ავსტრია*

### C ჯგუფი

**ბულგარეთი 99:75 ჰოლანდია**

ბულგარეთი: დიმიტროვი, მინჩევი (23), მლადენოვი (11), ნატოვი (7), პეტროვი (11), რადიონოვი (12), სტოიკოვი (35)
ჰოლანდია: დე ფრიზი (2), ფლანდერსი (11), ფრედერიკსი (5), ჰამინკი (31), ჯონსი (2), კრიგერი (11), ლომერსე (7), ვან დერ სლუისი (6)

**ბოსნია 102:87 ფინეთი**

ბოსნია: ფირიჩი (19), ჰუკიჩი (28), იაზვინი (2), კრასიჩი (2), ლერიჩი (8), მრშიჩი (27), ოპაჩაკი (4), ოვჩინა (4), სულიანოვიჩი (6), ტერზიჩი (2)
ფინეთი: ილმონენი (1), ჯონიერი (4), კუისმა (22), კუმპულაინენი (4), ლაინე (2), ლუჰტანენი (23), მაკელა (24), მატინენი (2), პრატესი (2), რიიჰელა (3)

**ისრაელი 81:83 შვედეთი**

ისრაელი: ბურშტეინი (7), კოენი (14), გრინი (3), ლუბინი (3), მუხტარი (4), საფარი (16), შარფი (23), ტამირი (4), თორჯემანი (7)
შვედეთი: ბერგსტრიომი (10), ბლომი (16), იონსონი (15), ჰ. ლარსონი (7), პ. ლარსონი (14), მირტილი (2), პრტიჩი (3), სანდერსი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 9 | 7 | 2 | 731:623 | 16 |
| ბოსნია | 9 | 5 | 4 | 683:681 | 14 |
| ბულგარეთი | 9 | 4 | 5 | 735:713 | 13 |
| ჰოლანდია | 9 | 4 | 5 | 671:671 | 13 |
| ფინეთი | 9 | 4 | 5 | 724:799 | 13 |
| შვედეთი | 9 | 3 | 6 | 683:740 | 12 |

*X ტურში ითამაშებენ:*
*ბულგარეთი — ისრაელი, ჰოლანდია — ფინეთი, შვედეთი — ბოსნია*

### D ჯგუფი

**ისლანდია 83:102 მაკედონია**

ისლანდია: არნარსონი (13), ბირგისონი (4), ეინარსონი, გუდფინსონი (17), გუნარსონი (13), ჰაფსტეინსონი, მაგნუსონი (3), ორმსონი (3), ფ. სტეფანსონი (19), ი. სტეფანსონი (11)
მაკედონია: ბლაჟევსკი (15), ჩეკოვსკი (14), გეჩევსკი (18), იოვანოვსკი (11), კურტოვიკი (9), ნაუმოსკი (17), სრბინოსკი, სტანკოვიკი, სტეფანოვი (18)

**სლოვენია 96:73 უკრაინა**

სლოვენია: ბეჩიროვიჩი (19), გრუმი (4), იაგოდნიკი (6), იურაკი (8), იურკოვიჩი (16), მოდრიჩი (7), ნახბარი (10), სმოდიში (4), ტუშეკი (13), უდრიჰი (9)
უკრაინა: ხარჩენკო (5), ხიჟნიაკი (3), ხრიაპა (9), ოკუნსკი (10), პუდზირეი (1), რაგევსკი (6), იაილო (15), იევსტრატენკო (15), ჟურავლიოვი (9)

**ბელგია 94:81 პორტუგალია**

ბელგია: ბაერტი (5), ბეგინი (8), კლეიმანსი (7), დე ბელი, დესევერი (19), დიუპონი (8), ელისი (21), იბენსი, ლაუერსი (14), სტასი (12)
პორტუგალია: ანტუნეში (23), აზევედუ, ჟორდაუ, დე კამპოსი, სიმაო (10), მაჩედო (16), მირანდა (4), მონტეირო (6), ოლივეირა (20), ტავარეში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 9 | 9 | 0 | 795:631 | 18 |
| მაკედონია | 9 | 6 | 3 | 719:655 | 15 |
| უკრაინა | 9 | 6 | 3 | 689:631 | 15 |
| ბელგია | 9 | 5 | 4 | 709:654 | 14 |
| პორტუგალია | 9 | 1 | 8 | 644:750 | 10 |
| ისლანდია | 9 | 0 | 9 | 578:813 | 9 |

*X ტურში ითამაშებენ:*
*უკრაინა — მაკედონია, ბელგია — სლოვენია, პორტუგალია — ისლანდია*

*X ტური გაიმართება 27 იანვარს*

# ვინ საით წავა კიევის ვაგზლიდან?

**ევროპის** 2001 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი დასასრულს მიუახლოვდა. ხვალ დასკვნითი ტურია, რომელიც სექტემბერში თურქეთში წამსვლელთა ვინაობას საბოლოოდ დაადგენს.

ევრობასკეტ-2001-ის საგზურები აქამდე განაღდებული ჰქონდათ ხორვატიას, საბერძნეთს, ისრაელს და სლოვენიას. ბოლოსწინა, მეცხრე ტურის შემდეგ მათ ლატვიაც შეუერთდა. იტალიას, ესპანეთს, იუგოსლავიას, საფრანგეთს, რუსეთს, ლიტვას, გერმანიას და თურქეთს შესარჩევი ციკლი საერთოდ არ გაუვლიათ — ევროპის 1999 წლის ჩემპიონატის პირველ-მერვე ადგილებზე გასულები ავტომატურად დაუშვეს მომავალი პირველობის ფინალურ ეტაპზე. ამდენად, დარჩენილია სამი საგზური და რვა გუნდის პრეტენზია.

თურქეთის ბილეთის მისაღებად ლატვიას უსახური აუტსაიდერი, სლოვაკეთი უნდა დაემარცხებინა. ბალტიელებმა მატჩის მესამე მეოთხედში შეასრულეს ამოცანა, მაშინ, როცა 17 ქულით დაწინაურდნენ. სლოვაკეთი მდგომარეობის გამომსწორებელი არ იყო და მშვიდად შეეგუა ბედს. მოიგო ლატვიის მდევარმა უნგრეთმა და კვლავ ერთი ქულით ჩამორჩება მეტოქეს.

მიუხედავად ამისა, ამ ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია: ბოლო ტურში ლატვიის მარცხის და უნგრეთის გამარჯვების შემთხვევაშიც ევროპის ჩემპიონატზე ბალტიელები გაემგზავრებიან. თანაბარქულიანობა რომც იყოს, მათ უპირატესობა აქვთ, რადგან უნგრელებთან ურთიერთშეხვედრებში მათი ჩაგდებულ-მიღებული ბურთების ბალანსი უკეთესია. ხორვატიამ კი დაუმარცხებელი სვლა განაგრძო და ლიდერ დამირ მულაომეროვიჩის გარეშეც დაამარცხა ინგლისი.

B ჯგუფში პოლონეთი ჩეხეთთან დამარცხდა და ევროპის ჩემპიონატზე ოცნებას გამოეთხოვა. მას და ჩეხეთს თანაბარი ქულები აქვთ, მაგრამ ბოლო ტურში რაც გინდა მოხდეს, პოლონეთს მაინც არაფერი ეშველება. თუ ესტონეთი ჩეხეთს დაამარცხებს, მაშინ თურქეთში ულაპარაკოდ წავა. მეტიც, ბალტიელებს ცხრა ქულით დამარცხების უფლებაც აქვთ. ჩეხეთის საქმე კი უფრო რთულადაა. მათ ათქულიანი მოგება მაშინ დააკმაყოფილებთ, თუ პოლონეთი საბერძნეთს დაამარცხებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩეხეთმა 17-ქულიან გამარჯვებაზე უნდა იზრუნოს.

სრული გაურკვევლობაა C ჯგუფში. ისრაელმა ვადამდე მოიგვარა საქმე და მეცხრე ტურში სავსებით მოულოდნელად წააგო აუტსაიდერ შვედეთთან. ამ ორ გუნდთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია. რა ბედი ეწევათ დანარჩენებს, ვერავინ იწინასწარმეტყველებს. ყველაზე კარგ სიტუაციაში ბოსნიაა — თუ შვედეთს დაამარცხებს, ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებაზე ფიქრს დაიწყებს.

D ჯგუფის, ტურის და მთლიანად შესარჩევი ციკლის უმთავრესი მატჩი კიევში გაიმართება. უკრაინა თანაბარქულიან მაკედონიას უმასპინძლებს. მოგებული ევრობასკეტ-2001-ის საგზურს მიიღებს, ხოლო წაგებულს კიდევ ორი წელიწადი მოუწევს ცდა: იქნებ ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გაუმართლოს.


სლოვენია — უკრაინა. იგორ ხარჩენკო (მარცხნივ) და სლოვენიელი ბენო უდრიჰი


ბოსნია — ფინეთი. იუჰა ლუჰტანენმა (№12) ბოსნიელი დამირ მრშიჩი ვერ შეაჩერა

# შევარდენი პირნათელია

## ვითას და დინამოს ბედს ალმასკომი გადაწყვეტს

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ალმასკომის ამასწინანდელი გადაწყვეტილებით, გუნდები, რომლებიც დავალიანებას არ დაფარავდნენ, ქვეყნის ჩემპიონატიდან მოიხსნებოდნენ. შეჯიბრების ორგანიზატორებთან თბილისის გუნდები, „შევარდენი", „ვითა" და „დინამო" არ იყვნენ გასწორებულნი. სამივეს ჩემპიონატიდან მოკვეთა ემუქრებოდათ, რადგან ალმასკომის მიერ დათქმულ ვადაში ვერ ჩაეტივნენ.

„შევარდენმა" იყოჩაღა და 800-ლარიანი დავალიანება დაფარა, ექვსეულში მოხვედრილ საავიაციო ქარხნის გუნდს მშვიდად შეუძლია ჩემპიონატში ასპარეზობა. „ვითას" და „დინამოს" ჯერ არ გაუკრავთ ჯიბეზე ხელი. მათ ბედს ალმასკომის მორიგი სხდომა გაარკვევს, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალი კვირის დასაწყისში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ „ვითას" ფედერაციის 5 300 ლარი მართებს (წინა ჩემპიონატიდან გადმოყოლილ ვალთან ერთად), ხოლო „დინამოს" — 2 400 ლარი.

ალმასკომი ჩემპიონატის განახლების თარიღსაც დაადგენს.


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანია. ბუნდესლიგა. მე-19 ტური**

**26 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 001 | შალკე-ჰანზა | 1,4 | 3,3 | 7,5 |
| | 002 | შალკე-ჰანზა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 003 | ვერდერი-მიუნხენ 1860 | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.30 | 004 | ფრაიბურგი-უნტერჰახინგი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 18.30 | 005 | კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 18.30 | 006 | ბაიერნი-ბოხუმი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 007 | ბაიერნი-ბოხუმი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.30 | 008 | დორტმუნდი-კოტბუსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 009 | დორტმუნდი-კოტბუსი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.15 | 010 | აინტრახტი-კიოლნი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 011 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 012 | ლევერკუზენი-შტუტგარტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20.30 | 013 | ჰამბურგი-ჰერტა | 2,1 | 2,9 | 3,4 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-19 ტური**

**26 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 014 | ჰანოვერი-ქემნიცი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 015 | ჰანოვერი-ქემნიცი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 22.00 | 016 | ვალდჰოფი-ზანქტ პაული | 2,3 | 2,9 | 3,0 |

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 017 | როიტლინგენი-ალემანია | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 18.00 | 018 | მიონხენგლადბახი-ოსნაბრუკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 019 | მიონხენგლადბახი-ოსნაბრუკი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 020 | ალენი-ნიურნბერგი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 18.00 | 021 | კიკერსი-მაინცი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 18.00 | 022 | დუისბურგი-ობერჰაუზენი | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 18.00 | 023 | არმინია-ულმი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**29 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 024 | ფიურტი-ზაარბრიუკენი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 025 | ფულემი-ბირმინგემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 026 | გრიმსბი-პორტსმუთი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 027 | ნორვიჩი-უოტფორდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

**ინგლისი. II დივიზიონი. 29-ე ტური**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 028 | ნორთჰემპტონი-პიტერბრო | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 029 | კემბრიჯი-უოლსოლი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 030 | ლუთონი-რედინგი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 19.00 | 031 | მილუოლი-ბორნმუთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 032 | ოლდემი-ბრენტფორდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 19.00 | 033 | ოქსფორდი-კოლჩესტერი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 034 | როტერჰემი-პორტვეილი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 035 | სტოკი-უიგანი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 036 | სუინდონი-ბერი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 037 | რექსჰემი-ნოთსი | 2,3 | 3,1 | 2,6 |

**ინგლისი. III დივიზიონი. 29-ე ტური**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 038 | ბარნეტი-ჰარტლპული | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 039 | ბლექპული-იორკი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 040 | კარლაილი-მენსფილდი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 041 | ჩელტენემი-სკანთორპი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| 19.00 | 042 | ჩესტერფილდი-ტორკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 043 | ჩესტერფილდი-ტორკი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 044 | ექსეტერი-ბრაიტონი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 19.00 | 045 | კიდერმინსტერი-ჰალი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 19.00 | 046 | ლინკოლნი-დარლინგტონი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 047 | მაკლსფილდი-კარდიფი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 048 | პლიმუთი-ჰალიფაქსი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 049 | საუთენდი-შრიუსბერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 050 | როჩდეილი-ლეიტონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-24 ტური**

**26 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 051 | ბორდო-მარსელი | 1,55 | 3,2 | 5,6 |

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 052 | ლიონი-ნანტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 053 | რენი-ბასტია | 1,9 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 054 | ოსერი-გენგამი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 055 | პსჟ-ლანსი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 056 | სედანი-მეცი | 1,5 | 3,3 | 6,5 |
| 23.00 | 057 | ტულუზი-მონაკო | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.00 | 058 | ლილი-სენტ ეტიენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 23.00 | 059 | სტრასბური-ტრუა | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. 26-ე ტური**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 060 | ბოვე-კრეტეი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 23.00 | 061 | ლე მანი-გენიონი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 23.00 | 062 | ნიმი-ლავალი | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 23.00 | 063 | შატორუ-ლე ავრი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 23.00 | 064 | მარტიგი-ლორიანი | 3,0 | 2,7 | 2,4 |
| 23.00 | 065 | ნიორი-ნანსი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 066 | აიაჩო-ნიცა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 23.00 | 067 | კანი-სოშო | 3,0 | 2,7 | 2,4 |
| 23.00 | 068 | კაენი-ვასკეალი | 1,7 | 2,8 | 5,6 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 069 | ანჟერი-მონპელიე | 3,6 | 2,9 | 2,0 |

**იტალია. სერია A. მე-16 ტური**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 070 | ლეჩე-ბოლონია | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 23.30 | 071 | რეჯინა-პერუჯა | 2,2 | 2,9 | 3,2 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 072 | ბრეშა-მილანი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 18.00 | 073 | ფიორენტინა-ლაციო | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 18.00 | 074 | ინტერი-ბარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 075 | ინტერი-ბარი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 076 | იუვენტუსი-ვიჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 077 | იუვენტუსი-ვიჩენცა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 078 | რომა-ნაპოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 079 | რომა-ნაპოლი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 080 | ვერონა-პარმა | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 081 | უდინეზე-ატალანტა | 2,0 | 2,8 | 3,8 |

**იტალია. სერია B. მე-20 ტური**

**26 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 082 | ჯენოა-კიევო | 2,3 | 2,5 | 3,2 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 083 | კროტონე-კალიარი | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| 18.00 | 084 | პიაჩენცა-ჩიტადელა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 18.00 | 085 | პესკარა-კოზენცა | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 18.00 | 086 | ვენეცია-მონცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 087 | ვენეცია-მონცა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 088 | სალერნიტანა-რავენა | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 089 | ტერნანა-სამპდორია | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 18.00 | 090 | ტრევიზო-სიენა | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 18.00 | 091 | ანკონა-ტორინო | 2,4 | 2,5 | 3,0 |

**29 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 092 | პისტოიეზე-ემპოლი | 2,2 | 2,5 | 3,6 |

**იტალია. სერია C1/a. მე-20 ტური**

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 093 | ალძანო-ვარეზე | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 094 | არეცო-ბრეშელო | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 17.30 | 095 | ჩეზენა-პიზა | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 17.30 | 096 | კომო-ალესანდრია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 17.30 | 097 | ლუმეცანე-მოდენა | 3,0 | 2,5 | 2,5 |
| 17.30 | 098 | რეჯანა-ლუკეზე | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 099 | სპალ-კარარეზე | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 17.30 | 100 | სპეცია-ალბინოლეფე | 1,8 | 2,6 | 5,3 |

**29 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 101 | ლივორნო-ლეკო | 1,3 | 3,5 | 9,0 |

**იტალია. სერია C1/b. მე-20 ტური**

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 102 | ასკოლი-ჯულიანოვა | 1,45 | 3,0 | 9,0 |
| 17.30 | 103 | ბენევენტო-ლოდიჯანი | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 17.30 | 104 | კატანია-დი სანგრო | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 105 | ფ.ანდრია-აველინო | 2,8 | 2,4 | 2,8 |
| 17.30 | 106 | მესინა-ფერმანა | 1,5 | 3,0 | 8,0 |
| 17.30 | 107 | ნოჩერინა-ვიტერბეზე | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 17.30 | 108 | პალერმო-პეზარო | 1,4 | 3,2 | 8,0 |
| 17.30 | 109 | ტორესი-აკილა | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 17.30 | 110 | სავოია-ატლეტიკო | 1,45 | 3,1 | 8,0 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. მე-20 ტური**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 111 | ესპანიოლი-სარაგოსა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 24.00 | 112 | მალაგა-ბარსელონა | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 24.00 | 113 | ბილბაო-დეპორტივო | 2,5 | 2,9 | 2,6 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 114 | სელტა-ოსასუნა | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 20.00 | 115 | რაიო ვალეკანო-ვილიარეალი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 20.00 | 116 | ალავესი-ლას პალმასი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 117 | ოვიედო-ნუმანსია | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 20.00 | 118 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 20.00 | 119 | რასინგი-სოსიედადი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 120 | ვალენსია-რეალი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. 22-ე ტური**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 121 | ატლეტიკო-ლევანტე | 1,8 | 2,9 | 4,0 |
| 21.00 | 122 | ბეტისი-კომპოსტელა | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| | 123 | ბეტისი-კომპოსტელა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 124 | მურსია-სევილია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 125 | ფეროლი-ხაენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 126 | ბადახოსი-უელვა | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| 20.00 | 127 | კორდობა-ხეტაფე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 128 | ესტრემადურა-ლეგანესი | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 20.00 | 129 | ეიბარი-ლეიდა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 130 | სალამანკა-ელჩე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 21.00 | 131 | უნივერსიდადი-სპორტინგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 132 | ტენერიფე-ალბასეტე | 1,65 | 3,0 | 5,0 |

**პორტუგალია. I ლიგა. მე-19 ტური**

**26 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 133 | ბრაგა-ამადორა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 134 | ბრაგა-ამადორა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 135 | პორტუ-ბელენენსეში | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 136 | პორტუ-ბელენენსეში 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.00 | 137 | სპორტინგი-გიმარაეში | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 138 | სპორტინგი-გიმარაეში 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 139 | ავეში-ფერეირა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 140 | სალგეირუში-კამპომაიორენსე | 1,55 | 3,1 | 6,0 |
| 20.00 | 141 | ჟილ ვისენტე-მარიტიმუ | 2,5 | 3,0 | 2;5 |
| 20.00 | 142 | ალვერკა-ფარენსე | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 143 | ლეირია-ბოავიშტა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 01.00 | 144 | ბეირა მარი-ბენფიკა | 3,2 | 2,9 | 2,1 |

**პორტუგალია. II ლიგა. მე-19 ტური**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 145 | აკადემიკა-ოვარენსე | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**28 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 146 | ნავალი-შავეში | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 147 | ესპინიუ-რიუ ავე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 19.00 | 148 | ლამაში-ფელგეირაში | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 149 | ლამაში-ფელგეირაში 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 150 | ფრეამუნდე-ლეცა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 151 | ვარზიმი-იმორტალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 152 | ვარზიმი-იმორტალი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.30 | 153 | პენაფიელი-სანტა კლარა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 154 | ხეტუბალი-მაია | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 20.00 | 155 | მარკუ-ნასიონალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**

**27 იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 156 | პსვ-როზენდალი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 157 | პსვ-როზენდალი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **28 იანვარი** | | | |
| 17.30 | 158 | ფეიენოორდი-ბრედა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 159 | ფეიენოორდი-ბრედა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-18 ტური** | | | |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 22.00 | 160 | იგლსი-ვეენდამი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 161 | დორდრეხტი-ჰელმონდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 162 | კამბური-ეინდჰოვენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 17.30 | 163 | დენ ბოსხი-მაასტრიხტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 17.30 | 164 | ოსი-დენ ჰააგი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. მე-20 ტური** | | | |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 23.00 | 165 | ბევერენი-ანდერლეხტი | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| 23.00 | 166 | ანტვერპენი-შარლერუა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 167 | გენკი-სენტ ტრუიდენი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 168 | ლიერსი-ვესტერლო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 169 | ლოკერენი-ბრიუგე | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 23.00 | 170 | გენტი-აალსტი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 171 | გენტი-აალსტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 18.00 | 172 | სტანდარდი-ბეერსხოტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 173 | სტანდარდი-ბეერსხოტი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 174 | მუსკრონი-მეხელენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 175 | მუსკრონი-მეხელენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 176 | ლუვიე-ჰარელბეკე | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. 21-ე ტური** | | | |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 22.30 | 177 | დესელი-ჰეკელგემი | 1,7 | 3,2 | 4,0 |
| 22.30 | 178 | მონსი-სერკლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 179 | დაინცე-გეელი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 23.00 | 180 | ლიეჟი-ინგელმუნსტერი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 23.00 | 181 | მაასლანდი-ოსტენდე | 1,55 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 182 | ჰეუსდენი-რუზელარე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 183 | ლომელი-სტრომბეკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 184 | ლომელი-სტრომბეკი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 18.00 | 185 | ტურნჰაუტი-ტინენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 18.00 | 186 | მოლენბეკი-დენდერლეუ | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| | 187 | მოლენბეკი-დენდერლეუ 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | | **საბერძნეთი. მე-16 ტური** | | | |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 21.00 | 188 | არისი-ოფი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 189 | არისი-ოფი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 17.00 | 190 | იანინა-პანათინაიკოსი | 6,5 | 3,4 | 1,5 |
| 19.00 | 191 | ქსანტი-პანაჰაიკი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 19.00 | 192 | პანიონიოსი-პანილიაკოსი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 193 | ათინაიკოსი-იონიკოსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 194 | პაოკ-კალამატა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 195 | პაოკ-კალამატა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 196 | ეთნიკოსი-ოლიმპიაკოსი | 4,4 | 3,0 | 1,7 |
| 21.00 | 197 | ირაკლისი-აეკ | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| | | **თურქეთი. მე-19 ტური** | | | |
| | | **26 იანვარი** | | | |
| 22.00 | 198 | ბურსა-ტრაბზონი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 15.30 | 199 | ადანა-გენჩლერბირლიგი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 15.30 | 200 | ერზურუმი-გალათასარაი | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| 16.00 | 201 | ქოჯაელი-ანკარაგიუჯიუ | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.00 | 202 | ისთანბული-ფენერბაჰჩე | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 15.30 | 203 | სამსუნი-გაზიანთეფი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 15.30 | 204 | რიზე-იეთფა | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 15.30 | 205 | დენიზლი-იოზგათი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.00 | 206 | ბეშიქთაში-ანთალია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 207 | ბეშიქთაში-ანთალია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **ინგლისი. ასოციაციის თასის 1/16 ფინალი** | | | |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 16.00 | 208 | ლიდსი-ლივერპული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 209 | სანდერლენდი-იფსვიჩი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 19.00 | 210 | ბლექბერნი-დერბი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 211 | სიტი-ქოვენთრი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 212 | ქრიუ-სტოკპორტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 213 | საუთჰემპტონი-უენსდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 214 | უიკომბი-ვულვერჰემპტონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 215 | ევერტონი-ტრანმერი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 19.00 | 216 | ქუინზ პარკი-არსენალი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 19.00 | 217 | ასტონ ვილა-ლესტერი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 17.00 | 218 | ბოლტონი-ბარნლი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 18.00 | 219 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 20.00 | 220 | ჯილინგემი-ჩელსი | 5,0 | 3,5 | 1,5 |
| | | **ჰოლანდია. თასის 1/8 ფინალი** | | | |
| | | **26 იანვარი** | | | |
| 23.00 | 221 | როდა-უტრეხტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 222 | ექსელსიორი-ალკმაარი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.30 | 223 | აიაქსი-ვიტესი | 1,55 | 3,2 | 5,0 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 22.00 | 224 | ჰერაკლესი-ცვოლე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 225 | სიტარდი-ტვენტე | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 22.00 | 226 | ვენლო-ჰერენვენი | 3,6 | 3,2 | 1,8 |
| | | **შოტლანდია. თასის მე-3 ეტაპი** | | | |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 19.00 | 227 | სენტ ჯონსტონი-დანფერმლაინი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 228 | სენტ მირენი-მოზერუელი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. აფრიკა** | | | |
| | | **26 იანვარი** | | | |
| 21.00 | 501 | ალჟირი-ნამიბია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 19.30 | 502 | მადაგასკარი-კოტ დივუარი | 3,0 | 2,9 | 2,0 |
| 20.00 | 503 | ნიგერია-სუდანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 20.00 | 504 | სამხრეთ აფრიკა-ბურკინა ფასო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 18.00 | 505 | ტოგო-კამერუნი | 4,7 | 3,1 | 1,65 |
| 18.00 | 506 | განა-ლიბერია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 507 | კონგო-ტუნისი | 3,4 | 3,1 | 1,8 |
| 18.30 | 508 | ანგოლა-ლიბია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 18.30 | 509 | გვინეა-მალავი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 510 | ეგვიპტე-მაროკო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | | **კალათბურთი** | | | |
| | | **26 იანვარი** | | | |
| 04.00 | 801 | ფილადელფია-დეტროიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 802 | ატლანტა-ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.30 | 803 | ბოსტონი-ფინიქსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.30 | 804 | ჰიუსტონი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 07.30 | 805 | გოლდენ სტეიტი-სიეტლი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 07.30 | 806 | ლეიკერსი-ნიუ ჯერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 24.00 | 807 | იუტა-სან ანტონიო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 02.30 | 808 | ორლანდო-მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 02.30 | 809 | ჩიკაგო-ტორონტო | 2,8 | 12,0 | 1,25 |
| 02.30 | 810 | მინესოტა-პორტლენდი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 05.00 | 811 | შარლოტი-ჰიუსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 812 | კლივლენდი-ატლანტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 813 | ვაშინგტონი-ფინიქსი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 05.30 | 814 | მილუოკი-დეტროიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 06.00 | 815 | დენვერი-დალასი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 07.00 | 816 | სიეტლი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 07.30 | 817 | კლიპერსი-საკრამენტო | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 21.00 | 818 | ინდიანა-ფილადელფია | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 23.30 | 819 | ნიუ იორკი-ლეიკერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | | **29 იანვარი** | | | |
| 04.00 | 820 | ბოსტონი-დეტროიტი | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 04.00 | 821 | ვაშინგტონი-კლივლენდი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 04.30 | 822 | ატლანტა-ფინიქსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 823 | მინესოტა-მილუოკი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 06.00 | 824 | დენვერი-იუტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 07.00 | 825 | ვანკუვერი-ნიუ ჯერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 07.30 | 826 | გოლდენ სტეიტი-შარლოტი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 07.30 | 827 | კლიპერსი-სან ანტონიო | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| | | **კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები** | | | |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 18.00 | 828 | ჰოლანდია-ფინეთი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 19.00 | 829 | შვედეთი-ბოსნია | 2,5 | 12,0 | 1,2 |
| 19.00 | 830 | უკრაინა-მაკედონია | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 19.30 | 831 | ბულგარეთი-ისრაელი | 2,5 | 12,0 | 1,2 |
| 20.00 | 832 | ბელარუსი-ავსტრია | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 20.30 | 833 | პორტუგალია-ისლანდია | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 21.00 | 834 | სლოვაკეთი-შვეიცარია | 1,9 | 12,0 | 1,5 |
| 21.00 | 835 | ლატვია-ხორვატია | 2,0 | 12,0 | 1,45 |
| 21.15 | 836 | პოლონეთი-საბერძნეთი | 2,0 | 12,0 | 1,4 |
| 21.30 | 837 | ესტონეთი-ჩეხეთი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 22.30 | 838 | ბელგია-სლოვენია | 2,5 | 12,0 | 1,25 |
| 23.30 | 839 | ინგლისი-უნგრეთი | 1,4 | 12,0 | 2,1 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **26 იანვარი** | | | |
| 04.00 | 901 | ბუფალო-ბოსტონი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.00 | 902 | რეინჯერსი-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 4,7 |
| 04.30 | 903 | ფლორიდა-ოტავა | 2,8 | 4,0 | 1,65 |
| 04.30 | 904 | დეტროიტი-ანაჰაიმი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 05.30 | 905 | დალასი-სან ხოსე | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 06.00 | 906 | კოლორადო-ჩიკაგო | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 06.00 | 907 | ედმონტონი-ფინიქსი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| | | **27 იანვარი** | | | |
| 22.30 | 908 | მონრეალი-ვაშინგტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 22.30 | 909 | კაროლინა-ფილადელფია | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 01.00 | 910 | ლოს ანჯელესი-მინესოტა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 911 | ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 04.00 | 912 | ტორონტო-რეინჯერსი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.00 | 913 | აილენდერსი-ბუფალო | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 914 | პიტსბურგი-ატლანტა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 | 915 | ფლორიდა-ტამპა ბეი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 916 | კოლუმბუსი-ანაჰაიმი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 05.00 | 917 | სენტ ლუისი-სან ხოსე | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 05.00 | 918 | ნეშვილი-კოლორადო | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 07.00 | 919 | კალგარი-ვანკუვერი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| | | **28 იანვარი** | | | |
| 22.00 | 920 | ვაშინგტონი-ფილადელფია | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 22.30 | 921 | მონრეალი-ოტავა | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 04.30 | 922 | ვანკუვერი-ჩიკაგო | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| | | **29 იანვარი** | | | |
| 21.00 | 923 | სენტ ლუისი-ტორონტო | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 04.00 | 924 | კაროლინა-ტამპა ბეი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 925 | რეინჯერსი-ატლანტა | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 06.00 | 926 | ფინიქსი-ნეშვილი | 1,5 | 4,0 | 3,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

# ზაუბერი

გუნდი დაარსდა 1970 წელს
**პრეზიდენტი:** პეტერ ზაუბერი
**ტექნიკური დირექტორი:** ვილი რამპფი
**ბოლიდი — 2001:** „ზაუბერი C 20“
**ძრავა:** „პეტრონასი 01 A“
**საბურავები:** „ბრიჯსტოუნი“
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1993 წლიდან
129 რბოლა, 90 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო ადგილი — VI (1993, 98)



**ნიკ ჰაიდფელდი**
**გერმანია**

დაიბადა 1977 წლის 10 მაისს მიონხენგლადბახში
ცხოვრობს მონტე კარლოში
სიმაღლე 175 სმ, წონა 70 კგ
უცოლო
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2000)
16 რბოლა, 0 ქულა
ასპარეზობდა „პროსტში“ (2000)
„ზაუბერშია“ 2001 წლიდან



**კიმი რაიკონენი**
**ფინეთი**

დაიბადა 1979 წლის 17 ოქტომბერს ესპუუში
ცხოვრობს ლონდონში
უცოლო
ფორმულა 1-ის დებიუტანტი






პეტერ ზაუბერმა ახალი ბოლიდი ახალგაზრდებს, ნიკ ჰაიდფელდსა და კიმი რაიკონენს ანდო

## ზაუბერმა მცირეწლოვანი აცდუნა

**შვეიცარიელმა** პეტერ ზაუბერმა თავისი გუნდის შემადგენლობა მთლიანად შეცვალა. შარშან „ზაუბერით“ ფინელმა მიკა სალომ და ბრაზილიელმა პედრო პაულუ დინიცმა მეტად უხეიროდ იასპარეზეს: მიკამ სულ ექვსი ქულის მოგროვება შეძლო, პედრო კი საერთოდ უქულოდ დარჩა. შედეგად გუნდმა თავის რვაწლიან ისტორიაში ყველაზე სუსტი, 1994 და 98 წლების შედეგი გაიმეორა — მხოლოდ მერვე ადგილზე გავიდა.

ზაუბერმა წლევანდელ ჩემპიონატში თავისი ახალი ბოლიდის საჭე უსახელო ახალგაზრდებს ანდო. ნიკ ჰაიდფელდმა მხოლოდ შარშან დააჭაშნიკა სამეფო რბოლები, ხოლო 21 წლის კიმი რაიკონენის გამოჩენა თითქმის უპრეცედენტო შემთხვევაა. ფინელი საფორმულო ელიტაში დაბალი დონის „რენოს“ კლასიდან ისე მოხვდა, რომ საყოველთაოდ აუცილებელი F3 და F3000-ის პრაქტიკა არ მიუღია. დეკემბრის ტესტებზე მისი შთამბეჭდავი და სტაბილური გამოსვლით მოხიბლულმა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამ გამონაკლისის სახით უბოძა ფორმულა 1-ის ბოლიდის მართვის სუპერლიცენზია.

რაიკონენის ნიჭიერება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმაც შენიშნა და საქვეყნოდ განაცხადა, რამდენიმე წელიწადში აუცილებლად ჩემპიონი გახდებაო.

თავისი პილოტების გამოუცდელობის მიუხედავად, ზაუბერი მათგან უკეთეს შედეგებს მოელის, ვიდრე გუნ[illegible] გასულ სეზონში ჰქონდა. შეფის თქ[illegible]თ, „ზაუბერ C20“-ის აეროდინამიკური მახასიათებლები საგრძნობლად გაუმჯობესდა. ძრავა, რომელიც ამჯერადაც „ფერარის“ კონსტრუქციისაა, უფრო გაძლიერდა და საიმედო გახდა.

„ზაუბერი“ ფინანსურადაც კიდევ უფრო მომძლავრდა: ტრადიციულ გენერალურ სპონსორებს „რედ ბულსა“ და „პეტრონასს“ მესამე ბობოლა მიემატა — შვეიცარიული ბანკების გაერთიანება Credit Suisse.

**გია ახალაძე**



# გული არგენტინის სულია

**საფრანგეთის** ქალაქებში მიმდინარე ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხშაბათს მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. ამ ტურნირზე სულ 24 გუნდი თამაშობს, შესაბამისად, მატჩიც 12 ჩატარდა და რადგან ყველას აღწერა ძალიან შორს წაგვიყვანს, თითოეული ჯგუფიდან თითო შეხვედრაზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას.

პირველ ტურში ეგვიპტემ თანაკონტინენტელი მაროკო იოლად დაამარცხა, ჩეხეთი კი პორტუგალიასთან შერცხვა. ამიტომაც აფრიკის ჩემპიონს თუ ასე გაუჭირდებოდა შუაევროპელებთან და მხოლოდ ქულას დასჯერდებოდა, ძნელი წარმოსადგენი იყო. ისე, „ფარაონებს“ მოგებაც შეეძლოთ, ფილიპს მატჩის ბოლო წამზე შვიდმეტრიანი რომ არ გაეტანა.

ეგვიპტელები თავიდან მეტად უხეიროდ ტყორცნიდნენ, ერთი პენალტიც გააცუდეს და მალე ორი ბურთითაც ჩამორჩნენ. ისინი დაცვაში მხოლოდ ფიზიკური ძალის იმედად იყვნენ და ჩეხთა გონებამახვილ კომბინაციებს კარგა ხანს ალღო ვერ აუღეს. ასე იყო თუ ისე, პირველ ტაიმში ჩეხეთმა დიდი უპირატესობა მაინც ვერ მოიპოვა — 16:14. შესვენების შემდეგ სლავებმა კიდევ უფრო მოუმატეს და მათი ცენტრის, იურიჩეკის წყალობით ხუთიოდ წუთში 19:15 დაწინაურდნენ. ფილიპის ზედიზედ ორი გოლის შემდეგ კი, 43-ე წუთზე 24:17 გაიჭრნენ წინ. თითქოს ახლოს იყო გამარჯვება, მაგრამ ჩეხებს წინა დღის სენი შეეყარათ — მოუმზადებელი შეტევები, კარგად მოთამაშე ფრთებისა და ცენტრების უგულებელყოფა და თანდათანობით ანგარიშში სხვაობაც შემცირდა. 50-ე წუთზე ეგვიპტე სამი ბურთითღა ჩამორჩებოდა (21:24), საფინალო სირენამდე სამიოდ წუთით ადრე კი მატჩში პირველადაც დაწინაურდა — 26:25.

ევროპელთა მწვრთნელი ვლადიმირ ჰაბერი გიჟს ჰგავდა, მსაჯებს ეკამათებოდა და ცოფებს ჰყრიდა. თუმცა, მისდა საბედნიეროდ, მეტოქემ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, მერე კი ბოლო წამზე მრაზმა პენალტი „გამოიმუშავა“, მატჩის საუკეთესო მოთამაშე იან ფილიპმა კი ქულის მომტანი გოლი გაიტანა.

B ჯგუფში სამხრეთამერიკული დერბი გაიმართა. მთელი შეხვედრის მანძილზე ბრაზილია ბატონობდა, მაგრამ გამარჯვება მაინც არგენტინას დარჩა, ისევე როგორც ლათინური ამერიკის თასის ფინალში. არგენტინელები თავიანთი კონტინენტის ჩემპიონებიც არიან და თამაში საკმაოდ თავდაჯერებულად დაიწყეს. თუმცა გოლები სწორედ მათ კარში გადიოდა და ცენტრი გული, რომ არ ყოფილიყო ფხიზლად, ბრაზილია ანგარიშში სხვაობას ძლიერ გაზრდიდა. 205 სანტიმეტრიანმა არგენტინელმა 13 წუთში სამი გოლი შეაგდო და მეტოქესთან ჩამორჩენა მინიმუმამდე შეინარჩუნა — 3:4.

მერე ორივე გუნდმა ბევრი საგოლე მომენტი გააფუჭა, თუმცა ბრაზილიელებმა ორჯერ მაინც იხეირეს და 6:3 დაწინაურდნენ. განსაკუთრებით გამოსარჩევი ბრაზილიელთაგან მეკარე სანტოსი იყო, რომელიც უძნელეს ტყორცნებს (7 მეტრიდანაც) იგერიებდა. თუმცა შესვენების შემდეგ მისმა თანაგუნდელებმა მოწინააღმდეგის დაცვასთან ვეღარაფერი გააწყვეს და სანტოსიც მოიღალა. შედეგად 58-ე წუთზე არგენტინა დაწინაურდა. „პუმებმა“ ეს ერთბურთიანი უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს.

ესპანეთმა მორიგი მეტოქე გააცამტვერა. ამჯერად მისი მსხვერპლი გრენლანდია გახდა. როგორც პირინეელთა თავკაცმა სესარ არგილესმა კორეის ძლევის შემდეგ განაცხადა, მეორე ტურში ძირითადის ოთხი ხელბურთელი დაასვენა. ასე რომ, მეკარე ბარუფეტმა, კაპიტანმა მასიპმა, ცენტრმა ჩეპკინმა და გუნდის მთავარმა ვარსკვლავმა დუშებაევმა გრენლანდიასთან მატჩი სათადარიგოთა სკამზე დაიწყეს.

თავიდან, ისევე როგორც კორეასთან, ესპანეთმა მეტოქეს წინ გასვლის საშუალება მისცა (2:0), თუმცა მალე წამოეწია (4:4), ოღონდ მერე იაკობ ლარსენს ვერაფერი დაუპირისპირა და ისევ ჩამორჩა (4:7). იბერებმა საფრთხე იგრძნეს და ხელებიც დაიკაპიწეს — 7:7. 22-ე წუთზე კი ესპანეთი უკვე თავად იგებდა 3 ბურთით (11:8). ტაიმი 17:10 დამთავრდა, რამაც მეორე ოცდაათწუთეული ფორმალობადღა აქცია.

D ჯგუფში ერთმანეთს სლავები დაეჯახნენ. ტიტულებით დახუნძლულმა რუსეთმა მეზობელ უკრაინას გაჭირვებით აჯობა. დანკერკის სპორტულ დარბაზში თავმოყრილი მაყურებელი მშვენიერი სანახაობის მოწმე გახდა. ოლიმპიურ ჩემპიონებს გამარჯვების მოსაპოვებლად ძალების მაქსიმალურად დაძაბვა და დიდი ოფლისღვრა დასჭირდათ. ტაიმი მათ, მართალია, 16:12 მოიგეს, მაგრამ უკრაინა დანებებას არ აპირებდა და 51-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა. თუმცა მერე კოკშაროვისა და ვორონინის წყალობით რუსეთმა ისევ იძალა და მისმა მთავარმა მწვრთნელმა მაქსიმოვმაც შვებით ამოისუნთქა.

**გაგი გურული**



ფრანგი ბერტრან ჟილი



პორტუგალიელი ლუიშ გომეში

### მსოფლიოს ჩემპიონატი

24 იანვარი. მეორე ტური

**A ჯგუფი**

ეგვიპტე 26:26 ჩეხეთი
ისლანდია 22:19 პორტუგალია
შვედეთი 33:21 მაროკო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 57:42 | 4 |
| ეგვიპტე | 2 | 1 | 1 | 0 | 54:45 | 3 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 48:41 | 2 |
| ისლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 43:43 | 2 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 45:55 | 1 |
| მაროკო | 2 | 0 | 0 | 2 | 40:61 | 0 |

**B ჯგუფი**

არგენტინა 20:19 ბრაზილია
საფრანგეთი 30:14 ქუვეითი
იუგოსლავია 23:20 ალჟირი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 53:27 | 4 |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 54:43 | 4 |
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 42:35 | 4 |
| ბრაზილია | 2 | 0 | 0 | 2 | 42:51 | 0 |
| ალჟირი | 2 | 0 | 0 | 2 | 33:46 | 0 |
| ქუვეითი | 2 | 0 | 0 | 2 | 30:52 | 0 |

**C ჯგუფი**

ესპანეთი 31:16 გრენლანდია
ხორვატია 41:12 აშშ
გერმანია 33:26 კორეა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 2 | 2 | 0 | 0 | 66:27 | 4 |
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 73:38 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 57:33 | 4 |
| კორეა | 2 | 0 | 0 | 2 | 43:59 | 0 |
| გრენლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 31:56 | 0 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 2 | 24:81 | 0 |

**D ჯგუფი**

სლოვენია 35:22 საუდის არაბეთი
რუსეთი 30:27 უკრაინა
ტუნისი 28:19 ნორვეგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 2 | 2 | 0 | 0 | 63:46 | 4 |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 53:47 | 4 |
| ტუნისი | 2 | 1 | 0 | 1 | 48:42 | 2 |
| ნორვეგია | 2 | 1 | 0 | 1 | 39:42 | 2 |
| უკრაინა | 2 | 0 | 0 | 2 | 51:58 | 0 |
| საუდის არაბეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 36:55 | 0 |

# აბტის ფეხები ვერ დაუთვალეს



ალექსეი იაგუდინი

**ბრატისლავის** „საყინულეში“ ფრიად რუსული დრამა ტრიალებს — ლაპარაკია ფიგურულად მოსრიალე რუს კაცებზე. საქმე ის გახლავთ, რომ დარბაზში, სადაც სლოვაკი მაყურებელი არათუ ნემსის, მთელი საკერავი მანქანის ჩასავარდნ ადგილს ტოვებს — თუმცა, როგორც ამბობენ, ვინც დადის, ნამდვილად გათვითცნობიერებულია — რუს ვაჟთა ჰეგემონიაა: ალექსეი იაგუდინი, ევგენი პლუშჩენკო და ალექსანდრ აბტი.

მათგან ბრატისლაველებს, ყველაზე მეტად, გერმანული გვარის მქონე რუსი, ალექსანდრ აბტი მოსწონებიათ და აი, რატომ: წინა საღამოს, საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ, აბტს გასახდელამდე ძლივს მიუღწევია, მანქანაში ჩამჯდარა და საავადმყოფოსკენ გაუწევია, სადაც სახეზე პატარა ოპერაცია ჩაუტარებიათ — სისხლჩაქცევა ჰქონია, ანთებითი პროცესი დაწყებია და ის ადგილი ამოკვეთეს. მეორე დღეს კი, კაცმა სამ ასოიანი გვარით, ჩინებულად ჩაატარა მოკლე პროგრამა.

ერთი სიტყვით, იმ დღეს, უპრეცედენტო რამ მოხდა: დაისვა კითხვა, რომელი სჯობს აბტი თუ იაგუდინიო. კამათის გადასაჭრელად ტექნიკური საკითხის გარჩევა შეიქნა საჭირო: ოთხმაგი ბრუნის შემდეგ რამდენ ფეხზე დახტა აბტი, ერთზე თუ ორზე? ფიქრობდნენ, თუ ერთზე დახტა, ესე იგი კონკურენტს აჯობა, რადგან ის, ამ ილეთის შესრულების შემდეგ, არც მეტი, არც ნაკლები, წაიქცაო. მსაჯებმა ატრიალეს და ატრიალეს ვიდეოჩანაწერი, მაგრამ ფეხების რაოდენობა ვერ დათვალეს, ამიტომაც ცხრიდან რვა სენსაციას მოერიდა და უპირატესობა იაგუდინს მიანიჭა. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მსაჯებმა აბტის ბრუნი ოთხმაგად საერთოდ არ მიიჩნიეს.

ახლა განვმარტოთ. აბტისთვის ბრუნი ოთხმაგად რომ ჩაეთვალათ, მაგრამ შეენიშნათ, რომ ის ორ ფეხზე დახტა, ილეთისთვის 0 ქულას მიანიჭებდნენ, ანუ ორ ფეხზე დახტომა და წაქცევა ერთი და იგივეა — მსაჯებისთვის, თორემ მაყურებელს წაქცევა უარესი ჰგონია.

საბოლოოდ სენსაცია არ მომხდარა, იაგუდინმა მეორე ადგილი მიიღო. აბტმა მესამე. პირველი კი ჩინებულად მოცეკვავე ევგენი პლუშჩენკოს ერგო.

შეჯიბრების შემდეგ, პრესკონფერენციაზე იაგუდინმა თქვა, რუსეთის ჩემპიონატზე 50 პროცენტით ვიყავი მზად, დღეს 75 პროცენტამდე ვარ ასული, 100 კი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაჩვენებთო.

**ტუტა სიხარულიძე**



# პანტანი მართლა მეკობრე ჰგონიათ!



საგონებელში ჩავარდნილი მარკო პანტანი

იტალიელ ველომრბოლ მარკო პანტანის, ეტყობა, ჟურნალისტებმა გაუფუჭეს საქმე. ხოტორა მარკოს რამდენიმე წლის წინ „მეკობრე“ შეარქვეს და მისი და სამართალდამცავების ბრძოლაც გაჩაღდა. იტალიელ პროკურორებს პანტანი, მგონი, მართლა მეკობრე ჰგონიათ და, მის წინააღმდეგ გამოძიებებს უხშირეს. ჯერ იყო და გასული წლის დეკემბერში მას სპორტული თაღლითობისთვის სამთვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს, ახლა კიდევ ერთი საქმე აღძრეს იგივე ბრალდებით.

„მეკობრე“ 1995 წლის მილანი — ტურინის დროს დაიმტვრა. საავადმყოფოში რომ მიიყვანეს, სისხლში წითელი ბურთულების შემცველობა ნორმაზე 10 პროცენტით მეტი აღმოაჩნდა, ერთ დღეში კი დასაშვებ ზღვარს ჩამოსცდა. ეს მხოლოდ ეპო-ს მიღებისას ხდებაო, დასვა ბეჭედი პროფესორმა კარტეზენიამ და რადგან პანტანი დოპინგის მიღებას მუდმივად უარყოფდა, სასამართლომ მას სპორტული თაღლითობა დაუმტკიცა.

ამჯერად პანტანის წინააღმდეგ ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ტრენტეს პროკურორმა ბრუნო ჯარდინამ გაილაშქრა იგივე მიზეზით (თუ საბაბით). ეს გადაწყვეტილება კარაბინერების მიერ „მერკატონე უნოს“ ოფისში, რავა დელა გარდაში ჩატარებული დაკითხვების შედეგია.

„გამოძიება გაგრძელდება და, თუ რისი გაკეთება იქნება საჭირო, ცოტა ხანში ვნახავთ“ — თქვა ჯარდინამ.

და რას ერჩიან „მერკატონე უნოს“ ლიდერს?

საქმე ეხება 1999 წლის „ჯიროს“, რომელიც თითქმის მოიგო მარკო პანტანიმ. ბოლოსწინა ეტაპზე, როცა მისი საერთო ჩათვლაში დაწევის შანსი აღარავის ჰქონდა, ვარდისფერმაისურიანი ზედმეტი წითელი ბურთულებისთვის მოკვეთეს. რა თქმა უნდა, ჰემატოკრიტის მაღალი დონე აუცილებლად ეპო-ს მიღების შედეგი არაა, მაგრამ მაშინ პანტანი შეჯიბრს მიღმა ვითომდა მისივე ჯანმრთელობაზე ზრუნვით დატოვეს და ორკვირიანი იძულებითი დასვენებაც გამოუწერეს. მადონა დი კამპილიოდან 1998 წლის „ჯიროსა“ და „ტურის“ გამარჯვებული შინ, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე პატარა ქალაქ ჩეზენატიკოში გაემგზავრა და სპორტული კარიერის დასრულებაც გადაწყვიტა, მაგრამ ტურნირებს შარშანდელი სეზონის დასაწყისში დაუბრუნდა.

გაზაფხულზე პანტანიმ „ჯიროშიც“ მიიღო მონაწილეობა და თავისი გრეგარი სტეფანო გარძელის საბოლოო წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მერე იგი „ტურზეც“ გამოვიდა, სადაც ორი უძნელესი ეტაპი მოიგო.

ჯარდინამ მოკვლევა 1999 წელსვე დაიწყო, როცა ექსპერტების, პროფესორ ვიტორიო რიძოლის და პროფესორ ჯოვანი მელიოლის დასკვნებს გაეცნო, რომლებიც ეპო-ს გამოყენებას გადაჭრით არ ამტკიცებდნენ, მაგრამ... იტალიამ დოპინგის გამოყენება კანონით 2000 წლის 17 ნოემბერს აკრძალა, ამიტომაც პანტანის ისევ სპორტულ თაღლითობაში დასდეს ბრალი. როდის გაიმართება ახალი სასამართლო, ჯერჯერობით უცნობია.

მანამდე კი „მეკობრე“ „მერკატონე უნოს“ სხვა წევრებთან ერთად ემზადება ახალი სეზონისთვის და „ჯიროსა“ და „ტურში“ გამოსვლას გეგმავს. თუმცა მისი გუნდი „ტურ დე ფრანსზე“ უკვე მიწვეულ თექვსმეტეულში არაა.

**გაგი გურული**



# ლემიემ ბოსი ჩამოაგდო და გრეცკის ემუქრება

24 იანვარი

**ვანკუვერი — ფინიქსი 6:2**

**2:0 3:1 1:1**

1:0 ჰოლდენი 5'52 (1); 2:0 ნესლუნდი 9'17(30); 3:0 კლეტი 20'24(8); 4:0 დრაკენი 21'57(9); 5:0 რუუტუ 27'05(1); 5:1 მეი 29'36(7); 6:1 ბერტუცი 48'43(18); 6:2 ტკაჩუკი 51'03(22)

**ანაჰაიმი — მინესოტა 0:5**

**0:3 0:2 0:0**

0:1 კრივოკრასოვი 9'57(4); 0:2 შიმიჩეკი 13'55(4); 0:3 ულცი 17'28(10); 0:4 პელერინი 32'50(8); 0:5 შიმიჩეკი 36'09(5)

**სან ხოსე — ედმონტონი 6:1**

**2:1 2:0 2:0**

1:0 სტიუარტი 12'15(3); 1:1 შ. ბრაუნი 13'12(1); 2:1 შტურმი 19'16(8); 3:1 სუნდსტრიომი 27'13(6); 4:1 ფრიზენი 32'35(11); 5:1 მარლო 47'00(20); 6:1 რიჩი 50'24(11)

**დალასი — ნიუ ჯერსი 1:4**

**1:4 0:0 0:0**

0:1 ჰოლიკი 5'44(10); 1:1 მოდანო 7'31(15); 1:2 ნიდერმაიერი 10'10(3); 1:3 სიკორა 10'48(16); 1:4 მოგილნი 11'21(26)

**პიტსბურგი — მონრეალი 3:1**

**1:0 1:0 1:1**

1:0 ლემიე 16'36(12); 2:0 ლემიე 37'28(13); 3:0 ლემიე 41'27(14); 3:1 შუინარი 57'48(1)

**ტორონტო — ბოსტონი 1:2**

**1:1 0:0 0:1**

1:0 სუნდინი 3'38(17); 1:1 ნაზაროვი 9'28(21); 1:2 ელისონი 46'53(19)

**ვაშინგტონი — ფლორიდა 2:1**

**1:0 0:1 1:0**

1:0 ბონდრა 0'59(25); 1:1 სილინჯერი 29'48(10); 2:1 ბონდრა 48'14(26)

**დეტროიტი — ნეშვილი 4:3**

**2:2 2:0 0:1**

0:1 ლეგვანდი 3'56(7); 1:1 დანდენო 7'31(5); 2:1 ვერბიკი 12'31(11); 2:2 ჩიზარი 13'09(9); 3:2 ლაპოინტი 21'10(17); 4:2 უორდი 38'04(4); 4:3 ბოულდერი 55'22(3)

**რეინჯერსი — კაროლინა 2:3**

**1:0 0:3 1:0**

1:0 პილონი 6'16(1); 1:1 ვალინი 25'53(2); 1:2 ტანაბე 26'22(2); 1:3 ჟელინა 34'13(16); 2:3 ბ. სმიტი 42'49(1)

ლეგენდარული გოლეადორი მაიკ ბოსი სამი წელი მშვიდად იყო. იმ ფორვარდებს შორის, რომლებსაც ლიგის ისტორიაში ყველაზე მეტი ჰეთ-თრიქი შეუსრულებიათ, იგი მხოლოდ უეინ გრეცკის ჩამორჩებოდა, მარიო ლემიე კი, ვისთან ერთადაც მეორე-მესამე ადგილებს იყოფდა, ტრავმების გამო დიდი ჰოკეიდან წასული იყო. არც სხვა კონკურენტი ჩანდა, მაგრამ... დაბრუნდა ლემიე და ისე ათამაშდა, ყინულზე თავისი ხანგრძლივი არყოფნა ყველას დაავიწყა. უკვე მერამდენედ იყო მიზანთან ახლოს სუპერმარიო და აი, როგორც იქნა, დადგა დღე, როცა მან საიუბილეო, მე-40 ჰეთ-თრიქი მიითვალა. საბრძოლოდ განწყობილ ჰოკეისტს აგერ უკვე მეცამეტედ ბოლომდე შევსებული „მელონ არენაც“ მხურვალედ შეეგება და დაიწყო ლემიეს პაექრობა მონრეალთან, რომელიც ამაოდ შეეცადა ფორვარდის შეჩერებას. პირველი გოლი ლამაზი გამოვიდა. მეტოქის ზონაში შეჭრილი ლემიე კევინ სტივენსმა უმალ შაიბით მოამარაგა და სუპერმარიომ მყისიერი დარტყმით მეთვალყურეც გააოგნა და მეკარე ჟოზე თეოდორიც. მეორე შაიბა უფრო იოლად გავიდა. კანადელები მოედნის შუაგულში შეცდნენ და იაგრი და ლემიე ერთ მცველს შეატოვეს, დანარჩენი კი, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. იმ წუთიდან ცხადი გახდა, რომ მესამე გოლიც აღარ იყო შორს. მესამე პერიოდის დასაწყისშივე „პინგვინებმა“ რიცხვმრავლობა მოიპოვეს და ლემიე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანეს. მარიო რომ დიდი ოსტატია, ამაზე ზედიზედ ჩატარებულ 13 მატჩში გატანილი 14 გოლი და 12 პასიც მეტყველებს. ნჰლ-ის ისტორიაში კი ყველაზე მეტი ჰეთ-თრიქის ავტორები არიან: 1. უეინ გრეცკი 50 (37 სამშაიბიანი+2 ოთხშაიბიანი+4 ხუთშაიბიანი); 2: მარიო ლემიე 40 (27+10+3); 3. მაიკ ბოსი 39(30+9); 4. ფილ ესპოზიტო 32(27+5); 5. ბრეტ ჰალი 28(26+2); ბობი ჰალი 28(24+4) და მარსელ დიონი 28(25+3)

დეტროიტში კი ლარი მერფის იუბილე იყო და პარტნიორებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა მისი 1600-ე მატჩი გამარჯვებით დაემშვენებინათ. ყველაზე უკეთ ეს გუნდის კაპიტან სტივ აიზერმანს გამოუვიდა. მას კარიერაში 1590 ქულა დაუგროვდა, რითაც რონ ფრენსისის დარად ლეგენდარულ ფილ ესპოზიტოს დაეწია. ფრენსისმა ეს წინა კვირაში მოახერხა და ლიგის საუკეთესო ხუთეულში შევიდა, აიზერმანი კი მეექვსეა.

გაიხარა ვანკუვერმაც. გუნდმა, როგორც იქნა, ოთხმატჩიანი უხეირობა შეწყვიტა, ხოლო მისმა ლიდერმა მარკუს ნესლუნდმა (1+1), ლიგაში პირველმა, 30 შაიბა შეაგდო. ისე, დაახლოებით თანაბარ თამაშში ბედმა აშკარად კანადელებს გაუღიმა, თანაც, ფინიქსს ოთხიდან ორი გოლი არ ჩაეთვალა.

როგორც ჩანს, ნიუ ჯერსისა და დალასის ურთიერთობა 2000 წლის ფინალმა განსაზღვრა. თასის მფლობელმა ნიუჯერსელებმა, ეტყობა, ისე დააშინეს მეტოქე, რომ იგი უკვე წინასწარ, შეხვედრამდე ეგუება მარცხს. ისევე, როგორც თვენახევრის წინ ისტრეზერფორდში, ასევე გუშინ დალასში, „ეშმაკებმა“ პირველივე პერიოდში დააჩოქეს მოწინააღმდეგე. შედეგიც ისეთივე — 4:1 იყო და მაშინდელივით ხუთივე შაიბა პირველ პერიოდში გავიდა. თანაც, ნიუჯერსელთაგან კვლავ პეტერ სიკორა (1+1) გამოირჩეოდა, მოგილნიმ კი ბოლო 19 მატჩში 19 გოლი გაიტანა.

კაროლინამ მეორე პერიოდში აქტიურობის ხარჯზე ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტ რეინჯერსთან ორი მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა, თანაც ორი გოლი დებიუტანტმა მცველებმა — ნიკლას ვალინმა და დავიდ ტანაბემ მიითვალეს. ვაშინგტონს კი აუტსაიდერ ფლორიდასთან მოგება პეტერ ბონდრას ორმა შაიბამ მოუტანა. „სლოვაკმა მსროლელმა“ ბოლო 16 მატჩში 14 გოლი გაიტანა და ეტყობა, სულ მალე სნაიპერთა დავაშიც გაერევა.

**სამველ ლარიბიანი**




ფინიქსელმა კეიტ ტკაჩუკმა (7) ვანკუვერელებს კი გაუტანა, მაგრამ მსაჯებმა არ ჩაუთვალეს

## სატურნირო ვითარება

**ჩრდილო - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 47 | 27 | 6 | 1 | 13 | 155:116 | 61 |
| ტორონტო | 49 | 22 | 7 | 4 | 16 | 145:121 | 55 |
| ბუფალო | 47 | 24 | 5 | 1 | 17 | 122:107 | 54 |
| ბოსტონი | 49 | 19 | 6 | 5 | 19 | 122:145 | 49 |
| მონრეალი | 50 | 15 | 5 | 3 | 27 | 122:144 | 38 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 47 | 26 | 9 | 0 | 12 | 166:112 | 61 |
| ფილადელფია | 48 | 23 | 9 | 1 | 15 | 138:132 | 56 |
| პიტსბურგი | 49 | 23 | 6 | 2 | 18 | 154:150 | 54 |
| რეინჯერსი | 49 | 20 | 3 | 1 | 25 | 156:173 | 44 |
| აილენდერსი | 48 | 12 | 5 | 2 | 29 | 111:156 | 31 |

**სამხრეთ - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი | 49 | 22 | 8 | 1 | 18 | 131:124 | 53 |
| კაროლინა | 47 | 21 | 6 | 2 | 18 | 121:129 | 50 |
| ატლანტა | 48 | 15 | 9 | 1 | 23 | 132:162 | 40 |
| ფლორიდა | 50 | 10 | 8 | 6 | 26 | 104:150 | 34 |
| ტამპა | 48 | 13 | 5 | 2 | 28 | 117:166 | 33 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 47 | 32 | 4 | 1 | 10 | 162:98 | 69 |
| დეტროიტი | 51 | 28 | 4 | 4 | 15 | 148:132 | 64 |
| ნეშვილი | 52 | 20 | 7 | 2 | 23 | 120:134 | 49 |
| ჩიკაგო | 47 | 20 | 4 | 2 | 21 | 128:129 | 46 |
| კოლუმბუსი | 49 | 16 | 4 | 3 | 26 | 110:148 | 39 |

**ჩრდილო - დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 49 | 32 | 8 | 1 | 8 | 157:108 | 73 |
| ვანკუვერი | 50 | 25 | 4 | 4 | 17 | 160:145 | 58 |
| ედმონტონი | 52 | 23 | 7 | 1 | 21 | 137:143 | 54 |
| კალგარი | 48 | 16 | 9 | 4 | 19 | 115:138 | 45 |
| მინესოტა | 49 | 17 | 8 | 2 | 22 | 106:119 | 44 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 48 | 27 | 8 | 0 | 13 | 139:109 | 62 |
| დალასი | 49 | 28 | 4 | 1 | 16 | 137:113 | 61 |
| ფინიქსი | 49 | 23 | 11 | 1 | 14 | 128:115 | 58 |
| ლოს ანჯელესი | 48 | 22 | 7 | 1 | 18 | 162:147 | 52 |
| ანაჰაიმი | 51 | 15 | 6 | 4 | 26 | 120:160 | 40 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუპერბოულის მოლოდინში



REUTERS ტამპადან

ტამპა ოცდამეთხუთმეტე სუპერბოულის მოლოდინშია და შესაბამის გამახურებელ ღონისძიებებსაც თვლა არა აქვს. სტადიონს ახლო ხალხს ახალისებს განთქმული „ბაჰა მენის“ სამუსიკო ბრბო — მარვინ „შტორმ“ პროსპერის, რიკ კარის და ომერიტ ჰელდის მონაწილეობით. ცხრა წლის ტამპელი ანხელ მედინა კი კიდევ ერთი სუპერბოულისთვის ტრადიციული ფოტოს გმირი შექნილა, გოლიათის სამოსში ჩამძვრალი, დიახაც რომ ხარობს. სუპერბოული კი 28 იანვარს გაიმართება და ერთმანეთს „ნიუ იორკ ჯაიანთსი“ და „ბალტიმორ რევენზი“ შეხვდებიან.



REUTERS ტამპადან



REUTERS ტოკიოდან

# მორი და მაცური

ესეც ბურთი, ესეც კეტი და ესეც იაპონიის პრემიერი იოშირო მორი. იგი რომ სპორტის ტრფიალია, ცნობილი ამბავია. ამიტომ, რაგინდარა სპორტულ ღონისძიებაზე რომ გამოჩნდება ხოლმე, საკვირველი სულაც არ არის. იაპონიის საუკეთესო პროფესიონალი სპორტსმენის წლიური ჯილდო კი მიულია ბეისბოლისტ ჰიდეკი მაცურის, ჩემპიონ „იომიური ჯაიანთსის“ მთავარ კაცს.

# აუცილებლად პეკინში

ივლისის თვეში გადაწყდება უმასპინძლებს თუ არა ჩინეთის დედაქალაქი პეკინი 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს. მანამდე კი ჩინელები ცდილობენ თავიანთი შესაძლებლობები წარმოაჩინონ. საგანგებო ოლიმპიურ ფესტივალზე დაოისტი ბერებიც კი მისულან და თავიანთი რიტუალები ჩაუტარებიათ.





REUTERS პეკინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ზურაბ მეძველია
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**კალათბურთის რედაქციის რედაქტორი** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge